



EECMD

აღმოსავლეთ ევროპის
ცენტრი მრავალპარტიული
დემოკრატიისათვის.

ადგილობრივი პოლიტიკის ინსტრუმენტების შეფასება

**პროექტი:
დემოკრატიული
პოლიტიკური კულტურის
მხარდაჭერა და გაძლიერება
წინასაარჩევნო პერიოდში**



EECMD

აღმოსავლეთ ევროპის
ცენტრი მრავალპარტიული
დემოკრატიისთვის

**ავტორები: სოფიო ჩაჩანიძე, მარიამ საყვარიშვილი
დიზაინი: ნატალია ღლონტი, ნატა ყიფიანი**

პუბლიკაცია მომზადდა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) დაკვეთით, პროექტის - **„დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მხარდაჭერა და გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდში“** ფარგლებში.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან კვლევის ავტორები და მასში წარმოდგენილი მოსაზრებები არ გამოხატავს EECMD-ის და ღია საზოგადოების ფონდის პოზიციას.

„დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მხარდაჭერა და გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდში“ ღია საზოგადოების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტია და მიზნად ისახავს წინასაარჩევნოდ პოზიტიური პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნას, საქართველოში სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებრივი დისკუსიის გაძლიერებას.



თბილისი

ქვემო

ბურია

ივერეთი

კახეთი



მსხეთა-მთიანეთი

რატა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

სამეგრელო-ზემო სვანეთი

სამცხე-ჯავახეთი

ქვემო ქართლი

შიდა ქართლი

შესავალი

დოკუმენტი მომზადებულია EECMD-ის მიერ პროექტ „დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მხარდაჭერა და გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდში“ ფარგლებში. პროექტის მიზანია პოზიტიური პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნა და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდის საქართველოში.

პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი პოლიტიკის ინტერესების შეფასების მიზნით, ქ. თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა ფოკუსური დისკუსიები ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. კვლევაში წარმოდგენილია ქ. თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში დისკუსიების შედეგად გამოვლენილი აქტუალური საჭიროებები, რომლებიც აღნიშნული რეგიონებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასევე მოსაზრებები არსებული პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებსა და აღნიშნულზე პასუხისმგებელი მთავარი აქტორების შესახებ.

უოკუს ჯგუფების შედეგანობა

რესპოდენტთა საერთო რაოდენობა (საქართველოს 10 რეგიონი; თბილისი) 160 ადამიანი

მოსახლეობის ჯგუფები: 110 რესპოდენტი

შერჩევისას გათვალისწინებული კრიტერიუმები: სქესი, ასაკი, განათლება, დასაქმების სტატუსი, დასაქმების სფერო.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები: 50 რესპოდენტი

საქმიანობის მთავარი სფერო: ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა, გენდერული თანასწორობა, ქალთა უფლებები, ლგბტ-თემის უფლებები, შშმ პირები, ჯანმრთელობა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების გაძლიერება; ფერმერთა საკითხები; მიგრანტებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები, ეთნიკური უმცირესობები.



საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი





1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

თბილისში გამართულ ფოკუსურ დისკუსიებზე გამოკვეთილი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთაც ბოლო 1-2 წლის მანძილზე ჰქონდა ადგილი, ორ ჯგუფად იყოფა: (1) ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოვლენები და (2) დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი მოვლენები. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი მოვლენების ჩამონათვალი მოქალაქეთა ჯგუფისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შემთხვევაში რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. „გავრილოვის ღამე“ და თბილისში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებია მხოლოდ ის მოვლენები, რომლებიც სახელდება მნიშვნელოვნად როგორც მოქალაქეების, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ.

მოქალაქეთა ჯგუფისთვის ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მთავარი სამი მოვლენა „გავრილოვის ღამეს“ და, შედეგად, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე შეთანხმებას, C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელებასა და უცხოელებზე მიწების გასხვისებას უკავშირდება. რაც შეეხება **არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს**, მათ მიერ ქვეყანაში ბოლოდროინდელ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის გამოვლინდა:

- › პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებები;
- › ცვლილებები შრომის კოდექსში;
- › კვოტირებასთან დაკავშირებული ცვლილებები;
- › პოლიტიკური დაკავებები;
- › სოციალური მომსახურების სააგენტოს რეორგანიზაცია;
- › „გავრილოვის ღამე“;
- › ნეონაცისტური ჯგუფების გააქტიურება;
- › ელექტრონული ზედამხედველობის წესის ამოქმედება;
- › სისხლის დონაციის წესში ცვლილებები.

როგორც დისკუსიის მონაწილე მოქალაქეებმა აღნიშნეს, **20 ივნისის მოვლენები** ნეგატიურად უნდა შეფასდეს, პირველ რიგში, „ახალგაზრდებზე ძალადობის“ გამო. თუმცა, ხაზგასმული იყო იმ შედეგის მნიშვნელობა, რაც „გავრილოვის ღამეს“ მოჰყვა. კერძოდ, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გარკვეული შეთანხმების მიღწევა მხარეებს შორის. მართალია, „ამ ფასად“ ამ შედეგის მიღწევას დისკუსიის მონაწილეები ნეგატიურად აფასებენ, თუმცა, თავად პროპორციულ სისტემაზე შეთანხმებას ქვეყნისთვის ცალსახად დადებით მოვლენად მიიჩნევენ.

„გავრილოვის ღამის“ ორ მნიშვნელოვან პოზიტიურ ეფექტზე გაამახვილეს ყურადღება დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა. ერთ შემთხვევაში აღინიშნა, რომ ამ მოვლენების შედეგად პოლიტიკურმა ოპოზიციამ, მიუხედავად განსხვავებებისა, კონკრეტული



საკითხების გარშემო მაინც მოახერხა გაერთიანება („თუნდაც სასამართლოს გამჭვირვალობის კუთხით მათი ხედვები გაერთიანდა“), რაც ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან მოვლენად შეფასდა. მეორე შემთხვევაში კი, ასევე პოზიტიურ მოვლენად შეფასდა ახალგაზრდა ჯგუფების გააქტიურება და მათი სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა („გაიზარდა მათი [ახალგაზრდების] ანტისაოკუპაციო მოძრაობაში ჩართულობა და ეს ხაზი რომ გამოიკვეთა ახალგაზრდების მიერ, ძალიან დადებითი მგონია“).

რაც შეეხება **საკონსტიტუციო ცვლილებებს** და შედეგად მეტ-ნაკლებად პროპორციულ სისტემასთან დაახლოებული საარჩევნო სისტემის არსებობას, ის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერაც დადებით და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეფასდა („ამან უნდა უზრუნველყოს მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნების ჩატარება“).

C-ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის მნიშვნელობის კონტექსტში აღინიშნა, რომ ამ პროგრამის საქართველოში განხორციელებით მოხდა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მკურნალობის ხელშეწყობა, არამედ რეგიონში განსაკუთრებული როლის შექმნა (როგორც ქვეყნისა, რომელსაც შეუძლია მსგავს დაავადებას უმკურნალოს). ამ კონტექსტში უცხოელი პაციენტების ქვეყანაში ვიზიტის მნიშვნელობას ფინანსური თვალსაზრისითაც გაესვა ხაზი. აქვე ისიც ითქვა, რომ პროგრამის განხორციელებით, რეალურად, საქართველო „საცდელი კურდღლის“ ფუნქციას ასრულებდა/ასრულებს და ცალსახად პოზიტიურად ამ მოვლენის შეფასება რთულია, „*მითუმეტეს, მკურნალობის ნეგატიური შედეგების ბევრი მაგალითი გვაქვს უკვე*“.

რაც შეეხება **მინების გასხვისებას**, აქ ხაზგასმული იყო უცხოელებისათვის მინების შესყიდვის პროცედურების გამარტივების ნეგატიური ეფექტები. კერძოდ, საუბარია საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის ზრდასა და ქართული ეროვნული იდენტობისთვის საფრთხის შექმნის მაღალ ალბათობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში („*ასე რატომ არიგებენ ქართველობას? ყიდულობენ მინებს. აღმაშენებელზე ამდენი ყიზილბაში იქნება*“).

საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც **კვოტირების** ახალი წესი განისაზღვრა, ასევე შეფასდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან მოვლენად. აღინიშნა, რომ იდეოლოგიების მიხედვით, თავად კვოტირებისადმი დამოკიდებულება შესაძლებელია განსხვავებული იყოს, თუმცა დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებით, მოვლენა პოზიტიურად უნდა შეფასდეს ქვეყნის განვითარების კონტექსტში.

ცვლილებები შრომის კოდექსში კიდევ ერთ მნიშვნელოვან და, ამასთანავე, პოზიტიურ მოვლენად შეფასდა დისკუსიანტთა მიერ. როგორც აღინიშნა, საქართველოში შრომის უფლებები მნიშვნელოვნად ილახება, დასაქმებულთა დიდი ნაწილის „*მძიმე შრომა არ ფასდება*“ და ამ ცვლილების შედეგად შრომის უფლებების დაცვის კუთხით პოზიტიური შედეგი შეიძლება მივიღოთ.

პოლიტიკური დაკავებები (რურუს დაკავება, კარტოგრაფების საქმე) ასევე მნიშვნელოვან და ნეგატიურ მოვლენად ჩაითვალა, რადგან ისინი „*არასამართლიანად*“ და „*შეკერილ*“ საქმეებად შეფასდა.

მნიშვნელოვან და, ამავდროულად, ნეგატიურ მოვლენად შეფასდა **სოციალური მომსახურების სააგენტოს რეორგანიზაცია**, რის შედეგადაც მისი ფუნქციები სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე გადანაწილდა. როგორც აღინიშნა, ამ გადანაცვლებების შედეგად გამოცდილი სოციალური მუშაკები გათავისუფლდნენ სამსახურებიდან, ბიუროკრატიული ბარიერების გამო ისედაც გართულებული მომსახურება კი, კიდევ უფრო გართულდა. როგორც დისკუსიის მონაწილე



არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, კონკრეტული სერვისების მისაღებად მოქალაქეებს თვეები სჭირდებათ, რაც ამ ინსტიტუტის რეოგანიზაციის საჭიროებას კიდევ უფრო აყენებს ეჭვქვეშ („დღეს სოციალური სამსახურები ძალიან ცუდ დღეშია. იგივე ძალადობის მსხვერპლი ქალები თვეობით ელოდებიან სერვისების მიღებას“; „სერვისები ძალიან ბიუროკრატიული გახდა და თვეები იწელება თუნდაც მონიტორინგის სამსახური რომ მოვიდეს კონკრეტულ სერვისში ადამიანის ჩასართავად“).

ბოლო წლებში **ულტრამემარჯვენე, ნეონაციისტური ჯგუფების გააქტიურება** კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იდენტიფიცირდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ. მათი შეფასებით, თამამად შეიძლება საუბარი „ხელისუფლების მიერ ამ ჯგუფების ხელშეწყობასა თუ გამოყენებაზე შემდეგ სხვადასხვა მიზნით“. მათი თქმით, რეალობა არასახარბიელოა, რამდენადაც ამ ჯგუფების გააქტიურება ჰომოფობიური ნარატივების გააქტიურებას იწვევს.

ელექტრონული ზედამხედველობის წესის ამოქმედება ასევე დასახელდა მნიშვნელოვან მოვლენათა შორის. ამ წესის თანახმად, ძალადობის განმეორებითი საფრთხის თავიდან არიდების მიზნით მოძალადეებს ელექტრონული სამაჯურების ტარება მოუწევთ. როგორც აღინიშნა, ინიციატივა ახალია და მისი რეალურად გამოყენება ახლა იწყება. ჯერჯერობით იმის თქმა, როგორ მუშაობს წესი, შეუძლებელია, თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება იმის თქმა, რომ მან ოჯახში ძალადობის შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელზეც ყურადღება გამახვილდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა დისკუსიაზე, **სისხლის დონაციის წესში ცვლილების შეტანაა**. კერძოდ, საუბარია გადანყვეტილებაზე, რომელიც მამაკაცებს, რომელთაც მამაკაცებთან ჰქონდათ სექსუალური კავშირი, დონაცია ეზღუდებოდათ. როგორც ერთ-ერთმა დისკუსანტმა აღნიშნა, გადანყვეტილება გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში და მან საუკეთესო პრაქტიკა გაიზიარა, რაც „წინგადაგდმული ნაბიჯია ჯანმრთელობის უფლების თანასწორობის კუთხით“.

რაც შეეხება **თბილისისათვის** მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორც დისკუსიის მონაწილე მოქალაქეებმა, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ქალაქისთვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი დაასახელეს. ამასთან, მოქალაქეთა ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილდა ახალგაზრდების თვითმკვლელობების ფაქტების ზრდაზე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა კი, **იპოდრომის ტერიტორიის ქალაქისთვის გადაცემა** აღნიშნეს.

ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით, ვაკის პარკის, ჭავჭავაძის გამზირისა და ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია მნიშვნელოვან მოვლენებად დასახელდა ქალაქისთვის. აღინიშნა ისიც, რომ ქალაქში შიდა გზების რეაბილიტაცია ხშირად არასათანადოდ ხორციელდება. კერძოდ, ადგილი აქვს ერთი და იგივე ლოკაციის რამენჯერმე რეაბილიტაციის აუცილებლობას („რამდენჯერმე გათხრა და ასფალტის დაგება არალოგიკურად მიმართა“), რაც უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე მიუთითებს და შესაძლებელია არაპროფესიონალიზმსაც უკავშირდებოდეს.

ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის კონტექსტში აღინიშნა, რომ მიუხედავად გამოწვევებისა, გამზირზე მოძრაობა მოწესრიგებულია და, რაც მთავარია, ადაპტირებული ფეხით მოსიარულე თუ ეტლით მოსარგებლე მოქალაქეებისთვის („ვაკეში კარგი საქმე გაკეთდა. ასეთ მოძრაობას შეურვეველი რომ ვართ, ეგ გვიჭირს, მაგრამ ხალხი შეეჩვევა“; „მიუხედავად სამანქანო სივრცის პრობლემებისა, საფეხმავლო კუთხით მორგებულია ადამიანთა საჭიროებებზე, მათ შორის მათ საჭიროებებზე,



რომელთაც ფაქტიურად შინაპატიმრობა აქვთ მისჯილი და მათი გარეთ გასვლა სერიოზულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს“).

ვაკის პარკის რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე განსაკუთრებით იმ კუთხით გამახვილდა ყურადღება, რომ ის ადაპტირებული გახდა შშმ პირებისათვის, რაც, ცალსახად დადებითად შეფასდა. რაც შეეხება **ორბელიანის მოედანს**, აქ ხაზი გაესვა ტურისტული თვალსაზრისით კიდევ ერთი ლოკაციის გაჩენას დედაქალაქში.

მნიშვნელოვან და დადებით მოვლენად შეფასდა ასევე პარკის გასაშენებლად **იპოდრომის ტერიტორიის** გადაცემა ქალაქისთვის („მიუხედავად ნარსულისა ან როგორ გადაეცა [ქალაქს ტერიტორია], თავად ფაქტია დადებითი“).

ახალგაზრდების თვითმკვლელობების კონტექსტში აღინიშნა, რომ ქალაქში ბოლო დროს გაიზარდა ამგვარი ფაქტების რაოდენობა, რაც ბევრ სხვადასხვა სტრესს, მათ შორის, ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება და ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა იქცეს.

1.2. მოქალაქეთა შეფასებით აქტუალური პრობლემები

დისკუსიის მონაწილე მოქალაქეთა მიერ ამ დროისათვის ქვეყნისა და დედაქალაქის კონტექსტში აქტუალურ შემდეგ პრობლემებზე გამახვილდა ყურადღება:

› სიღარიბე;

› უმუშევრობა;

› განათლების სფეროში არსებული გამოწვევები;

› ჯანდაცვის სფეროში არსებული გამოწვევები;

› ეკონომიკის სფეროში არსებული გამოწვევები;

› ურბანული პრობლემები;

› კორუფცია;

› სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები;

› ძალადობა;

› ეკოლოგია;

› გაუმართავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;

› სიზარმაცე.



აღსანიშნავია, რომ თბილისის კონტექსტში პრობლემებზე საუბრისას ფოკუსური დისკუსიის მონაწილეები ძირითადად იმ პრობლემებზე საუბრობდნენ, რომლებიც მთელი ქვეყნისთვისაა აქტუალური. პრობლემათა ამ მსხვილ კატეგორიებში კი მოიაზრებდნენ მათთან ასოცირებულ ბევრ გამოწვევას. მაგალითად, **ძალადობაზე** საუბრისას აღნიშნა, რომ პრობლემა როგორც ზოგადად აგრესიის ზრდა მოსახლეობაში და ამის შედეგად გაზრდილი ძალადობის ფაქტები, ასევე ძალადობა კონკრეტულად ქალების მიმართ.

ეკონომიკურ პრობლემებზე საუბრისას განსაკუთრებით ხაზგასმული იყო **ლარის არასტაბილური კურსი** და **პროდუქტებზე გაზრდილი ფასები**. ეკონომიკის სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემად იყო მოაზრებული ასევე ბანკებთან დაკავშირებული გამოწვევები, კერძოდ, **სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი**. აღნიშნული, დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, ლარის არასტაბილურ კურსთან და პროდუქტებზე გაზრდილ ფასებთან ერთად, კიდევ უფრო ამძიმებს მოსახლეობის მდგომარეობას, რომლისთვისაც **სიღარიბე** ისედაც ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს.

დისკუსიის მონაწილეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს **სიზარმაცის**, როგორც ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი თვისების პრობლემურობა, რაც თავის მხრივ, სხვა პრობლემების არსებობის არა ყველაზე მთავარ, მაგრამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებლად იყო მოაზრებული.

უშუალოდ **თბილისისთვის** განსაკუთრებულად მნიშვნელოვან პრობლემად ორი რამ გამოიკვეთა. კერძოდ, **ურბანული დაგეგმარება** და **ეკოლოგია**. როგორც დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, სწორედ არასათანადო და ყველა წესის დარღვევით განხორციელებული ურბანული დაგეგმარება, ქაოტური მშენებლობები და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები უნდა ჩაითვალოს გარემოს დაბინძურების, შესაბამისად, მეორე მთავარი პრობლემის - მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. ამდენად, აღნიშნული პრობლემების მოგვარება თბილისისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა. ეკოლოგიურ პრობლემაზე, როგორც ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევაზე თბილისისთვის, დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც მიუთითეს.

ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ გზად დისკუსიის მონაწილე მოქალაქეებმა **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის** გამართვა და კერძო მანქანების საზოგადოებრივი ტრანსპორტით ჩანაცვლება დაასახელეს („როგორც ყველა დიდ ქალაქში, აქაც ყველა მანქანით არ უნდა დადიოდეს“).

რაც შეეხება პრობლემებს, რომლებიც არა უნიკალურად თბილისისთვის, არამედ ზოგადად მთელი ქვეყნისთვისაა განსაკუთრებით აქტუალური, ისინი რამდენიმე ჯგუფად გაერთიანდა. კერძოდ, განათლების, სიღარიბის/ უმუშევრობის/ეკონომიკისა და ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით არსებული პრობლემები გამოიკვეთა როგორც ყველაზე აქტუალური თბილისში ჩატარებული დისკუსიისას მოქალაქეების მიერ.

განათლება

დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ **განათლების სფეროში** ბევრი გამოწვევა არსებობს, რომლებზე საპასუხოდაც შესაბამისი ზომების მკილება ნაკლებად ხდება და ამ მიმართულებით სახელმწიფომ თანმიმდევრული რეფორმა უნდა გაატაროს. მთავარი გამოწვევები, რომლებიც განათლების სფეროსთან დაკავშირებით გამოიკვეთა, შემდეგია: (1) გაუმართავი და უხარისხო ონლაინ სწავლება; (2) უხარისხო სასკოლო განათლება; (3) საუნივერსიტეტო განათლების შეუსაბამობა ბაზრის მოთხოვნებთან; (4) სამოქალაქო ცნობიერების მნიშვნელობის იგნორირება.



ონლაინ განათლებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ის ამ ეტაპზე წარმოადგენს ერთგვარ „იძულებით“ მექანიზმს, რომლის გამოყენებაც მოუწია ქართულ საგანმანათლებლო სივრცესაც და რომელმაც უკეთ გამოავლინა სფეროში კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების სიმწირე. აქ მთავარი აქცენტი გამახვილდა როგორც სკოლის მასწავლებლების, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დაბალ კვალიფიკაციაზე არა მხოლოდ დისტანციური სწავლების მეთოდებისთვის აუცილებელი ტექნიკური უნარების არარსებობის თვალსაზრისით. აღინიშნა, რომ „კამერასთან“ აღმოჩენილმა პედაგოგებმა/ლექტორებმა საკუთარი საგნების ცოდნაც ვერ გამოავლინეს, არათუ ტექნიკური უნარები. ის ფაქტი, რომ საქართველოში მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა ვერ ჩააბარა საგნობრივი გამოცდები, სფეროში კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების მაგალითად იყო მოყვანილი.

უხარისხო სასკოლო განათლების კონტექსტში ხაზგასმული იყო, რომ გარდა იმისა, რომ სკოლა დაკომპლექტებულია არაპროფესიონალებით, რომელთაც არ აქვთ საგნობრივი ცოდნა, გამოწვევაა ასევე პედაგოგების არაკვალიფიციურობა ბავშვებთან და მოზარდებთან ურთიერთობის კუთხითაც. ამ თვალსაზრისით აღინიშნა, რომ მასწავლებლები ხშირად ფსიქოლოგიურად ძალადობენ მოსწავლეებზე, რაც, თავის მხრივ, ბევრი პრობლემის მიზეზი ხდება („შეიძლება მისთვის [მოსწავლე] ყველაფერი სულერთი გახდეს“).

სასკოლო განათლების დაბალი ხარისხის კიდევ ერთ ინდიკატორად უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევებიც დასახელდა. აღინიშნა, რომ სკოლებში არ არიან ფსიქოლოგები, არ არიან სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლები, საზოგადოებაში არსებული აგრესიის ფონზე კი, აღნიშნული უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ სერიოზულ ხარვეზად შეფასდა.

საუნივერსიტეტო განათლების თვალსაზრისით ყველაზე დიდ გამოწვევად, არაპროფესიონალ კადრებთან ერთად, ასევე დასახელდა მისი შეუსაბამობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. უნივერსიტეტი ვერ ამზადებს კადრებს იმ ცოდნითა და უნარებით, რაზეც რეალურადაა მოთხოვნა ბაზარზე და საკუთარი დღის წესრიგით ხელმძღვანელობს, რომლისთვისაც მთავარი იმ პროფესიებზე მაქსიმალურად ბევრი სტუდენტის მიღებაა, რომელზეც მოთხოვნაა საზოგადოებაში („ყველა იურისტი უნდა იყოს“).

კიდევ ერთ გამოწვევად განათლების კონტექსტში **სამოქალაქო ცნობიერების მნიშვნელობის იგნორირება** გამოიკვეთა. როგორც დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, არც სასკოლო და არც საუნივერსიტეტო განათლება არ არის ორიენტირებული იმაზე, რომ გაზარდოს მოსწავლეების/სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერება და იმუშაოს მათი, როგორც აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბებაზე. ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, სწორედ ამ მიზეზით, ახალგაზრდები ფიქრობენ არა იმაზე, რა სურთ თავად ან რაში ხედავენ განვითარების საკუთარ გზას, არამედ ფიქრობენ იმაზე, როგორ უპასუხონ სხვების (მშობლები, ახლობლები) მოთხოვნებს. ამით ხსნიდნენ დისკუსიის მონაწილეები იმ ფაქტს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ირჩევს არა უბრალოდ საუნივერსიტეტო განათლებას, არამედ კონკრეტულ პროფესიებს. აქ კი, შერჩევის მთავარი კრიტერიუმი კვლავაც სოციალურად სასურველობის ეფექტის მიღწევაა არჩევანის გაკეთებით ტრენდულ პროფესიებზე („ყველას უმაღლესში წასვლა და დიპლომი უნდა“; „თუ იქ არ ჩავაბარე, სადაც მე მინდა, დავიცდი და შემდეგ ჩავაბარებ - ეს მიდგომა არაა. საზოგადოებრივი წნეხიც არის, რომ უნდა ჩააბარო“).

დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა ორი მთავარი რამ, რაც უნდა გაკეთდეს განათლების სფეროში პირველ რიგში და ძალიან სწრაფად. კერძოდ, (1) **სამოქალაქო განათლების გაძლიერება სკოლაში**



ადრეული ასაკიდან და (2) პროფორინტაციისა და კარიერული დაგეგმვის კომპონენტის არსებობა სკოლებში. არგუმენტების თანახმად, სამოქალაქო განათლება პასუხისმგებელია მოქალაქეების ჯგუფს გააფართოვებს ქვეყანაში; პროფორინტაციისა და კარიერული დაგეგმვის კომპონენტის არსებობა კი, მოსწავლეთა მიერ საკუთარ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფრო ეფექტიანად მიღებას ხელს შეუწყობს.

ეკონომიკა / სიღარიბე / უმუშევრობა

მთავარ პრობლემათა მეორე ჯგუფში რამდენიმე გამოწვევა გაერთიანდა. კერძოდ, ეკონომიკის სფეროში არსებული პრობლემები, სიღარიბე და უმუშევრობა, რომლებიც, როგორც აღინიშნა, ერთდროულად მიზეზიცაა და შედეგიც ერთმანეთის. საგულისხმოა, რომ დისკუსიის მონაწილეები მსჯელობისას თვითდასაქმებულ მოქალაქეებს უმუშევრებად მოიაზრებდნენ. მთავარი არგუმენტის თანახმად, თვითდასაქმებულები უმეტესად არიან ადამიანები, რომლებიც „იძულებულები“ არიან „გამონახონ საქმე“ და „გაყიდონ მწვანილი“. მეტიც, მათ შორის დიდია წილი ადამიანებისა, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და „საერთოდ სხვა მიმართულებით უნდოდათ განვითარება“. აქ სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებად განისაზღვრა. სამუშაო ადგილების შექმნაში კი, დისკუსიის მონაწილეები უმეტესად არა კერძო სექტორის განვითარებისთვის ხელშეწყობასა და, შემდეგ უკვე თავად კერძო სექტორის მიერ სამუშაო ადგილების შექმნას მოიაზრებდნენ, არამედ სახელმწიფოს მიერ სანარმოების შექმნას და იქ მოქალაქეთა დასაქმებას. ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ შესაძლებელია, სახელმწიფოს მიერ შექმნილი სანარმო ამოქმედებიდან გარკვეული დროის მანძილზე არც იყოს რენტაბელური, მაგრამ მან მაინც უნდა განაგრძოს ფუნქციონირება, რათა მოქალაქეები დაასაქმოს და „მიჩვიოს მუშაობას“. აქ აღინიშნა, რომ ქვეყნის სოციალური პოლიტიკის გამო, მოქალაქეები გადაეჩვივნენ მუშაობას და კიდევ უფრო „გაზარმაცდნენ“, შესაბამისად, სოციალური პოლიტიკის გადახედვაც სახელმწიფოს დღის წესრიგში უნდა დადგეს („სოციალური პოლიტიკა უნდა შეიცვალოს; ნაცვლად იმისა რომ სოციალური დახმარებები გასცეს [სახელმწიფომ], შექმნას ქარხნები და იქ დაასაქმოს [მოქალაქეები]“).

აღსანიშნავია, რომ დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის მიერ ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ, მიუხედავად უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა, ქვეყანაში სერიოზული გამოწვევაა **მუშახელის დეფიციტი**. ამ მოსაზრების ავტორის თქმით, მიუხედავად „საკმაოდ კარგი ანაზღაურებისა“ („დღეში 50 ლარი“), ხშირად შეუძლებელია მუშახელის პოვნა. აქ ძირითადად ყურადღება გამახვილდა არა კონკრეტული საქმის შესასრულებლად აუცილებელი კვალიფიკაციის არქონაზე და კვალიფიციური მუშახელის არარსებობაზე, რაც ასევეა გამოწვევა, არამედ სურვილის არქონაზე შესასრულონ ნაკლებად პრესტიჟული საქმე (მაგ: სამშენებლო სფეროს მუშახელი). როგორც ითქვა, მოქალაქეები „უკადრისობენ“ ბევრი საქმის შესრულებას და აქ მთავარ მიზეზად განათლებაში არსებული პრობლემები და, პირველ რიგში კი, ცნობიერების დაბალი დონე დასახელდა.

გამოწვევებს შორის ასევე დასახელდა **დაბალი ანაზღაურება** და **შრომითი უფლებების დარღვევა**, რომლის დასაცავად „ბრძოლაა საჭირო“. როგორც აღინიშნა, აუცილებელია ხელფასის ქვედა ზღვარის არსებობა და შემდეგ უკვე კონტროლი, რომ შესაბამისმა კანონმა/რეგულაციებმა ნამდვილად იმუშაოს („ფურცელზე წერია მართო“). შრომითი უფლებების დაცვის კონტექსტშივე აღინიშნა, რომ აუცილებელია **ძლიერი პროფკავშირის არსებობა**, რომელიც რეალურად დაიცავს დასაქმებულთა უფლებებს.



სამუშაო ადგილების შექმნისა და, შესაბამისად, **სიღარიბის დაძლევის** ერთ-ერთ წინაპირობად დისკუსიის მონაწილეებს სოფლის გაძლიერება და ადგილობრივების იქ დასაქმება ესახებათ. ამ მიმართულებით განსახორციელებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად დისკუსიის მონაწილეები მოქალაქეთა წახალისებასა და სოფლად დასაქმებულთათვის უფრო მაღალი ანაზღაურების შეთავაზებას მიიჩნევენ (მაგალითად, სოფლის ტიპის დასახლებებში დასაქმებული მასწავლებლებისთვის უფრო მაღალი ანაზღაურების შეთავაზება).

უმუშევრობასთან ბრძოლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად დისკუსიისას **საათობრივი ანაზღაურების წესის ამოქმედება** იდენტიფიცირდა. როგორც აღინიშნა, ძალიან ბევრი ახალგაზრდა ვერ საქმდება სწორედ იმის გამო, რომ ვერ უთავსებს სწავლასა და სამუშაო განრიგს ერთმანეთს. დისკუსანტთა შეფასებით, საათობრივი სამუშაოს არსებობის შემთხვევაში, ეს გამოწვევა მეტ-ნაკლებად მოგვარდება.

ჯანდაცვა

ჯანდაცვის სფერო ასევე განისაზღვრა იმ სფეროთა შორის, სადაც არსებული პრობლემები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია და სასწრაფოდ საჭიროებს რეაგირებას. დისკუსიაზე აღინიშნა, რომ სფეროში, თავის მხრივ, ძალიან ბევრი პრობლემაა, რომელთაგან ორი უმთავრესის იდენტიფიცირება მოხდა. ესენია, **არაპროფესიონალიზმი** (როგორც სამედიცინო პერსონალის, ასევე სადაზღვევო კომპანიებში დასაქმებული კადრების) და **სამედიცინო სერვისისა და მედიკამენტების მაღალი ფასი**.

დისკუსიაზე ითქვა, რომ არაპროფესიონალიზმთან გასამკლავებლად აუცილებელია განათლების სფეროში შესაბამისი გამოწვევების აღმოფხვრა („ათასი დიპლომიანი ექიმი არ უნდა ყავდეს წელიწადში უნივერსიტეტს“). ფასებთან დაკავშირებით კი, მნიშვნელოვნად ჩაითვალა სახელმწიფოს მიერ ფასებზე კონტროლის დანერგვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მონაცვლად ჯგუფად ონკოპაციენტები დასახალდნენ, რომელთათვისაც უახლოეს მომავალში სამედიცინო მომსახურების საგანგებო პაკეტების შეთავაზება კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნეეს დისკუსიის მონაწილეებმა.

1.3. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებით აქტუალური პრობლემები

რაც შეეხება დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მნიშვნელოვან პრობლემებზე საუბრისას მათ ქვეყნის კონტექსტში აქტუალურ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება და განსაკუთრებული აქცენტი შემდეგ საკითხებზე გააკეთეს:

- › ადამიანის უფლებები;
- › სეკულარული სახელმწიფოს იდეა;
- › ეკონომიკური პოლიტიკა;
- › სასამართლოს დამოუკიდებლობა;



› მედიის თავისუფლება;

› საჯარო უწყებების პოლიტიზება;

› მიგრაციის პოლიტიკა;

› მინის რეფორმა;

› განათლება;

› საგარეო პოლიტიკა;

› დეცენტრალიზაცია.

ადამიანის უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევები ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად იდენტიფიცირდა. აღინიშნა, რომ ბევრი ჯგუფის უფლება ირღვევა ქვეყანაში (*სხვადასხვა ნიშნით უმცირესობები, შშმ პირები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები*) და მთავარი გამოწვევა ის არის, რომ სახელმწიფოს თავად თუ ცალკეულ პოლიტიკურ აქტორებს არ აქვთ ხედვა, რომელშიც ინდივიდუალური თავისუფლება და ინდივიდის უფლებების დაცვა იქნება აღიარებული, როგორც მთავარი ღირებულება.

ადამიანის უფლებებზე საუბრისას განსაკუთრებით ხაზგასმული იყო, რომ არ ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებების შესწავლა, რაც „სერიოზული პრობლემაა“. როგორც დისკუსიაზე აღინიშნა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებები (განათლების, ჯანმრთელობის და სხვ.) მნიშვნელოვნად ირღვევა; მათი დიდი ნაწილი „პენსიის აღებასაც ვერ ახერხებს უკვე თვეებია“; თუმცა სახელმწიფო ამაზე „ტრაფარეტული განცხადებებით“ რეაგირებს და არა ინდივიდუალური მიდგომების შემუშავებით.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ასევე გამოწვევად დასახელდა სახელმწიფოს ხედვის არარსებობა, თუ როგორ უნდა მოხდეს ეთნიკური აფხაზებისა და ოსებისათვის საქართველოს შესახებ ინფორმაციზე წვდომის უზრუნველყოფა და პირიქით, როგორც უნდა მიიღოს ქართულმა საზოგადოებამ ინფორმაცია იქ მიმდინარე მოვლენებზე („გაუქმდა მაგალითად ისეთი არხი, როგორიც იყო „ალანია“... ადრე კოკოითი მაინც ვიცოდით ვინ იყო და ახლა იქ რა ხდება, თითქმის უცნობია ჩვენთვის [თუ რუსულ წყაროებს არ გავეცნობით]“).

სეკულარული სახელმწიფოს იდეის მხარდაჭერა და რეალური ნაბიჯების გადადგმა, რაც უზრუნველყოფს ეკლესიის ჩაურევლობას სახელმწიფო საქმეებში, ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დასახელდა. ამ თვალსაზრისით პოლიტიკური აქტორების ხედვების შესახებ ინფორმირების სურვილს გამოხატავენ დისკუსიის მონაწილეები. მათი შეფასებით, მნიშვნელოვანია არა უბრალოდ ამგვარი ხედვების არსებობა, არამედ ისიც, რომ ეს იდეები იყოს გაზიარებული საზოგადოებისთვის. როგორც აღინიშნა, ამ დროისათვის ნაკლებადაა ცნობილი, თუ როგორია პოლიტიკური პარტიების ხედვები რელიგიურ ჯგუფებთან დაკავშირებით და რა პოლიტიკის გატარებას უჭერენ მხარს ისინი სხვადასხვა კონფესიასთან მიმართებით. ამავე კონტექსტში ხაზგასმული იყო, რომ მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ როგორ აპირებს სახელმწიფო უპასუხოს მხარდ ულტრამემარჯვენე განწყობებს და რა ზომების გატარებას აპირებს, მითუფრო იმ პირობებში, როდესაც „სამი ულტრამემარჯვენე პარტია არჩევნებში მონაწილეობს“.



ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მკაფიო ხედვების არარსებობა ქვეყნის კიდევ ერთ პრობლემად იდენტიფიცირდა. როგორც აღინიშნა, ეს ხედვები თითქმის არცერთ პოლიტიკურ აქტორს არ აქვს („გირჩი“ ვიცის, რომ მკაცრად მემარჯვენეა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ახლა უკვე კოალიციას წარმოადგენს, მასთან საკითხები მემარჯვენეა, მაგრამ ბევრ საკითხზე ხედვები მკაფიოდ მემარცხენეა. ეს რამდენად თავსებადია ერთმანეთთან, ჩემთვის ბევრ კითხვას აჩენს... „ქართული ოცნების“ ხედვებიც გაუგებარია...“). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ჩაითვალა პოლიტიკური პარტიების პროგრამების არსებობა და, რაც მთავარია, მათი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის. როგორც დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, პარტიების ვებგვერდებზე მათი პროგრამები არაა წარმოდგენილი. ნაცვლად ამისა, „მესიჯებია მხოლოდ და პენსია 400 ლარი, არა მგონია, რომ საარჩევნო პროგრამაა“.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ქვეყნის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს გამონწვევად იდენტიფიცირდა. აღინიშნა, რომ ეს საკითხი „უნდა იყოს ნომერ პირველი საზრუნავი ქვეყნისთვის“ და ამ მიმართულებით ერთიანი ხედვა უნდა არსებობდეს. როგორც ითქვა, მნიშვნელოვანია ინდივიდალური მოსამართლის გამაძლიერებელი მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება, რადგან, თუ „ინდივიდუალური მოსამართლე არ არის დამოუკიდებელი, შეუძლებელია დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა“.

მედიის თავისუფლების თვალსაზრისით არსებული გამონწვევები ასევე სერიოზულ პრობლემად დასახელდა. აღინიშნა, რომ მედია „ვერა და ვერ გათავისუფლდა სახელისუფლებო, ძალაუფლების მექონე პარტიების წნეხისაგან“ (მაგალითად მოყვანილი იყო „რუსთავი 2“-ის შემთხვევა).

საჯარო უწყებების პოლიტიზება კიდევ ერთ პრობლემად იდენტიფიცირდა. როგორც დისკუსიაზე ითქვა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საჯარო უწყებების დეპოლიტიზება და საჯარო მოხელეების პოლიტიკური წნეხისაგან გათავისუფლება, რაც „წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური ხდება“.

მიგრაციის პოლიტიკა ასევე პრობლემურ საკითხებს შორის დასახელდა. როგორც დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, არ არსებობს არგუმენტები, რომლითაც აიხსნება, თუ რატომ ხდება კონკრეტული ცვლილებების გატარება (მაგ. უცხოელებისთვის ბინადრობის უფლებაზე, ვადის გაგრძელებაზე უარის თქმა) და სახელმწიფოს პოლიტიკაც არათანმიმდევრულია.

მინის რეფორმის კონტექსტში აღინიშნა, რომ სახელმწიფოს ხედვა არ არის ნათელი. გარდა იმისა, რომ მინების დიდი ნაწილი არ არის რეგისტრირებული, ასევე არ ჩანს, როგორ ხედავს სახელმწიფო მინის რეფორმას სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიასთან ერთიან ბმაში („დონორების დიდი ფული იხარჯება ამ მიმართულებით და ამ დროს, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი გასულ წელს მხოლოდ 7.2% იყო“). როგორც დისკუსიაზე ითქვა, უნდა არსებობდეს ხედვა, რა მიმართულებით აპირებს სახელმწიფო განვითარებას - აძლიერებს მსხვილ ფერმერებს თუ საოჯახო, მცირე ფერმერების განვითარებას აცხადებს პრიორიტეტად.

განათლების სისტემაში არსებულ ბევრ გამონწვევაზე გაამახვილეს ყურადღება დისკუსიის მსვლელობისას, თუმცა მთავარი აქცენტი მაინც იმაზე გაკეთდება, რომ მნიშვნელოვანია პოლიტიკურ აქტორებს ჰქონდეთ ნათელი ხედვა იმისა, თუ როგორ წარმოედგენიათ სისტემის რეფორმირება ისე, რომ „არ გვყავდეს ბრბო, რომელიც ყველას და ყველაფერს დაეთანხმება“.

ქვეყნის საგარეო, სამეზობლო და, კონკრეტულად, კავკასიური პოლიტიკის არარსებობა, დეცენტრალიზაციის არარსებობა და რეგიონების ცენტრზე დამოკიდებულება ასევე მნიშვნელოვან



პრობლემებს შორის დასახელდა. აღინიშნა ისიც, რომ ქვეყანაში პრობლემები ბევრია, თუმცა უმთავრესი პრობლემები, რომელთა გადაჭრა ამ ეტაპზე ყველაზე აქტუალურია, დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით (1) ადამიანის უფლებებს, (2) სეკულარული სახელმწიფოს იდეას, (3) სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და (4) ეკონომიკურ პოლიტიკას უკავშირდება.

დისკუსიის მონაწილეთა მიერ ხაზგასმული იყო, რომ ჩამოთვლილი საკითხების უმრავლესობა მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის არ არის აქტუალური. მთავარი კითხვები, რომლებზეც მოქალაქეებს სურთ პასუხების მიღება სოციალური საკითხებია, შესაბამისად, დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლეთა შეფასებით, პოლიტიკური პარტიებიც ამ მოთხოვნაზე რეაგირებენ („მოსახლეობის 70-80%-ს არ აინტერესებს ეს თემები, რაც ახლა ჩვენ ვახსენეთ. მათ სურთ მოისმინონ პენსიასთან და ხელფასთან დაკავშირებული საკითხები“). აქვე ისიც აღინიშნა, რომ დაპირებები, რომელთაც ახლა გაცემენ პოლიტიკური პარტიები, „გაზომვადი“ არ არის. ერთ-ერთი დისკუსანტის შეფასებით, თუ გასული წლების წინასაარჩევნო კამპანიებს გავიხსენებთ, იქ დაპირებები ბევრად კონკრეტული და გაზომვადი იყო იმის მიუხედავად, რამდენად რეალისტური იყო მათი მიღწევა, მითუმეტეს მოკლევადიან პერსპექტივაში. დღეს კი დაპირებები „აბსტრაქტულია“ („ახლა პოეზიას არიან მიცემულნი. მანამდე ის მაინც იყო, „მილიონი სამუშაო ადგილი“ და ახლა გაუგებარია...“).

1.4. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

თბილისში გამართულ ფოკუსურ დისკუსიაზე მოქალაქეებმა ასევე იმსჯელეს იმაზე, თუ რა პრობლემებია ყველაზე აქტუალური დღეს სხვადასხვა ჯგუფისთვის. როგორც დისკუსიისას გამოიკვეთა, ახალგაზრდებისთვის სამი მთავარი პრობლემაა ამჟამად აქტუალური. კერძოდ, დასაქმება, უსაფრთხოება და სავალდებულო სამხედრო სამსახური.

დასაქმების კონტექსტში აღინიშნა, რომ ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ საათობრივი შრომის შესაძლებლობა, რაც სამსახურისა და სწავლის პროცესის შეთავსებას გახდის შესაძლებელს. უსაფრთხოების თვალსაზრისით აღინიშნა, რომ ქვეყანაში გაზრდილია კრიმინალი, ძალადობა, შესაბამისად, გარემო არ არის უსაფრთხო ახალგაზრდებისთვის და ამ გამოწვევას სახელმწიფომ უნდა უპასუხოს (აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამაზე ყურადღება უფროსი თაობის წარმომადგენლებმა და, ძირითადად, დედებმა გაამახვილეს).

სავალდებულო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით ორი რადიკალურად განსხვავებული დისკურსი გამოვლინდა. ერთის თანახმად, პრობლემაა ის, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში წასვლა ახალგაზრდებს არ სურთ, „არადა უნდა მიდიოდნენ ჭარში, რადგან არ ვიცით ხვალ რა იქნება“ და „კაცია და უნდა წავიდეს“. მეორე დისკურსის თანახმად კი, სამხედრო სამსახური არ უნდა იყოს სავალდებულო; ის უნდა იყოს ნებაყოფლობითი და თავად ახალგაზრდამ უნდა გადაწყვიტოს, სურს მას „ჭარში წასვლა თუ არა“. მთავარი არგუმენტების თანახმად, ახალგაზრდებს არ სურთ ჭარში წასვლა, რადგან (1) იქ პირობები არ არის სახარბიელო და (2) სამხედრო სამსახურში წასვლა ხელს უშლის უკვე დასაქმებულ ახალგაზრდებს განვითარებაში (კარგავენ სამსახურს, ვერ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს (მაგ: კრედიტი), კარგავენ დროს). სწორედ ამით ხსნიან დისკუსიის მონაწილეები ახალგაზრდების მიერ სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებას, რათა თავი აარიდონ სავალდებულო სამხედრო სამსახურს. მაგალითებად საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროცესში ხანგრძლივად ჩართულობა („ჩემმა შვილმა ბაკალავრიატი დაამთავრა, მაგისტრატურაც და ახლა ისევ ჩააბარა,



რომ თავი აარიდოს [სამხედრო სამსახურს]“ და პოლიტიკური პარტია „გირჩის“ მიერ შეთავაზებული მექანიზმის გამოყენება იყო მოყვანილი.

უფროსი ასაკის წარმომადგენელთათვის მთავარ პრობლემად დაბალი პენსიები, შესაბამისად, მათი გაზრდის აუცილებლობა დასახელდა. საშუალო ასაკის წარმომადგენელთათვის კი მთავარ პრობლემად უმუშევრობა იდენტიფიცირდა. ეს უკანასკნელი გამოიკვეთა მთავარ პრობლემად დაუსაქმებელთათვისაც, დასაქმებულთათვის კი მთავარი პრობლემა დისკუსანტთა აზრით, დაბალი ანაზღაურებაა.

1.5. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებზეც დისკუსიისას გამახვილდა ყურადღება, მთავარ პასუხისმგებელ აქტორად **ცენტრალური ხელისუფლება**, შემდეგ კი, **სამოქალაქო საზოგადოება** იდენტიფიცირდა. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრისას, დისკუსიის მონაწილე მოქალაქეები, პირველ რიგში, მოსახლეობას მოიაზრებდნენ და არა არასამთავრობო სექტორს. ხაზგასმული იყო, რომ ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს, რომ თითოეული ადამიანია „ფასეული“, მოქალაქემ უნდა „იგრძნოს, რომ ის მნიშვნელოვანია“ და თავადაც აიღოს პასუხისმგებლობა პრობლემების მოგვარებაზე.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობაზე იმ პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით, რომლებიც აქტუალურად იდენტიფიცირდა, ნაკლებად ისაუბრეს დისკუსიის მონაწილეებმა. მთავარი დისკუსიის თანახმად, მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე გადაწყვეტილებების მიღება, კონკრეტული სტრატეგიებისა და იმ მექანიზმების შემუშავება, რომელთაც პოლიტიკის იმპლემენტაცია უნდა უზრუნველყონ. ამ პროცესში, თავად ცენტრალური ხელისუფლების როლია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, თუმცა აქვე, პოლიტიკური აქტორების (უმეტესად პარტიები) როლიც იყო ხაზგასმული. და, რაც ასევე აღინიშნა, სამოქალაქო სექტორის როლია, სადაც არასამთავრობო სექტორი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა ახდენდეს საკითხების ადვოკატირებას, მოქალაქეებმა კი დაინყონ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი



ეჭარა



1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

აჭარის რეგიონში გამართული ფოკუსური დისკუსიების შედეგად, ბოლო 1-2 წლის განმავლობაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენების ჩამონათვალი განსხვავებულია არასამთავრობო სექტორისა და მოქალაქეებისათვის. კერძოდ, არასამთავრობო სექტორის მიერ განხილული მნიშვნელოვანი მოვლენები უმეტესად ინსტიტუციურ საკითხებს, მოქალაქეების მიერ განხილულ მოვლენები კი, ძირითადად ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. დისკუსიების მიმდინარეობისას განხილულ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის იყო:

- › ბათუმის სტადიონის გახსნა;
- › სანაპიროს განაშენიანების საკითხი;
- › ბათუმის შემოვლითი გზის გახსნა;
- › სარეაბილიტაციო-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;
- › აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს დირექტორის იმპიჩმენტი;
- › ქალაქ ბათუმის მერის გადადგომა;
- › სოციალური მუშაკების მასობრივი გათავისუფლება;
- › სარფის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

დისკუსიის მონაწილე მოსახლეობის ჯგუფმა დადებითად შეაფასა **ბათუმის სტადიონის გახსნა, ბათუმის შემოვლითი გზის გახსნა** და ქალაქში განხორციელებული **ინფრასტრუქტურული სამუშაოები**. კერძოდ, ისინი მიესალმებიან წერეთლის ქუჩისა და „ჭაობის“ დასახლების ირგვლივ სარეაბილიტაციო-ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებას, რამაც ამ უბნების განვითარების რეალური პერსპექტივა შეუქმნა. გარდა ამისა, დისკუსიის მონაწილეები დადებითად აფასებდნენ ქალაქში ახალი დასასვენებელი, რეკრეაციული პარკებისა და სკვერების გახსნას, რადგან ეს „ხელს უწყობს ახალი თავისუფალი სივრცეების გაჩენას“. ასევე დადებითად შეფასდა, წერეთლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობის პრობლემის დარეგულირება. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს შშმ პირებისთვის ზღვაზე სპეციალური გადასასვლელების მოწყობაც.

რაც შეეხება სხვა მოვლენებს, ისინი უმეტესად უარყოფით კონტექსტში იყო განხილული. დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარყოფითად შეაფასეს **აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებული მოვლენები** და **ქალაქში მერების ხშირი ცვლის პრაქტიკა**. მათი შეფასებით, მოსახლეობის მიერ არჩეული მერების ჩანაცვლება „დანიშნული მერებით“ პრობლემებს ქმნის ლეგიტიმაციისა და სტაბილური განვითარების თვალსაზრისით.

დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უარყოფითად აფასებენ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შედეგად **სოციალური მუშაკების გათავისუფლებას**. მათი თქმით, კადრების არასაკმარისი რაოდენობა



ისედაც გამოწვევა იყო რეგიონისთვის, სოციალური მუშაკების გათავისუფლება კი, მოქალაქეთათვის სოციალური სერვისების მიღებას კიდევ უფრო ართულებს.

უარყოფით მოვლენად შეფასდა ასევე **სარფის ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტის არაჯეროვანი შესრულება**. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სანაპიროს გამაგრებაზე გამოყოფილი თანხები გახარჯულია, ხოლო სანაპირო კვლავაც არაა გამაგრებული.

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

აჭარის რეგიონში ჩატარებული დისკუსიების შედეგებით გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილე მოქალაქეები უფრო მეტ მნიშვნელობას სოციო-ეკონომიკურ პრობლემებს ანიჭებდნენ და დასძენდნენ, რომ პანდემიის გამო აღნიშნული პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ისინი მეტად ფოკუსირებულები იყვნენ ინსტიტუციურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა აღნიშნავენ, რომ რეგიონის მოსახლეობისათვის ყველაზე მწვავე სწორედ სოციო-ეკონომიკური პრობლემებია. დისკუსიების დროს განხილული ძირითადი პრობლემების ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

› უმუშევრობა;

› თავისუფალი სივრცეების არარსებობა;

› ინფლაცია;

› ჰესების მშენებლობა;

› მუნიციპალური ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა;

› შშმ პირებისთვის არაადაპტირებული გარემო;

› გაუმართავი საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;

› ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯები;

› შერჩევითი სამართალი;

› განათლება;

› პროფესიული კადრების სიმწირე;

› განაშენიანების რეგულირების წესის არარსებობა;

› საჯარო მოხელეებში მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულობის არარსებობა.

დისკუსიის მიმდინარეობისას მოქალაქეები ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევდნენ ქალაქში **თავისუფალი სივრცეების არარსებობას**. აღნიშნული საკითხი მოქალაქეებმა ორი მიმართულებით განიხილეს. ერთი მხრივ, დისკუსიის მონაწილე მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლები პრობლემად აღიქვამდნენ ბარ-რესტორნების მიერ ტროტუარებისა და ფეხით მოსიარულეების სივრცეების ათვისებას;



მეორე მხრივ, მოქალაქეებისთვის პრობლემა იყო ავტომობილების მიერ ველობილიკების ათვისების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს გააჩნია ველობილიკები, მოქალაქეები ხშირად ვერ იყენებენ მათ, რადგან „ავტომობილებს ზედ ბილიკებზე აჩერებენ“. აღნიშნული საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია ბათუმის ტურისტული პოტენციალის გამო, რამდენადაც მსგავსი სივრცეების არარსებობა დისკომფორტს უქმნის არა მხოლოდ ადგილობრივებს, არამედ ტურისტებსაც.

სოციო-ეკონომიკური კუთხით პრობლემად დასახელდა **უმუშევრობა, ინფლაცია და ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯები**. დისკუსანტების მოსაზრებით, კორონავირუსის პანდემიამ გააჩერა ტურიზმის და მომსახურების სექტორები, რომლებიც ბათუმისა და, ზოგადად რეგიონის მოსახლეობის ყველაზე დიდი დამსაქმებლები იყვნენ. შესაბამისად, ფინანსური ვალდებულებები მათ მძიმე ტვირთად დააწვათ. გარდა ამისა, ჯანდაცვასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა დისკუსანტმა აღნიშნა, რომ კორონავირუსის გამო მათ შეეზღუდათ ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და რამდენჯერმე მოუწიათ დაგვემილი პროცედურების, მათ შორის, ქირურგიული ოპერაციების, გადადება.

დისკუსიის დროს აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა **ინფრასტრუქტურული** საკითხები. ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად **სანიღვრე სისტემების გაუმართაობა** დასახელდა. მოსახლეობის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ მუდმივად მიმდინარეობს სამუშაოები, ნალექიანი ამინდების დროს ქალაქის ბევრი ცენტრალური ქუჩა მუდმივად იტბორება, რაც გამოწვევაა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც.

დისკუსიის მონაწილე მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლებმა პრობლემურად მიიჩნიეს ასევე გაუმართავი **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება**. თავის მხრივ, აღნიშნული პარკირების, საცობებისა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გადაადგილების საკითხებს უკავშირდება. დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ სეზონურად ქალაქში (ბათუმი) ძალიან ბევრი ტრანსპორტი გადაადგილდება, რაც იწვევს გადატვირთულობას და საცობების პრობლემას წარმოქმნის. ამასთანავე, ქალაქს არ გააჩნია საკმარისი საპარკინგე სივრცეები. საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გადაადგილებაც აქტუალური საკითხია. კერძოდ, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ახალაშენებული სადგური საქალაქთაშორისო ტრანსპორტისათვის, საქალაქთაშორისო სამარშრუტო ტაქსები „არ არიან მოტივირებულები, რომ გადავიდნენ სადგურში“ და კვლავ ქალაქის შესასვლელში არიან კონცენტრირებულები, რაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს პრობლემებს უქმნის. ცალკე გამოწვევაა გაუმართავი და მოუწესრიგებელი მუნიციპალური ტრანსპორტი.

დისკუსიის მონაწილე მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლებმა პრობლემებს შორის აღნიშნეს **განათლების** მიმართულებით არსებული პრობლემები, რაც უნივერსიტეტებსა და სკოლებში სწავლების დაბალ ხარისხს დაუკავშირდა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა კი, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს რეგიონში ინკლუზიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე. მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სკოლებში სწავლების ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს თვითმმართველობებისა და ჰესების მშენებლობის საკითხებზე. დისკუსიის შედეგებით, რეგიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის ლეგიტიმაციის** საკითხი. ამ თვალსაზრისით, ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები მიიღება არა საჯარო განხილვებითა და მოსახლეობასთან კომუნიკაციით, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, კულუარულად. თვითმმართველობების კონტექსტში



პრობლემად იყო შეფასებული თვითმმართველობების ამჟამინდელი დაფინანსებისა და ბიუჯეტირების მოდელიც, რადგან ეს მოსახლეობასა და თავად ადგილობრივ ხელისუფლებაში მომხმარებელ კულტურას აყალიბებს, რაც აფერხებს რეგიონების განვითარებას.

რაც შეეხება **ჰესების მშენებლობას**, დისკუსანტების მოსაზრებით, პრობლემები იქმნება ეკოლოგიური თვალსაზრისით, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას. გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობა დღემდე ვერ იღებს ჰესების მშენებლობით სარგებელს, რადგან ეს არ ასახულია ელექტროენერჯის ტარიფზე.

არასამთავრობო სექტორის მიერ განხილულ სხვა პრობლემებს შორის ასევე იყო **განაშენიანების რეგულირების წესის არარსებობა** და სამშენებლო სექტორის საქმიანობის არაეფექტური მონიტორინგი. ქაოტურ მშენებლობას და ქალაქის „ჩაბეტონების“ ტენდენციებს უარყოფითად აფასებენ როგორც დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის, ასევე მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლებიც. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებით, მშენებლობა ცუდი არაა, თუმცა ეს ქალაქს არ უნდა აზიანებდეს და გარკვეულ წესებს უნდა ემორჩილებოდეს. ამასთანავე აღინიშნა, რომ სანაპიროს განაშენიანებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები საზოგადოებრივი დისკუსიისა და კონსენსუსის შედეგად უნდა მიიღებოდეს, რაც არ ხდება და ეს თვითმმართველობის გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას აყენებს ეჭვქვეშ.

ფოკუსური დისკუსიების მიმდინარეობისას პრობლემებს შორის იყო **შერჩევითი სამართლის** არსებობა. კერძოდ, დისკუსიის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ „ვისაც ნაცნობი ჰყავს, ყველაფერი გასდის“. ასევე მნიშვნელოვნად პრობლემად იქნა მიჩნეული **სოციალური დახმარების გაცემის არსებული მოდელი**. როგორც დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, „არ შეიძლება ადამიანი, რომელიც არის ახალგაზრდა და ჯანმრთელია, 20 წელი იყოს სოციალური დახმარების მიმღები.“

დისკუსანტთა შეფასებით, რეგიონისთვის აქტუალური ბევრი პრობლემაა. უმთავრესი პრობლემების იდენტიფიცირებისას არასამთავრობო სექტორისა და მოსახლეობის ჯგუფის მოსაზრებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. კერძოდ, მოქალაქეები მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ისეთ სოციო-ეკონომიკურ საკითხებს, როგორცაა ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, დასაქმებასთან ასოცირებული პრობლემები და ინფლაცია. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, მათი მოსაზრებით, რეგიონისათვის მნიშვნელოვანია სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობისა და დაბალი სამოქალაქო ცნობიერების, ასევე ურბანული განვითარების პრობლემები.

ხელმისაწვდომი ჯანდაცვა

მოსახლეობის მიერ რეგიონის მთავარ გამოწვევად ხელმისაწვდომი ჯანდაცვის არარსებობა დასახელდა, რაც ძირითადად სამედიცინო სერვისებისა და მედიკამენტების **მაღალ ფასს** უკავშირდება. მოქალაქეები აღნიშნავენ, რომ ქალაქში ტყვიის მაღალი კონცენტრაციის, ასევე გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემების გამო, ჯანდაცვა ბევრი ადამიანისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, სამედიცინო სერვისებისა და მედიკამენტების მზარდი ფასები სულ უფრო ზღუდავს ჯანდაცვაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობას.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში მოქალაქეები მთავარ როლს ცენტრალურ ხელისუფლებას ანიჭებენ და მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს სამედიცინო და ფარმაცევტული ბაზრის რეგულირების მექანიზმი, რათა სერვისები რიგითი მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი იყოს.



დასაქმებასთან ასოცირებული პრობლემები

კვლევის მონაწილეების მოსაზრებით, დასაქმებისა და უმუშევრობის კუთხით არსებული პრობლემები კომპლექსურია. დისკუსანტები დასაქმების კუთხით არსებულ რამდენიმე გამოწვევაზე ამახვილებენ ყურადღებას. ესენია, დაბალი ანაზღაურება, შრომის უფლებების დარღვევა, თურქეთის საზღვრის ჩაკეტვა და დასაქმების შესაძლებლობების არარსებობა, მოსახლეობის მენტალობა და არაადგილობრივი კომპანიების მიერ უცხოელი სპეციალისტების დასაქმება.

მოსახლეობის მოსაზრებით, რეგიონში ხელფასები ძალიან დაბალია და ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებებს; გარდა ამისა, დასაქმებულებს ხშირად უნევთ ზეგანაკვეთური მუშაობა დამატებითი ანაზღაურების არარსებობის პირობებში. დასაქმების კუთხით პრობლემატურად მიიჩნევენ ასევე კულტურული ფაქტორები, რაც მოსახლეობის მიერ „სათაკილოდ“ მიჩნეული კონკრეტული პოზიციების მთელ ნუსხას უკავშირდება (მაგალითად, მიმტანი). დასაქმებისა და უმუშევრობის თვალსაზრისით უარყოფითად შეფასდა თურქეთი საზღვრის ჩაკეტვაც, რადგან ამან გამოიწვია საზღვართან ახლოს მდებარე თურქულ დასახლებებში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების უმუშევრობა. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის ზრდა საზღვრის ჩაკეტვის მოკლევადიანი ეფექტი იყო, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ამან ხელი შეუწყო რეგიონში არსებული დაბალანაზღაურებადი სამსახურების ათვისებას. დაბოლოს, რამდენიმე დისკუსანტი აღნიშნავდა, რომ კომპანიები, რომლებიც ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ და სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებენ, ხშირად არ ასაქმებენ ადგილობრივებს და ჩამოჰყავთ უცხოელი თანამშრომლები, რაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად იყო შეფასებული.

პრობლემის მოგვარების კუთხით დისკუსიის მონაწილეები პირველ რიგში საჭიროდ მიიჩნევენ შრომის კოდექსის გაუმჯობესებას და უკვე არსებული რეგულაციების აღსრულების მონიტორინგს, რათა დამსაქმებლებმა არ გადააჭარბონ თავიანთი უფლებამოსილებები. მეორე მხრივ, მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ უნდა არსებობდეს სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული საზღვრის სპეციალისტების ათვისება შეუძლია შრომის ბაზარს და ამის მიხედვით მოხდეს მომავალი სპეციალისტების მომზადება. ამასთანავე, ეს ინფორმაცია საზოგადოებისათვისაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი. მესამე, მოსახლეობა საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფო და ბიზნესსექტორის აქტიურ თანამშრომლობას, რათა სხვადასხვა ეკონომიკური პროექტი განხორციელდეს და რეგიონში მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას.

ინფლაცია

დისკუსიის მონაწილეები რეგიონის მოსახლეობისათვის დიდ გამოწვევად მიიჩნევენ ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს და მის თანმდევ გაზრდილ ფასებს. დისკუსანტები თვლიან, რომ ინფლაციის ზრდა მოსახლეობის მეტ გადარიბებას იწვევს. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა საბანკო ვალდებულებების მქონე მოქალაქეთათვის. როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა გაყიდა რეზერვები და ასევე შეიზღუდა ლარის გარდა სხვა ვალუტაში სესხების გაცემა, დისკუსანტების შეფასებით, მდგომარეობა კვლავ მძიმეა. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ეროვნულმა ბანკმა მეტად აქტიური ნაბიჯები უნდა გადაეღას, რათა ქვეყანაში „უცხოური ვალუტა შემოვიდეს და ლარის კურსი დასტაბილურდეს“.

სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა

დისკუსიის შედეგებით გამოვლინდა, რომ არასამთავრობო სექტორი ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობას მიიჩნევს. აღნიშნულის მთავარ მიზეზად არსებული კანონმდებლობა, თვითმმართველობების ბიუჯეტირების პრინციპი და ასევე, საზოგადოების



მენტალობაც დასახელდა. კვლევის მონაწილეები მნიშვნელოვნად წინადადებულ ნაბიჯად მიიჩნევენ თვითმმართველობების რეფორმას, თუმცა აღნიშნავენ, რომ ვერ მოხერხდა ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართულობას ამ ერთეულების საქმიანობაში. გარდა იმისა, რომ სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართულობას, დისკუსანტები პრობლემად ასახელებენ მოქალაქეთა დაბალ სამოქალაქო ცნობიერებას, რაც ზღუდავს მათ სამოქალაქო პროცესებში ჩართულობასაც. დისკუსიის შედეგებით, ადგილობრივი მოქალაქეები ვერ იაზრებენ ხელისუფლების მნიშვნელობას, რომ რეალურად მათი საქმიანობა მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახედებით ფინანსდება და საჯარო სექტორის მოხელეები ანგარიშვალდებულები სწორედ მათ წინაშე არიან.

გარდა ამისა, დისკუსანტები მიიჩნევენ, რომ უნდა შეიცვალოს საგადასახადო სისტემა და ასევე თვითმმართველობების ბიუჯეტის გადანაწილების წესი. ამჟამინდელი გადანაწილების მექანიზმით, თვითმმართველობებს იმდენად მწირი ბიუჯეტი აქვთ, რომ „თითქმის ნახევარი ხელფასებსა და ბიუროკრატიაზე იხარჯება“, ხოლო დარჩენილი ნაწილი არაა საკმარისი მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტების განსახორციელებლად. ასევე, არსებული მონაცემებით ძალიან დიდი რეგიონები გათავისუფლებულია გარკვეული საგადასახადო ვალდებულებებისგან, რაც თვითმმართველობებში და მოქალაქეებში „ბიუჯეტის მიმართ მომხმარებლურ დამოკიდებულებას ავითარებს“. შესაბამისად, დისკუსიის მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ შეიცვალოს საგადასახადო სისტემა და ცალკეული მუნიციპალური ბიუჯეტები გადაეცეს ადმინისტრაციულ ერთეულებს. ამ მოცემულობით, მუნიციპალიტეტებში მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა გაჩნდება თემის განვითარების მიმართ.

პრობლემაზე საუბრისას დისკუსანტები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს არა მოქალაქეებთან დისკუსიების, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმების გზით („ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საჭიროებს შეთანხმებას პარლამენტთან ან მთავრობასთან.... მედია თუ არ გააშუქებს რამეს, შეიძლება ვერც მიხვდეს, თუ რა ხდება ან რამე მოხდა“).

პრობლემის მოგვარების მხრივ, დისკუსანტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, საგადასახადო რეფორმას, ბიუჯეტირების წესის შეცვლას, დეცენტრალიზაციას, მოქალაქეების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, მათი მხრიდან ხელისუფლების მნიშვნელობის გააზრებას და მეტ ჩართულობას თვითმმართველობის პროცესებში.

ურბანული პოლიტიკა

დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ბათუმის ურბანულ პოლიტიკას ასახელებდნენ. კერძოდ, მათ მიაჩნიათ, რომ ქალაქს არ გააჩნია რეალური განვითარების გეგმა. დისკუსანტები აღნიშნავენ, რომ მართალია, ქალაქს ჰქონდა მსგავსი გეგმა, მაგრამ არ მომხდარა მისი ჯეროვანი იმპლემენტაცია. ამასთანავე, ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ შშმ თემის საჭიროებები ურბანული განვითარების საკითხებში სრულებით არაა გათვალისწინებული. მერია ახორციელებს შშმ პირებთან დაკავშირებით პროექტებს, თუმცა ეს უმეტესად თვალსაჩინოებისთვის კეთდება და არა რეალური შედეგისთვის.

იმისათვის, რომ ამ მხრივ არსებული ვითარება გამოსწორდეს, დისკუსანტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია შეიქმნას განვითარების გეგმა, მოხდეს მისი ეფექტური იმპლემენტაცია და გადამზადდნენ ურბანული განვითარების სპეციალისტები, რომლებიც ქალაქში ახალ ხედვას და ამ მიმართულებით ინოვაციების დამკვირდებას შეუწყობენ ხელს.



1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

სხვადასხვა ჯგუფის წინაშე არსებულ გამოწვევებზე საუბრისას დისკუსანტებმა აღნიშნეს, რომ აჭარის რეგიონში ყველა ჯგუფისათვის მნიშვნელოვან პრობლემას დასაქმება და ეკონომიკური პრობლემები წარმოადგენს. კონკრეტულად ახალგაზრდებისათვის მთავარ გამოწვევად განათლება და დასაქმება დასახელდა. მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ რეგიონში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები არ იძლევა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. ამასთანავე, გამოწვევაა შრომის ბაზართან ინტეგრაცია დამსაქმებლების მხრიდან „არაადეკვატური მოთხოვნებისა და რეალური სტაჟირების გავლის შესაძლებლობების სიმწირის გამო“. დისკუსიის ახალგაზრდა მონაწილეები მიიჩნევენ, რომ დამსაქმებლები სტაჟირებას აღიქვამენ, როგორც „შავ საქმეს“ და „აუნაზღაურებელ შრომას“, შესაბამისად, ახალგაზრდებს ხშირად უწევთ პოზიციისთვის შეუსაბამო დავალებების შესრულება.

უფროსი ასაკის ადამიანებისთვის მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე. გარდა ამისა, ზოგიერთმა მონაწილემ პრობლემურად მიიჩნია პენსიონერებისათვის სესხების გაცემა, რადგან ხშირად მათ არ აქვთ საკმარისი ფინანსური განათლება და არც არიან ჯეროვნად ინფორმირებულები საბანკო ოპერაციების შესახებ, რაც მათი ისედაც მცირე შემოსავლების მეტად შემცირებას იწვევს.

რაც შეეხება დასაქმებულებს, მათთვის მთავარი გამოწვევა დაბალი ანაზღაურება და შრომის უფლებების დარღვევაა. აღსანიშნავია, რომ დისკუსიის მონაწილეები პრობლემურად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ კერძო სექტორში დასაქმებული ქალბატონები ხშირად ვერ სარგებლობენ დეკრეტული შვებულებით და ეს მხოლოდ საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების პრივილეგიაა.

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

იქედან გამომდინარე, რომ აჭარის რეგიონის მოსახლეობა ყველაზე მტკივნეულად სოციო-ეკონომიკურ პრობლემებს და დასაქმებას მიიჩნევს, ისინი პრობლემების გადაჭრაში მეტად ხედავენ ბიზნესსექტორის როლს. მოსახლეობა მოელის კერძო სექტორის მეტ აქტიურობას სამუშაო ადგილების შექმნისა და ადგილობრივი კადრების მეტად დასაქმების კუთხით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ დისკუსიის მონაწილე მოსახლეობა პრობლემების გადაჭრაში მეტ როლს ანიჭებს ადგილობრივ ხელისუფლებას ცენტრალურთან შედარებით. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მეტად უნდა თანამშრომლობდეს კერძო სექტორთან, რათა დასაქმებასთან, ინფრასტრუქტურასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემები სწრაფად და ეფექტიანად მოგვარდეს.

მოქალაქეები ასევე მეტ აქტიურობას მოელიან პოლიტიკური პარტიებისგანაც, განსაკუთრებით, მოსახლეობასთან კომუნიკაციის კუთხით. დისკუსანტები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური პარტიები მეტად უნდა ხვდებოდნენ მოსახლეობას და უნდა ინტერესდებოდნენ, რამდენად შესრულდა წინასაარჩევნო პერიოდში მათ მიერ გაცემული დაპირებები. დისკუსიის მონაწილეთა მოსაზრებით, ეს დადებითად იმოქმედებს მოსახლეობას მხრიდან პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობაზე.

და ბოლოს, პრობლემების მოგვარების კუთხით დისკუსანტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თითოეული მოქალაქის როლს. კერძოდ, მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ უნდა შეიცვალოს საზოგადოების ცნობიერება. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების როლს, დისკუსიის მონაწილე მოსახლეობის წარმომადგენელთა შეფასებით, მათი საქმიანობა არაეფექტიანია და ეს იმის გამო, რომ მოსახლეობისათვის უცნობია რეგიონში წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა.

საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი





1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

დისკუსიის პირველი ნაწილი შეეხო იმ მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვას, რომლებიც რეგიონში ბოლო 1-2 მანძილზე განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების დიდ ნაწილს საუბრის დასაწყისში გაუჭირდა კონკრეტული მოვლენების დასახელება და დისკუსიის გაშლის შემდგომ მთავარ პრობლემად სწორად ის ფაქტი / მოვლენა დასახელდა, რომ რეგიონში დიდი ხანია არაფერი ხდება, პროცესები გაჩერებულია და რეგიონი პრაქტიკულად „უძრაობის ხანაში იმყოფება და სრულ სტაგნაციას განიცდის“.

დისკუსიის მსვლელობისას მონაწილეებმა დაასახელეს რამდენიმე მნიშვნელოვანი თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებსაც რეგიონში ბოლო წლებში ჰქონდა ადგილი. მონაწილეთა ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ დაპირებული 100 ქარხნიდან, მოლოდინი ჰქონდათ, რომ 10 მაინც აშენდებოდა რეგიონში, თუმცა ეს მინიმალური მოლოდინიც კი ვერ გამართლდა. აღნიშნულ კონტექსტში დასახელდა **სამკერვალო ქარხნის გახსნა ქალაქ ოზურგეთში**, სადაც 80-მდე ადამიანია დასაქმებული. ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით, საწარმოში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურება მინიმალურია და არ არის განეული შრომის ადეკვატური, შესაბამისად, ქარხანაში დასაქმებულთა უკმაყოფილების დონე საკმაოდ მაღალია. ამასთან, რესპონდენტების შეფასებით, საწარმოს გახსნით სარგებელი მიიღო მხოლოდ ინვესტორმა, რომელსაც 1 ლარად გადაეცა არაპროპორციული მიწა, აშენდა ქარხანა, რომელმაც, თავის მხრივ, დასაქმების მცირედი შესაძლებლობა შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის („*მივსალმებით ნებისმიერი საწარმოს გახსნას, თუმცა ამ კონკრეტულმა საწარმომ, ამინდი შექმნაო - ამას ვერ ვიტყვით ნამდვილად...*“).

მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვის კონტექსტში დასახელდა **დენდროლოგიური პარკის გახსნა**, თუმცა, მონაწილეთა დიდი ნაწილის შეფასებით, ამ მოვლენას არავითარი დადებითი გავლენა არ მოუხდენია რეგიონის ცხოვრებაზე, გარდა იმისა, რომ „*გაჩნდა საგზაო ნიშნები საცობების თავიდან აცილების მიზნით, რაც კარგია, რადგან ამის გარეშე არც არავის გაახსენდებოდა ამის გაკეთება*“. აღინიშნა ისიც, რომ პარკის შესასვლელთან არსებულმა რიგებმა ტერიტორიაზე გადაადგილების შესაძლებლობა შეზღუდა და მონაკვეთის გავლას უწინდელზე გაცილებით დიდი დრო სჭირდება. ასევე, მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ დენდროლოგიური პარკის გახსნამ დასაქმების შესაძლებლობა შექმნა რეგიონის სულ რამდენიმე მცხოვრებისთვის, რომლებიც აგრარულ კონსულტაციებს უწევენ კომპანიას.

მსჯელობისას მონაწილეები აქტიურად შეეხნენ გომისმთის ტურისტული მიმართულებით განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მთავარ მოვლენად ამ მიმართულებით დაასახელეს **უკანონო, უნებართვო მშენებლობების „ბუმი“ გომისმთის ტერიტორიაზე** („*ნებართვას ვერავინ გასცემს, სწორედ ეს არის პრობლემა, რადგან მიწის ნაკვეთები არ არის რეგისტრირებული. იქ არის ე.წ. „ველური დასავლეთი“, დასწრებაზეა ყველაფერი*“). აღინიშნა, რომ ეს პრობლემა სათავეს იღებს მთავრობის მიერ გაუღერებული დაპირებიდან მიწების უფასო რეგისტრაციის შესახებ. მონაწილეთა შეფასებით, პროცესების განვითარების ჯაჭვი შემდეგნაირად გამოიყურება: გაუღერდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება გეგმავდა გომისმთის ტურისტულ ზონად გადაქცევას, სადაც დაგეგმილი იყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მისი სრული რეაბილიტაცია (შიდა და დამაკავშირებელი საავტომობილო გზების რემონტი და ელექტრო და წყალმომარაგების სისტემების დამონტაჟება), რამაც, თავის მხრივ, სტიმული მისცა უკანონო მშენებლობების წამოწყებას. ამის შემდგომ, გაუღერდა



ინფორმაცია, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელდებოდა მინების უფასო რეგისტრაცია, რასაც მოჰყვა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი რეგიონში და აზომვითი სამუშაოების დაწყება. შედეგად, გომისმთის ტერიტორია სრულად არის ათვისებული დასრულებული თუ დაუსრულებელი უკანონო მშენებლობებით (სადაც მხოლოდ ბოძებია დარჩობილი) („მართლაც საშინელი შესახედაა. რომ შეადაროთ თუნდაც 1 წლის წინანდელ სურათს დღევანდელი ვითარება, ვერც იცნობთ ამ ადგილებს. ზოგი სახლი ისეთ ადგილას არის აშენებული, სადაც ზვავსაშიში ზონაა“).

მონაწილეთა ნაწილი აღნიშნულ პრობლემას წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის მოზიდვასაც უკავშირებს („ამას მეორე პრობლემაც ერთვის. მშენებლობების დიდი ნაწილის მფლობელთა თქმით ეს სახლები იქ ადრეც იყო. ვფიქრობ, ცოტას კიდევ ადროვებს ხელისუფლება ხალხს და მერე ეტყვის, რომ არსებობს 2006-2007 წლების დოკუმენტაცია, სადაც ნათლად ჩანს იყო თუ არა ეს სახლები იქ“). მონაწილეთა ნაწილი აცხადებს, რომ მოქმედი კანონმდებლობით (თუ ახალი კანონი არ მიიღეს ან ცვლილებები არ განხორციელდა არსებულში) თვითნებურად დაკავებული მხოლოდ იმ მინების რეგისტრაციაა შესაძლებელი, რომელიც 2007 წლამდე იყო პირის მფლობელობაში („ასეა ეს და თუ რამეს შეცვლიან ან გომისმთისთვის რამე განსხვავებულ კანონს მიიღებენ, ეგ არ ვიცი. იქ რომ ყველა სახლი აშენდეს, სადაც ბოძებია ჩარჩობილი, ალბათ სასუნთქი ჰაერი აღარ დარჩება“).

ბოლოდროინდელ მნიშვნელოვან მოვლენათა შორის, ასევე დასახელდა ბოლო 2 წლის მანძილზე **მოცვის პლანტაციების** აქტიური გაშენება გურიის ტერიტორიაზე (თხილისა და ჩაის პლანტაციების შემდეგ). მონაწილეები ამბობენ, რომ აღნიშნული სიახლეს წარმოადგენს რეგიონისთვის და ამ კუთხით, ჯერ ისევ ექსპერიმენტულ ფაზაში იმყოფება რეგიონი, რამდენადაც სიახლის შეტანა სოფლის მეურნეობის მიმართულებით ხდება სპონტანურად, ყოველგვარი წინასწარი გათვლებისა და შესწავლის გარეშე და უცნობია რამდენად მომგებიანი იქნება ეს მიმართულება.

დისკუსანტები აღნიშნავენ, რომ რეგიონის განვითარების ტემპი, ზოგადად, ძალიან დაბალია. ამასთან, აღინიშნა, რომ გურიაში საკმაოდ **აქტიურია სამოქალაქო სექტორი**. რესპონდენტების შეფასებით, განვითარების ტენდენციები და პოზიტიური ცვლილებები სამოქალაქო სექტორის ძალისხმევით შედეგია. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, „რაც ხდება რეგიონში პოზიტიური, ყველაფერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ძალისხმევას უკავშირდება“ და, შესაბამისად, ბოლო 2 წლის მოვლენათა ნუსხაში ის პროექტები და ინიციატივები დაასახლეს, რომლებიც არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელდა. აღნიშნულ კონტექსტში დასახელდა შემდეგი ინიციატივები და პროექტები: ა) მონაწილეობითი ბიუჯეტირების ელექტრონული პლატფორმის დანერგვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, რომელიც გასულ წელს განხორციელდა და განახლდა მიმდინარე წელს გაორმაგებული ბიუჯეტით. პროექტი ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული შინაარსის პროექტების დაფინანსებას მოქალაქეების აქტიური ჩართულობით; ბ) ტურიზმის მიმართულებით განხორციელებული პროექტი, რომელიც ტურიზმის სტრატეგიის შემუშავებას ისახავდა მიზნად; გ) ბოლო წლებში განხორციელებული პროექტები, რომლებიც მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დანერგვას ითვალისწინებდა; და ა.შ.

და ბოლოს, საკმაოდ ვრცელი დისკუსია დაეთმო ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგიონის **მდინარეების განადგურების** საკითხს, რაც ინერტული მასალის მოპოვების გაზრდილ მოთხოვნას უკავშირდება ავტობანის მშენებლობის გამო. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ საკითხის მოგვარებაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიც აქტიურად იყო და არის ჩართული, თუმცა საკითხის საბოლოო მოგვარება ცენტრალური ხელისუფლების დონეზე წყდება.



დისკუსიის მონაწილეებმა ვრცლად ისაუბრეს დასახელებული მოვლენების დადებით და უარყოფით მხარეებზე. დადებით მხარეთა შორის დასახელდა პანდემიის პირობებში გაუარესებული ეკონომიკური სიტუაციის ფონზე გომისმთაზე მიმდინარე მშენებლობებზე დასაქმების შესაძლებლობის შექმნა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის (მუშახელი, სამშენებლო მალაზიები, ტრანსპორტირება და ა.შ.) („თამამად შემოძლია ვთქვა, რომ ოზურგეთში მცხოვრებმა ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო ეკონომიკური სარგებელი ამ პროცესებიდან, რასაც ვერ ვიტყვით დენდროლოგიურ პარკზე და თუნდაც წლების წინ გახსნილ „Black See Arena“-ზე“).

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

დისკუსიის შედეგად გურიის რეგიონისათვის ყველაზე აქტუალურად შემდეგი პრობლემები იდენტიფიცირდა:

- › გურიის „მცირე“ მდინარეებიდან ინერტული მასალის უკონტროლო და უკანონო მოპოვება;
- › ნარჩენების მართვა;
- › მიუსაფარი ძაღლები;
- › ჯანდაცვის სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და სერვისის ხარისხი;
- › წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა;
- › მოუნესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა;
- › ახალგაზრდების გადინება;
- › კვალიფიციური კადრის დეფიციტი;
- › გზების ქაოტური რეაბილიტაცია და ერთიანი გეგმის არარსებობა;
- › საზოგადოებრივი ტუალეტების ხელმიუწვდომლობა/დეფიციტი;
- › დაბალი ანაზღაურება;
- › ტურიზმის სფეროში არსებული გამოწვევები;
- › სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული გამოწვევები;
- › გაუმართავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

გურიის „მცირე“ მდინარეებიდან **ინერტული მასალის უკონტროლო და უკანონო მოპოვება** რეგიონისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად იდენტიფიცირდა. რესპონდენტთა შეფასებით, აღნიშნული საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ეკოსისტემას და აზარალებს ადგილობრივ მოსახლეობას. მათი აზრით, რეგიონის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ავტობანის მშენებლობას უკავშირდება,



რომელიც, თავის მხრივ, დადებით მოვლენად შეფასდა, თუმცა, რესპონდენტთა თქმით, ასევე გამოიწვია მთელი რიგი პროცესები, რომლებიც ნეგატიურ კონტექსტში განიხილება. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ავტობანის მშენებლობამ უზომოდ დიდი რაოდენობის ინერტული მასალის საჭიროება დააყენა დღის წესრიგში, რამაც გურიის მდინარეების უკანონო ექსპლუატაცია გამოიწვია. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პრობლემის მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გურიის მდინარეები წარმოადგენენ „მცირე მდინარეებს“, რაც კანონით განსაზღვრული ტერმინია (მცირე მდინარეებად მიიჩნევა ის მდინარეები, რომელთა სათავიდან სხვა მდინარესთან ან ზღვასთან შეერთებამდე მანძილი 50 კმ-ს არ აღემატება). ამასთან, აღინიშნა ისიც, რომ არსებული განმარტების თანახმად, გურიის ყველა მდინარე წარმოადგენს „მცირე მდინარეს“ და კანონი პირდაპირ ზღუდავს მცირე მდინარეებზე ქვიშა-ხრების მოპოვებითი კარიერების განთავსებას. რესპონდენტები ამბობენ, რომ კანონის აღსრულებისთვის საჭიროა ქვენორმატიული აქტის მიღება, რასაც ხელისუფლება მიზანმიმართულად აფერხებს („...საქმე გადაცემული ჯერ კიდევ არ არის მთავრობისთვის და იმ ორგანოებისთვის, ვინც უნდა მიიღოს ქვენორმატიული აქტი შესაბამისი სტრუქტურებისთვის. უკვე აშკარაა, რომ შეფერხებები ხდება შეგნებული და რაღაც დროის გასვლას ელოდებიან“). დისკუსიის მონაწილეების მთავარ წუხილს ის გარემოება წარმოადგენს, რომ მანამ, სანამ პრობლემა იურიდიულად მოგვარდება, გურიის მდინარეების კალაპოტები იმდენადაც დაზარალდება, რომ მის აღდგენას ათწლეულები დასჭირდება („ყველა მდინარეს, სადაც ისინი შევიდნენ კალაპოტი შეუცვალეს, რაც კანონით დაუშვებელია. აქ თევზიც ნადგურდება, ბარალდება მოსახლეობაც, რადგან ეს კალაპოტშეცვლილი მდინარეები ართმევს მათ მიწის კრძო ნაკვეთებს და არავინ არის მისი ამნაზღაურებელი“). რესპონდენტები, აღნიშნავენ, რომ აღნიშნული მიწები წლების განმავლობაში ემსახურებოდა გლეხს და კიდევ ბევრი წელი მოემსახურებოდა. მონაწილეთა განმარტებით, არაერთხელ დაისვა ეს საკითხი ადგილობრივ თვითმმართველობებთან, თუმცა დაზარალებული მოსახლეობის დაკარგული მიწების კომპენსაციის მოთხოვნა დღემდე პასუხგაუცემელი რჩება. დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ამ მიწების კომპენსაციების საკითხის მოგვარებას ის გარემოებაც აფერხებს, რომ დაზარალებული მოსახლეობის 90%-ს არ აქვს სათანადოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

ამასთან, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ინერტული მასალის მოპოვების პროცესი მცირე მდინარეებზე სრულიად უკონტროლოდ მიმდინარეობს და ხშირად ირღვევა ლიცენზიის პირობები („თუ ლიცენზიის გაცემა ხდება 10,000 მ³ მოპოვებაზე, რეალურად ხდება 30,000 მ³ მოპოვება/გატანა და არავინ აკონტროლებს პროცესს“). დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ არასამთავრობო სექტორი საკმაოდ გააქტიურებულია ამ მიმართულებით და ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციას, შეძლებისდაგვარად, არასამთავრობო სექტორი ასრულებს.

მეორე ძალიან აქტუალური პრობლემა, რომელსაც დისკუსიის მონაწილეები შეეხნენ, **ნარჩენების მართვის** საკითხს უკავშირდება. ამასთან, აღინიშნა ისიც, რომ ეს საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ გურიის რეგიონისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით, თითოეულ მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სადაც მითითებულია როგორ მოახდენს მუნიციპალიტეტი ნარჩენების მართვას (იქნება ეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგავსაყრელების მოწესრიგება, სტიქიური ნაგავსაყრელების რემედიაცია, ახალი კონტეინერების შექმნა და ა.შ.), თუმცა ამ გეგმის აღსრულება არ ხდება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონში ეკოლოგიურ პრობლემებს გამოიწვევს. აღინიშნა, რომ სამოქმედო გეგმა ყველა მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს, თუმცა მონიტორინგის შედეგები ცხადჰყოფს, რომ არანაირი პრაქტიკული ნაბიჯები არ იდგმება ამ გეგმის აღსრულების მიმართულებით.



საკმაოდ მწვავედ შეფასდა **მიუსაფარი ძაღლების** პრობლემა ქალაქ ოზურგეთისა და, ზოგადად, რეგიონისთვის. დიკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქუჩაში გადაადგილება მოსახლეობისათვის უსაფრთხო არ არის, განსაკუთრებით საღამოს საათებში.

ჯანდაცვის სერვისების ფიზიკური ხელმისაწვდომობისა და მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის პრობლემა ასევე იდენტიფიცირდა როგორც აქტუალური და პრობლემური. დისკუსიის მონაწილეთა განმარტებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის ერთადერთი მულტიპროფილური ჰოსპიტალი, სადაც შედარებით მრავალფეროვანი სერვისის მიღება არის შესაძლებელი. აღინიშნა ისიც, რომ „*კლინიკაში მოხვედრა და სერვისის მიღება არის ცალკე თავგადასავალი. არის წარმოუდგენლად გრძელი და მოუწესრიგებელი რიგები და შესაძლოა დილით მისულმა პაციენტმა საერთოდ ვერ მიიღოს საჭირო მომსახურება*“. მონაწილეთა განმარტებით, პრობლემის ერთ ნაწილს წარმოადგენს ის, რომ აღნიშნულ კლინიკას ალტერნატივა არ აქვს რეგიონში, წარმოადგენს ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებას და ხშირად მოქალაქეები იძულებულნი არიან ისარგებლონ მისი მომსახურებით, ხოლო პრობლემის მეორე ნაწილს წარმოადგენს მომსახურების დაბალი ხარისხი („*სერიოზულად რისკავ, როდესაც ამ დაწესებულებაში მიდიხარ, იმიტომ რომ არ იცი, რამდენად სწორ დიაგნოზს დაგისვამენ*“). მონაწილეთა განმარტებით, ჯანდაცვის მომსახურების საკითხი ძალიან მწვავედ და „სამიშად“ დგას მთელ რეგიონში, რაც დაუყოვნებელ მოგვარებას საჭიროებს.

წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა კიდევ ერთი აქტუალური პრობლემაა რეგიონისთვის. აღინიშნა, რომ გურიაში საკმაოდ რთულად დგას წყალმომარაგების საკითხი და ქალაქის ტერიტორიის ნაწილიც კი არ არის სრულად ჩართული წყალმომარაგების ქსელში, არა თუ სოფლები. პრობლემის მეორე ნაწილი, დამშრალ ქვებს უკავშირდება, რაც მცირე მდინარეების უკანონო ექსპლუატაციით არის გამოწვეული („*მოსახლეობის* *გარკვეულ ნაწილს ამ ქვების საშუალებაც არ აქვს და დიდი მანძილიდან უწევთ წყლის მიტანა ადგილებზე*“).

მონაწილეთა განმარტებით, რეგიონის არანაკლებ აქტუალურ პრობლემას **მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა** წარმოადგენს („*ჯერ კიდევ არ არის სრულად დაფარული ქალაქი ოზურგეთი საკანალიზაციო ქსელით და ადგილობრივი წერტილოვანი ქვებით უწევთ ადამიანებს არსებობა*“).

დისკუსიის მონაწილეებმა საკმაოდ ხანგრძლივი დრო დაუთმეს რეგიონიდან **ახალგაზრდების გადინების** განხილვას, რაც მათივე შეფასებით, საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს რეგიონისთვის. აღინიშნა ისიც, რომ გადინების პროცესი წლიდან წლამდე სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს, რამდენადაც „*არანაირი პირობა არ არის შექმნილი რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ადგილზე დაკავებისთვის*“. დისკუსანტებმა ასევე დასძინეს, რომ მიგრაციის პრობლემა მასშტაბურია და მხოლოდ ახალგაზრდების ჯგუფს არ ეხება. ის ყველა ასაკის ადამიანზე ვრცელდება, რაც დასაქმების შესაძლებლობის პრობლემას უკავშირდება („*რეგიონში დასაქმების და შემოსავლის გაჩენის ძალიან მინიმალური შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, ვისაც შეუძლია გარბის - ზოგი ქალაქში, ზოგი ქვეყნიდან*“).

გარკვეულწილად ახალგაზრდების გადინებას უკავშირდება რეგიონის კიდევ ერთი აქტუალური პრობლემა, კერძოდ, **კვალიფიციური კადრის დეფიციტი**. დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის თქმით, მათი მხრიდან სამუშაოს მაძიებლის მიმართ არსებული მოთხოვნები პრაქტიკულად მინიმუმამდე არის დაყვანილი, გამოცდილება/ნამუშევარი წლების რაოდენობა საერთოდ ამოღებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან და აქცენტი მხოლოდ ბაზისურ განათლებაზე კეთდება, თუმცა, ამის მიუხედავად, „*კადრის პოვნა და მოზიდვა ხშირ შემთხვევაში*



გადაუჭრელ ამოცანად რჩება“. დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ პრობლემას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ კვალიფიციური კადრი რეგიონში აღარ ბრუნდება, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ბრუნდება, ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ამა თუ იმ პოზიციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ **გზების რეაბილიტაციის** მიმართულებით გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯები აღინიშნება, თუმცა პროცესი „საკმაოდ ქაოტურად და არათანმიმდევრულად მიმდინარეობს“. პრობლემის მიზეზად სახელდება არაგონივრული, არამიზნობრივი დაგეგმარების პრობლემა. რესპონდენტთა განმარტებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც განახლებულ, რეაბილიტირებულ გზაზე ხელახლა ხდება ასფალტის საფარის დაგება, მაშინ როდესაც შიდა სასოფლო გზები დღემდე მოუნერსივრებელი და ხელშეუხებელია. რესპონდენტების ნაწილს მიაჩნია, რომ ეს არის თანხების არაგონივრული ხარჯვა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს პრობლემას. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, შემოქმედის გზის განმეორებითი რეაბილიტაცია დაკავშირებულია გომისმთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტთან და, სავარაუდოდ, გზის აღნიშნული მონაკვეთის განმეორებითი რეაბილიტაცია მძიმე სამშენებლო ტექნიკისა და ტრანსპორტის გადაადგილებისთვის მინიმალური მოთხოვნების უზრუნველყოფას ითვალისწინებს (რაზეც მისი წინამორბედი არ იყო გათვლილი). რესპონდენტმა აღნიშნა ისიც, რომ არსებობს სახელმწიფო მნიშვნელობის გზები (მაგ. გომისთვის მონაკვეთი, ჩოხატაური-ბახმაროს მონაკვეთი), რომელთა მოვლა-პატრონობაზე გამოყოფილია მსოფლიო ბანკის სესხი/გრანტი გურიის რეგიონისთვის და მასზე პასუხისმგებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტია. რაც შეეხება შიდა სასოფლო გზებს, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეს მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობაში შედის. მისივე განმარტებით, ზუსტად ეს იწვევს უთანასწორობას და ქმნის ერთიანი მიდგომის არარსებობის საფუძველს („ასეთია დაყოფა და დაფინანსების წყაროც სხვადასხვაა“).

დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ **საზოგადოებრივი ტუალეტები** არის ძალიან მცირე რაოდენობით რეგიონში და ისიც სავალალო მდგომარეობაში, რომლითაც სარგებლობა პრაქტიკულად შეუძლებელია არსებული ანტისანიტარიის გამო.

ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ოფიციალურ წყაროებში (საქსტატი) გურია მოიხსენიება ყველაზე **დაბალანაზღაურებად რეგიონად**, რაც გულისხმობს იმას, რომ თანაბარ პოზიციებზე ყველაზე დაბალი ანაზღაურება გურიაში ფიქსირდება სხვა რეგიონებთან შედარებით და ესეც პრობლემაა.

რესპონდენტთა განმარტებით, პრობლემაა **ტურიზმის** განვითარების მიმართულებით არსებული არათანმიმდევრული და დაუგეგმავი პოლიტიკა და რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების მხრივ არაადეკვატურად მაღალი მოლოდინები („... იმაზე მეტი საუბარია ტურიზმის განვითარების საკითხებზე რეგიონში, ვიდრე ამის რეალური პოტენციალი არსებობს“). მონაწილეები აღნიშნავენ, რომ დადებითი მხარეები ამ პროცესებისა არის ის, რომ კონკრეტული ძვრები შეინიშნება ტურიზმის განვითარების მიმართულებით; გურია გამოჩნდა ტურისტულ რუკაზე და კონკრეტულმა ოჯახებმა ფინანსური სარგებელი მიიღეს ამ პროცესებიდან. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ქვეყნის პირველი პირის / პრემიერის რეგიონში ვიზიტის საუბრის ერთადერთი თემა არ შეიძლება იყოს ოთხსეზონიანი ტურიზმი იმ ფონზე, როცა ელემენტარული ინფრასტრუქტურული საკითხები რეგიონში მოსაგვარებელია (წყალი, გზები, კანალიზაცია და ა.შ.). გარდა ამისა, მონაწილეთა შეფასებით, ტურიზმის თემაზე აქცენტირებული საუბარი რეგიონისთვის გადაჭარბებულია იმის გამოც, რომ რეგიონს არ აქვს სოფლის მეურნეობა, საკვები პროდუქტების ადგილობრივი წარმოება არ ხდება და მწვავედ დგას კვალიფიციური კადრის პრობლემა ყველა სფეროში.



გარდა ამისა, პრობლემად დასახელდა არათანმიმდევრული და დაუგეგმავი პოლიტიკის არსებობა ტურიზმის განვითარების მიმართულებით: ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ 3 წელია მიმდინარეობს დენის გაყვანა ბახმაროში და პროცესი თითქმის დასრულებულია, თუმცა ჩართვა არ ხდება („პროცესი ხელოვნურად ფერხდება და ჯერ ისევ დაპირებების მოსმენის რეჟიმშია მოსახლეობა“).

სოფლის მეურნეობა, სოფლის განვითარება და მასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ ერთ აქტუალურ პრობლემად იდენტიფიცირდა. სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად რეგიონის მცირემიწიანობა და ადგილობრივი ფერმერებისთვის კვალიფიციურ კონსულტაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა დასახელდა. აღინიშნა ისიც, რომ კონკურსის - „ანარმოე საქართველოში“ - ფარგლებში, გურიიდან ყველაზე ნაკლები ინიციატივის წარდგენა ხდება და შესაბამისად, დაფინანსების ყველაზე დაბალი წილიც გურიის რეგიონზე მოდის. დისკუსიის მონაწილეებმა, აღნიშნეს, რომ სოფლის მეურნეობა რეგიონში ძირითადად ორიენტირებულია მარცვლოვანი კულტურების მოყვანასთან დაწესებულ შეღავათებსა და გრანტებზე. ძირეულ პრობლემას ამ მიმართულებით წარმოადგენს ის გარემოება, რომ ფერმერი გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მინის მოცულობის თვალსაზრისით, იმისათვის რომ დაფინანსების მიღება შეძლოს. რესპონდენტების განმარტებით, პრობლემას წარმოადგენს აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც. აღინიშნა, რომ არსებობს საკონსულტაციო ცენტრები, თუმცა მათი „მუშაობა არაეფექტურია, გლახს პრაქტიკულად არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა კონკურსში და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომ მიიღოს შესაბამისი დაფინანსება“.

რესპონდენტთა შეფასებით, პრობლემა ისიც რომ, ხელისუფლების მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა არ ითვალისწინებს რეგიონის სპეციფიკას და პრობლემების თუ სამომავლო მიმართულებების განხილვა/შეფასება ერთიან კონტექსტში ხდება. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარულ მიმართულებად იქცა მოცვის, კივის მოყვანა, თუმცა რა ეფექტს მოიტანს და რამდენად მომგებიანი იქნება ეს მიმართულება, უცნობია. დისკუსიის მონაწილეები მიესალმებიან სიახლეების დანერგვას ნებისმიერ სფეროში, თუმცა მათი აზრით, ეს უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ შეფასებებს და საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ყველა შესაძლო საკითხს დღის წესრიგში დააყენებს და მოგვარების გზებს შემოგვთავაზებს.

სოფლის განვითარების კონტექსტში პრობლემად დასახელდა ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, არ ფარავენ გურიის რეგიონს. ამასთან, მონაწილეთა შეფასებით, ფაქტია ის, რომ სამიზნე რეგიონების შერჩევა შესაბამისი სამინისტროებისა და სახელისუფლებო ორგანოების აქტიური ჩართულობით ხორციელდება. შესაბამისად, მცირემიწიანი რეგიონისთვის მორგებული სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმისა და სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მცირემიწიანი რეგიონის სპეციფიკას გაითვალისწინებს, მასზე იქნება მორგებული და დაეხმარება რეგიონს აღნიშნული მიმართულებით განვითარებაში, უმნიშვნელოვანეს საკითხად შეფასდა. დისკუსიის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ საბოლოო შედეგის მისაღწევად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ლოკალური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის ლობირება შესაბამის უწყებებთან, რათა მოხდეს ამ პრიორიტეტების ადეკვატური ასახვა დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებსა და პროგრამებში და სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, ასევე დასახელდა მუშახელის დეფიციტი, რაც ახალგაზრდების რეგიონიდან მიგრაციას უკავშირდება („სოფელში ახალგაზრდას ვერ იპოვი, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ხანდაზმულები წარმოადგენენ, რომელთაც უჭირთ ფიზიკური მუშაობა და მეორე მხრივ, საჭირო ფინანსების არქონის გამო, ვერ ხდება მუშახელის დაქირავება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად“).



მოუწესრიგებელი და გაუმართავი ტრანსპორტი კიდევ ერთი პრობლემაა, რომლის აქტუალურობაზეც განსაკუთრებული ყურადღება დისკუსიის მონაწილე მოსახლეობის წარმომადგენლებმა გაამახვილეს. ხაზგასმული იყო, რომ ტრანსპორტი არის მოძველებული და, ხშირ შემთხვევაში, მგზავრობა საფრთხესაც კი უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს.

როგორც დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, რეგიონში პრობლემები საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანია და მოიცავს ყველა არსებულ მიმართულებას. მათივე შეფასებით, არსებობს პრობლემები, რომელთა მოგვარების მიმართულებითაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა უკვე ხდება, თუმცა არის ისეთებიც, რომლებიც ამ დრომდე ხელშეუხებელია. მოგვარების სტატუსის თვალსაზრისით, რესპონდენტები პრობლემების 4 ძირითად ჯგუფს გამოყოფენ:

ა) პრობლემები, რომლებიც ამ დრომდე ხელშეუხებელია (მაგ. მიუსაფარი ძაღლების პრობლემა, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება და ა.შ.);

ბ) პრობლემები, რომელთა სათანადო და ადეკვატური გააზრება და დანახვაც კი არ ხდება (მაგ. ახალგაზდების გადინება);

გ) საკითხები, რომელთა მოგვარებაც ხელოვნურად ფერხდება (მაგ. მდინარეებიდან ინერტული მასალის მოპოვების პროცესის შეჩერება);

დ) პრობლემები, რომელთა მოგვარების მიმართულებითაც კონკრეტული დადებითი ძვრები შეინიშნება (მაგ. გზების რეაბილიტაცია, ტურიზმი).

რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ თუნდაც იმ მიმართულებებით, სადაც კონკრეტული ნაბიჯები იდგმება, ტემპი არ არის შესაბამისი და საჭიროა პროცესების მეტი ფორსირება ხელისუფლების მხრიდან (წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება), რაც განსაკუთრებით კრიტიკულია საკურორტო ზონებისათვის.

დასახელებული პრობლემებისთვის პრიორიტეტების მინიჭების შედეგად, რესპონდენტებმა რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებად, რომელთა მოგვარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია შემდგომი წინსვლისა და განვითარებისთვის, შემდეგი პრობლემები გამოავლინეს:

› ინფრასტრუქტურის განვითარება: წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის გამართვა რეგიონში (რაც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია პანდემიის პირობებში);

› სოფლის მეურნეობის გეგმიური განვითარება რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც გარკვეულწილად გააუმჯობესებს/ შეამცირებს სიღარიბის მაჩვენებელს რეგიონში;

› ზედმახედველობის სამსახურის ფუნქციის გაძლიერება, რაც თავის მხრივ, მრავალი საკითხის მოგვარების წინაპირობაა (მათ შორის ინერტული მასალის უკანონო მოპოვება მდინარეებიდან);

› ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

› რეგიონიდან ახალგაზრდების მიგრაციის შემცირება;

› რეგიონების რეალური დეცენტრალიზაცია.



1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები


სხვადასხვა ჯგუფისთვის აქტუალურ პრობლემებზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულად მონყვლად ჯგუფად ახალგაზრდები დასახელდნენ. ამ მიმართულებით გამოიყო ორი ძირითადი პრობლემა, რომელიც დასაქმებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობას უკავშირდება რეგიონის დონეზე. დისკუსიის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ პროფესიული სასწავლებლების გახსნა ადგილზე, ერთი მხრივ, განათლების მიღების შესაძლებლობას შექმნის ახალგაზრდებისთვის; და მეორე მხრივ, დამატებით სტიმულს შექმნის მათი რეგიონში დაკავებისთვის. გარდა ამისა, მოსახლეობის წარმომადგენლების მხრიდან ხაზი გაესვა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას, რაც საჯარო სექტორში დასაქმების შესაძლებლობისთვის დამატებით ბარიერს ქმნის („არ ცხადდება ვაკანსიები თუ ჩვენ ვერ ვპოულობთ ინფორმაციას, არ ვიცით“).

უფროსი ასაკის მოქალაქეთათვის ძირითად და ყველაზე აქტუალურ პრობლემად ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა (დაბალი პენსია, მაღალი ფასები მედიკამენტებზე) დასახელდა. მიუხედავად საყოველთაო ჯანდაცვისა და ქრონიკული დაავადებების სამკურნალო იაფი (1 ლარად ხელმისაწვდომი) მედიკამენტების პროგრამისა, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება („ძალიან ბევრი მედიკამენტი უბრალოდ არ ხვდება ჩამონათვალში და სრული თანხის გადახდა უნევს პაციენტს. ამას პენსია არ ყოფნის. შედეგად პაციენტი არ იღებს წამალს და ელოდება როდის მოკვდება“).

დასაქმებულთა ჯგუფისთვის აქცენტი გაკეთდა შრომით უფლებებზე, რომელთაც, რესპონდენტთა თქმით, კერძო კომპანიები ხშირ შემთხვევაში არღვევენ („28-საათიანი სამუშაო გრაფიკის შესახებ ალბათ არ გსმენიათ. მე გეტყვით და ეს ხდება პურის ქარხანაში, 35-40 ლარის სანაცვლოდ განუული არაადამიანური შრომის სანაცვლოდ. ამაზე არავინ საუბრობს, რადგან ეს 30 თუ 40 ლარი მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მათი ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენს“).

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებელ აქტორთა შორის დასახელდა: ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი ხელისუფლება, სამოქალაქო საზოგადოება (არასამთავრობო სექტორი, მოსახლეობა) და საერთაშორისო ორგანიზაციები. დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ პრობლემების მოგვარების საკითხში ყველა რგოლს თავისი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, თუმცა ყველაფერი მაინც **ცენტრალური ხელისუფლების** კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. აღინიშნა, რომ **არასამთავრობო სექტორი** საკმაოდ აქტიურია გურიაში, თუმცა პრობლემის მოგვარების რეალური ბერკეტი მხოლოდ ხელისუფლების ხელშია. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო სექტორს შეუძლია მხოლოდ ლოკალურად, ფრაგმენტულად მოაგვაროს პრობლემები, თუმცა არ ძალუძს მისი საბოლოო შედეგამდე მიყვანა. დისკუსიის მონაწილეები ფიქრობენ, რომ **ადგილობრივი ხელისუფლების** როლი მნიშვნელოვანია პრობლემების მოგვარების მიმართულებით, თუმცა „ყველაფერი მას არ შეუძლია“ („მდინარეების საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლება ძალიან აქტიურად იყო ჩართული და ცდილობდა პრობლემის მოგვარებას, თუმცა საბოლოო შედეგი მაინც ვერ დადგა, რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არ იყო სათანადო რეაგირება“).



საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი



იპერეთი



1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

იმერეთში გამართულ ფოკუსურ დისკუსიაზე გამოიკვეთა, რომ რეგიონში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები უმეტესად ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირდება. მნიშვნელოვნად იდენტიფიცირდა შემდეგი როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მოვლენები:

- › პარლამენტის გადატანა თბილისში;
- › ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნა;
- › ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის გზის გახსნა;
- › არჩეული მერების მიერ თანამდებობის დატოვება;
- › სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება;
- › შიდა გზების რეაბილიტაცია;
- › ვანის მუზეუმის გახსნა;
- › ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის ნებართვის გაცემა.

მნიშვნელოვან მოვლენებს შორის ასევე დასახელდა ის ფაქტი, რომ რეგიონში არ განხორციელდა რამდენიმე დაანონსებული პროექტი. კერძოდ, ქუთაისში **24-საათიანი წყალმომარაგების** პროექტი არასრული სახით განხორციელდა. აღნიშნულთან დაკავშირებით დისკუსიის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად არაერთი დაპირებისა, ქალაქის მხოლოდ ნაწილს აქვს 24-საათიანი წყალმომარაგება და პროექტის სრულად განხორციელება კვლავაც შეუსრულებელ დაპირებად რჩება. ამგვარ პროექტებს შორის ასევე დასახელდა **გელათისა და თეატრების რეაბილიტაცია**, ასევე, **ნაგავსაყრელის პროექტის განხორციელების შეჩერება** რეგიონში.

დისკუსიის შედეგად, ჩამოთვლილ მოვლენებს შორის ზოგიერთი პოზიტიურად, ზოგიერთიც ნეგატიურად შეიძლება შეფასდეს. მაგალითად, თუ **ქუთაისიდან პარლამენტის თბილისში გადატანა** ნეგატიურ მოვლენად შეფასდა, რამაც რეგიონს „ფუნქცია დაუკარგა“ და ეკონომიკური თვალსაზრისით სერიოზული ზიანი მიაყენა, **ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება** და **ვანის მუზეუმის გახსნა** პოზიტიურ მოვლენებად იდენტიფიცირდა. ეს უკანასკნელი რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით ჩაითვალა მნიშვნელოვნად. ამავე თვალსაზრისით პროექტის განხორციელების მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ დისკუსიის მონაწილეები გელათის სრული რეაბილიტაციის პროექტზე საუბრისას. მათი შეფასებით, ეს პროექტი კიდევ ერთი ლოკაცია უნდა ყოფილიყო, რომელიც გაზრდიდა რეგიონის ტურისტულ მიმზიდველობას.



რაც შეეხება ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის ნებართვის გაცემას და არჩეული მერების მიერ თანამდებობის დატოვებას, საგულისხმოა, რომ ეს მოვლენები მნიშვნელოვან მოვლენათა რიგში დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა დაასახელეს. პირველ შემთხვევაში პროექტის გარემოსდაცვით რისკებზე გამახვილდა ყურადღებას. მეორე შემთხვევაში კი, ხაზგასმული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის სისუსტე.

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

იმერეთში გამართული დისკუსიისას დასახელებული პრობლემები, რომლებიც დღეს აქტუალურია რეგიონისთვის, შემდეგია:

- › ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობა;
- › ქუთაისიდან პარლამენტის დედაქალაქში გადატანა;
- › ქუთაისში 24-საათიანი წყალმომარაგების არარსებობა;
- › გელათის არასრული რეაბილიტაცია;
- › განაშენიანების გეგმის არარსებობა;
- › გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- › მოუნესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- › ეკოლოგია;
- › მიუსაფარი ძაღლები;
- › სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა;
- › ტურისტული პოტენციალის აუთვისებლობა;
- › დასაქმება;
- › უმუშევრობა;
- › არაპროფესიონალიზმი;
- › განათლების სფეროში არსებული გამოწვევები;
- › ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებისათვის ბარიერების შექმნა და სასამართლო დავები.

ბოლო რამდენიმე პრობლემასთან, მათ შორის, ტენდერებთან დაკავშირებული გამოწვევების მთელი ქვეყნისთვის აქტუალურობაზე გაამახვილეს ყურადღება დისკუსიის მონაწილეებმა. აქვე აღსანიშნავია, რომ ტენდერებთან დაკავშირებული საკითხები, ისევე როგორც სუსტი თვითმმართველობის არსებობა



ქვეყანაში და ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობა დისკუსიაზე პრობლემად იდენტიფიცირდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ.

24-საათიან წყალმომარაგებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ქუთაისში სერვისის მიწოდება სრულად არ არის უზრუნველყოფილი, შესაბამისად, ეს პრობლემა ქალაქში კვლავაც აქტუალურია.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან და მომსახურებასთან დაკავშირებით ხაზგასმული იყო, რომ გამოწვევა არა მხოლოდ ძველი სატრანსპორტო საშუალებები, არამედ ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი და, განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებისათვის ტრანსპორტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ, მიუხედავად დაპირებისა, არ განხორციელდა ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტი, რაც გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

პრობლემად რეგიონისთვის ასევე იდენტიფიცირდა მისი **ტურისტული პოტენციალის არაჯეროვნად ათვისება**. ამ მიმართულებით ყურადღება განსაკუთრებით ქუთაისის ტურისტული პოტენციალის არაჯეროვნად ათვისებაზე გამახვილდა. თუ ქალაქის ტურისტული პოტენციალის ათვისებლობის მაგალითად გელათის სრული რეაბილიტაციის პროექტის ჩავარდნა დასახელდა, რეგიონის შემთხვევაში ერთ-ერთ მაგალითად არასრული ტურისტული რუკების არსებობა დასახელდა („რეგიონში არსებული ბევრი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და კარგი ადგილი არაა დატანილი [ტურისტულ რუკაზე]“).

დისკუსიაზე აღინიშნა, რომ, ქვეყნის მსგავსად, რეგიონშიც ბევრი პრობლემაა აქტუალური, თუმცა რეგიონისთვის ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურად შემდეგი პრობლემები შეიძლება ჩაითვალოს: ქუთაისის მიერ საპარლამენტო ქალაქის სტატუსის დაკარგვა, ინფრასტრუქტურული პრობლემები და სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა.

ქუთაისის მიერ საპარლამენტო ქალაქის სტატუსის დაკარგვა

როგორც დისკუსიაზე გამოიკვეთა, ქუთაისიდან პარლამენტის დედაქალაქში გადატანა სერიოზული გამოწვევაა რეგიონისთვის რამდენიმე თვალსაზრისით. პირველ რიგში, დისკუსიის მონაწილეები გამოწვევად მიიჩნევენ არა მხოლოდ ქუთაისისა და წყალტუბოსათვის, არამედ მთელი რეგიონისთვის განვითარების ნაკლებ შესაძლებლობას. მათი შეფასებით, პარლამენტის ადგილზე არსებობის შემთხვევაში, უფრო მაღალი იყო ალბათობა რეგიონის ეკონომიკური სტიმულირებისა, შიდა თუ გარე მოგზავრების შემცირებისა და, შესაბამისად, განვითარებისა („ახლა ეკონომიკური სტიმულირება არ ხდება და კოლაფსი გაღრმავებულია“; „პარლამენტის ქუთაისში დატოვება ბევრ პრობლემას მოაგვარებდა. ქალაქი, სადაც პარლამენტია, უფრო მეტ ყურადღებას მიიქცევდა და მაღალ სტანდარტებზე აიყვანდა ჩვენ ქალაქს“).

დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სწორედ საპარლამენტო სტატუსის გამო, თუ მთელ რეგიონში არა, ქუთაისსა და წყალტუბოში მაინც შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტული, საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. გარდა ამ ინფრასტრუქტურების მოწესრიგებისა, ქუთაისში პარლამენტის არსებობა ისეთ სერიოზულ გამოწვევაზე საპასუხოდ ჩაითვალა მნიშვნელოვან ფაქტორად, როგორც სამუშაო ადგილების შექმნა. ამ კონტექსტში



აღინიშნა, რომ სამუშაო ადგილები გაჩნდა (და მომავალშიც იარსებებდა) არა მხოლოდ უშუალოდ პარლამენტის აპარატში, არამედ სხვადასხვა სფეროში (სარესტორნო ბიზნესი, სასტუმროები, უძრავი ქონების გაყიდვა-გაქირავება; „1000-მდე თანამშრომელი მართო პარლამენტის აპარატს ჰყავს“).

ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ სუსტი თვითმმართველობის პირობებში, განსაკუთრებული სტატუსის არქონა კიდევ უფრო სერიოზულ გამოწვევებს უქმნის ცალკეულ მუნიციპალიტეტსა თუ მთელ რეგიონს. ამ პირობებში არ ხდება ადგილზე გადანაცვლებების მიღება, ადგილობრივი ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რაც საბოლოოდ განვითარების პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს.

აქვე საგულისხმოა დისკუსიისას დაფიქსირებული რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებაც. მოქალაქეთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის შეფასებით, ქუთაისისთვის საპარლამენტო ქალაქის მინიჭებისთანავე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები როგორც უძრავ ქონებაზე, ასევე სხვადასხვა სერვისზე; უშუალოდ პარლამენტის ადმინისტრაციაში ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად დასაქმდა და იმის თქმა, რომ ეს მოვლენა (პარლამენტის ქუთაისში არსებობა) ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, რთულია. თუმცა, საგულისხმოა, რომ ეს პოზიცია არ იყო გაზიარებული დისკუსიის მონაწილე არც მოქალაქეებისა და, მითუმეტეს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ. ამ უკანასკნელთა პოზიციით, მნიშვნელოვანია მოვლენები გრძელვადიანი პერსპექტივიდან შევაფასოთ და ამ თვალსაზრისით, როგორც დისკუსიის მონაწილე მესამე სექტორის წარმომადგენლები აცხადებდნენ, ცალსახაა, რომ ქალაქის საპარლამენტო სტატუსს პოზიტიური შედეგების მოტანა შეეძლო როგორც ქალაქისთვის, ასევე მთელი რეგიონისთვის.

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებით დისკუსიაზე სამ მთავარ პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, გამოწვევებზე საგზაო ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ნავგავესაყრელის მიმართულებით.

საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხზე გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, აღინიშნა, რომ რეგიონში პრობლემურია გაუმართავი სანიაღვრე ინფრასტრუქტურა და საგზაო უსაფრთხოება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს „მინიმალურ სტანდარტებს“. სწორედ გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურისა და საგზაო უსაფრთხოების ნორმების მინიმალური სტანდარტებისადმი შეუსაბამობით ხსნიან დისკუსიის მონაწილეები როგორც ქუთაისში, ასევე მთელ რეგიონში ავტოსაგზაო შემთხვევების მაღალ რიცხვს. შესაბამისად, მათი შეფასებით, აუცილებელია საგზაო უსაფრთხოების საკითხის პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხაში შეტანა და ამ მიმართულებით შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების კონტექსტში აღინიშნა, რომ უფრო სწორი იქნება საუბარი არა მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურაზე, არამედ მის სრულ არარსებობაზე რეგიონში. დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, სატრანსპორტო საშუალებები არის ძველი და მისი ექსპლუატაციის ვადა წლებია უკვე გასულია („1983 წელს გამოშვებული მანქანა, რომელიც 1985 წელს მუშაობდა ბაიერნში აეროპორტში, დღეს ქუთაისში დადის“). შესაბამისად, უსაფრთხოების საკითხი აქტუალურია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კონტექსტშიც.



გარდა ძველი ინფრასტრუქტურისა/სატრანსპორტო საშუალებებისა, დისკუსიაზე აღინიშნა, რომ არ არსებობს მოძრაობის განრიგი და მისი დაწესება სრულად სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებზეა დამოკიდებული („ვისაც როგორც უნდა, როცა უნდა ისე დადის“). ამდენად, როგორც სატრანსპორტო საშუალებების განახლება, ასევე მოძრაობის განრიგის მოწესრიგება კრიტიკულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა.

რაც შეეხება **ნაგავსაყრელს**, ინფრასტრუქტურულ გამოწვევებზე საუბრისას, მასზე, როგორც, თავის მხრივ, ეკოლოგიური პრობლემების ერთ-ერთ გამომწვევზე გამახვილდა ყურადღება. აღინიშნა, რომ არ განხორციელდა ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტი,¹ რაც რეგიონში გარემოს დაბინძურებასა და ეკოლოგიური პრობლემების ზრდას უწყობს ხელს („ამჟამად შეჩერებულია და ახალ ადგილზე [სადაც უნდა აშენდეს ნაგავსაყრელი] საუბარი არ არის. გასაგებია, რომ ამ კონკრეტულ ადგილზე პრობლემა შეიქმნა, მაგრამ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობაზე“).

ნაგავსაყრელთან დაკავშირებულ გამოწვევებზე საუბრისას დისკუსიაზე აღინიშნა, რომ პრობლემა არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობებისგან თავის არიდება, არამედ მოსახლეობის დაბალი თვითშეგნებაც. ეს უკანასკნელი გამოიხატება მოქალაქეთა მიერ არა მხოლოდ გარემოს დაბინძურებაში, არამედ ნაგავსაყრელის არსებობის მნიშვნელობის გაუაზრებლობასა და პროცესისათვის ხელის შეშლაში. სწორედ ამიტომ, დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთი წარმომადგენლის მოსაზრებით, აუცილებელია მოსახლეობასთან სათანადო მუშაობა და მათი დარწმუნება ამ პროექტის მნიშვნელობაში.

სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა

როგორც იმერეთში გამართულ დისკუსიაზე გამოიკვეთა, სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არა მხოლოდ იმერეთის რეგიონისთვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. ხაზგასმული იყო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში ორი მთავარი გამოწვევა არსებობს: ერთი, თავად ადგილობრივი თვითმმართველობის არაინფორმირებულობა საკუთარი უფლებამოსილების შესახებ და მეორე, მოქალაქეთა არაინფორმირებულობა და დაბალი ცნობიერება თვითმმართველობის განხორციელებაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის თაობაზე („თვითმმართველობა თან გვყავს და თან არ გვყავს“; „ის იყო ჩემი არჩეული ქალაქის მერი... მე არ ვიცი, რატომ გადადგა, გაუგებარია...“).

როგორც უკვე აღინიშნა, ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გაამახვილეს ყურადღება. მათი შეფასებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია არსებობდეს რეალური თვითმმართველობა, რომელსაც ექნება გადაწყვეტილებების მიღების ბერკეტი, გადასახადები „დარჩება ადგილზე“ და ის თავად, მოქალაქეებთან ერთად გადაწყვეტს, რაში უნდა დაიხარჯოს თვითმმართველ ერთეულში აკუმულირებული ფინანსური რესურსი.

¹ შენიშვნა: იგულისხმება ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი, რომელიც გულისხმობს ქუთაისის მოქმედი ნაგავსაყრელის დახურვას, ახალი თანამედროვე სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობას (რომელიც იმერეთის რეგიონთან ერთად, ასევე მოემსახურება რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო სვანეთს) და ტექნიკურ დახმარებას საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისათვის. დონორი: გერმანიის განვითარების ბანკი.



1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

სხვადასხვა ჯგუფისთვის აქტუალურ პრობლემებზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ პრობლემებზე, გარდა დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა ყველა ჯგუფისთვის, ფოკუსური დისკუსიის მონაწილეებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ. ერთადერთი ჯგუფი, რომლის საჭიროებებზეც მეტ-ნაკლებად გამახვილდა ყურადღება, ახალგაზრდების ჯგუფია.

როგორც დისკუსიისას გამოიკვეთა, ახალგაზრდებისთვის ამჟამად რეგიონში ორი მთავარი პრობლემა ყველაზე აქტუალური. ისინი განათლებასა და დასაქმებას უკავშირდება. განათლების კონტექსტში აღინიშნა, რომ რეგიონში ახალგაზრდას არ აქვს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, ისინი გადიან რეგიონიდან და სხვაგან ცდილობენ განათლების მიღებას. ხაზგასმული იყო, რომ უმეტესად ახალგაზრდების გადინება ხდება თბილისში, სადაც ასევე დაბალია ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, თუმცა, „შედარებით უკეთესი“, ვიდრე რეგიონში. შესაბამისად, დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილზე გაიზარდოს განათლების (არა მხოლოდ უმაღლესი განათლება) ხარისხი, რაც მიგრაციასაც შეამცირებს და, უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ადგილზე დარჩენას.

რაც შეეხება დასაქმებას, ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ ეს პრობლემა ზოგადად ქვეყნისთვისაა აქტუალური და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ გამოწვევაზე რეგიონში რთულია საუბარი. თუმცა, კონკრეტულად ახალგაზრდების ჯგუფისთვის გამოწვევა სამუშაო ადგილების შეზღუდულ რაოდენობასთან ერთად ისიც არის, რომ ნაკლებადაა შესაძლებელი მუშაობა ნახევარ განაკვეთზე. დასაქმების ამგვარი შესაძლებლობის არსებობა ხელს შეუწყობდა ახალგაზრდებს, სწავლის პარალელურად, საკუთარი შემოსავლის წყაროს გაჩენაში. ესეც, ისევე როგორც ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის ადგილზე გაზრდა მოაზრებული იყო, როგორც ახალგაზრდების რეგიონიდან მიგრაციის მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი მექანიზმი.

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

დისკუსიის მონაწილეებმა იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებზეც გამახვილდა ყურადღება მთავარ პასუხისმგებელ აქტორად **ცენტრალური ხელისუფლება** დაასახელეს. ცენტრალური ხელისუფლების შემდეგ კი, მთავარ აქტორებად **ადგილობრივი თვითმმართველობა** და **სამოქალაქო საზოგადოება** იდენტიფიცირდა. დისკუსიისას ხაზგასმული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობის გააზრების აუცილებლობა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ მისი გაძლიერებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის საჭიროება. აქ კვლავაც გამახვილდა ყურადღება თავად ადგილობრივი თვითმმართველობების ცნობიერების, ინფორმირებულობის, ასევე კვალიფიკაციის გაზრდის აუცილებლობაზე.

გარდა თვითმმართველობისა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან აქტორად, რომელიც რეგიონსა თუ ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი, სამოქალაქო საზოგადოება გამოიკვეთა. აღნიშნულში დისკუსიის მონაწილეები გულისხმობდნენ როგორც არასამთავრობო სექტორს, ასევე მოქალაქეებს. ამ მიმართულებით დღეს არსებულ ხარვეზებზე გამახვილდა ყურადღება. აღინიშნა, რომ აუცილებელია ცნობიერების გაზრდა და მოქალაქეებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის ფორმატზე გადასვლა. ხაზგასმული იყო, რომ მოქალაქეთა მხარდაჭერის გარეშე, ადგილობრივი



თვითმმართველობა ვერ მიაღწევს შედეგებს და პირიქით, თვითმმართველობის მხარდაჭერის გარეშე, მოქალაქეებისთვის უკეთესი რეალობის შექმნა არარეალისტურია.

ოპოზიციურ **პოლიტიკურ პარტიებთან** დაკავშირებითაც გამახვილდა ყურადღება დისკუსიაზე და აღინიშნა, რომ მათაც აქვთ პასუხისმგებლობა პრობლემების მოგვარებაზე. კერძოდ, პრობლემებზე ხმამაღლა საუბარი („არ უნდა მოასვენონ [ხელისუფლება]“) არის ის მთავარი ბერკეტი, რომელიც მათ ხელთაა, ისევე როგორც **მედიის** შემთხვევაში. აღნიშნული [მედიისა და ოპოზიციური სპექტრის მიერ პრობლემებზე ხმამაღლა საუბარი], დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ ხელისუფლება იძულებული იქნება დაგვემოს და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ეს ყველაფერი კი, ძლიერ ადგილობრივ თვითმმართველობასა და აქტიურ სამოქალაქო სექტორთან ერთად, რეგიონის განვითარებისთვის აუცილებელ და ეფექტიან წინაპირობად ჩაითვალა დისკუსიანტა მიერ.

საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი





1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

კახეთში გამართულ ფოკუსურ დისკუსიაზე რეგიონში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მომხდარი შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენები გამოვლინდა:

- › თელავის 24-საათიანი წყალმომარაგების პროექტი;
- › ძაღლების თავშესაფარის მშენებლობის დაწყება გურჯაანში;
- › ე.წ. ზიარის პარკის მშენებლობის დაწყება გურჯაანში;
- › ტექნო-პარკის გახსნა თელავში;
- › ფასადების და გზების რეაბილიტაცია თელავში;
- › პანკისში სპეცრაზმთან დაპირისპირება;
- › გაზრდილი კრიმინალური მენტალიტეტი.

კახეთისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს შორის, ასევე დასახელდა - ჩავარდნილი რთველი. დისკუსიის მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ დაბალი ფასები და არაორგანიზებული გარემო, კახელ ფერმერებს ძალიან აზარალებს, რის მაგალითადაც წლევანდელი რთველი იყო მოყვანილი.

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

დისკუსიისას დასახელებული პრობლემები, რომლებიც დღეს აქტუალურია რეგიონის კონტექსტში, შემდეგია:

- › დასაქმება;
- › მოუნესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- › კომუნალური ინფრასტრუქტურის გამონვევები;
- › მიუსაფარი ძაღლები;
- › უკონტროლო ფასები;
- › მეტადონის ჩანაცვლების ერთი ცენტრი რეგიონში;
- › გასართობი სივრცეების სიმწირე;
- › დაუსჯელობის სინდრომი;



› ეკოლოგია და ნარჩენების გატანის სერვისის გაუმართავი მუშაობა;

› კლანური მმართველობა;

› სამოქალაქო აქტივიზმის დაბალი დონე;

› სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა;

› ადგილობრივ მედიაზე ზეწოლა წინასაარჩევნოდ.

დისკუსიის მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ თელავის ბევრ უბანში პრობლემური **ელექტროგადამცემი სისტემა**ა და ხშირად, ქარის ან ძლიერი წვიმის დროს წყდება ელექტროენერჯის მიწოდება მოსახლეობისთვის. ასევე, პრობლემურია **გაუმართავი წყალმომარაგება** და ხარვეზები **გამრიცხველიანების** თვალსაზრისით („*მრიცხველი წყალზე ორი დამიყენეს, ერთი პერიოდი არცერთი საერთოდ არ მუშაობდა.*“ „*წვიმის დროს შუქი ქრება... მერე უნდა რეკო ან მოვლენ ან არა. ქარის დაბერვაზეც ითიშება...*“)

აღსანიშნავია, რომ როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა, ასევე მოქალაქეთა ჯგუფიდან დისკუსიის მონაწილემ რეგიონისთვის მნიშვნელოვან პრობლემად გამოყო კონკრეტული ჯგუფის, *მეტადონის ჩანაცვლების პროგრამის ბენეფიციარების პრობლემა*. როგორც აღინიშნა, ეს პრობლემა კოვიდპანდემიის პირობებში კიდევ უფრო გართულდა. გარდა იმისა, რომ პროგრამის ბენეფიციართა ნაწილს დიდი გზის გავლა უწევს სერვისის მისაღებად, პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავე გახადა. ითქვა, რომ პანდემიის დასაწყისისთვის პაციენტზე ხუთდღიანი „უღუფის“ გაცემა იყო ნებადართული, თუმცა, 8 სექტემბრის ბრძანებულებით ეს გადაწყვეტილება გაუქმებულია და პაციენტებს კვლავ თელავში უწევთ ჩამოსვლა („*ერთი მეტადონის ჩანაცვლების პუნქტია რვა რაიონში და ისიც თელავში, ზოგ ადამიანს 160 კმ-ის გავლა უწევს... მეორე სარკმელი დაემატა და ეს ოდნავ სწრაფს გახდის რიგს. წარმოიდგინეთ, დღეში 200 ადამიანია, თითოზე მინიმუმ 7 წუთი უნდა დახარჯო. ფაქტიურად, დღე არ გეყოფა ამისთვის*“).

დისკუსიის მონაწილე მოქალაქეთა შეფასებით, რეგიონში, უმეტესად ქალაქებში, **მიუსაფარი ძალების** პრობლემა მწვავედ დგას და, მიუხედავად ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მიმართვისა, მისი გადაჭრისკენ გადადგმული ნაბიჯები ნაკლებად შეინიშნება („*საშინლად მომრავლდა ქუჩაში ძალები, ყოველ ფეხის ნაბიჯზე... მივმართავთ მერიას, ვპოსტავთ, ვიბრძვით... ეს პრობლემა მისახედა*“).

დაუსჯელობის სინდრომის აქტუალურობაზე გაამახვილეს ყურადღება დისკუსიის მონაწილე მოქალაქეთა ჯგუფის წევრებმა. ამის ერთ-ერთ მაგალითად ქუჩაში პოლიციელებისთვის შეურაცხყოფის მიყენების გაზრდილი ფაქტები დასახელდა. შეფასებების თანახმად, მოქალაქეები აძლევენ უფლებას თავს შეურაცხყოფა მიაყენონ პოლიციის თანამშრომელს და ამისთვის პასუხისმგებლობა არავის ეკისრება („*ცუდია იმის ყურება, როგორ ამცირებენ პოლიციას, ვიღაცამ ხელიც კი არა პოლიციის თანამშრომელს. აკეთე რაც გინდა, არავინ მოგთხოვს პასუხს...*“).

შეხვედრისას არასამთავრობო სექტორისა და მედია ორგანიზაციის წარმომადგენლებმა რეგიონში არსებულ მწვავე პრობლემად **მედიაზე ზეწოლა** და საქმიანობისთვის ხელის შეშლა დაასახელეს. როგორც დისკუსიაზე გამოიკვეთა, ამ მხრივ განსაკუთრებული პრობლემაა პანკისის ხეობაში. დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის შეფასებით, მედიაზე ზეწოლა ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნოდ გაიზარდა.



ამის მაგალითად პანკისის სათემო რადიო დასახელდა. რადიო, რომელიც ხეობის მოვლენებს აშუქებს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის, ასევე ახმეტის მუნიციპალიტეტის მხრიდან ზენოლის მსხვერპლი გახდა.

ამ პრობლემებთან ერთად, ასევე დასახელდა დასაქმებას, სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობასა და დაბალ სამოქალაქო აქტივიზმთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემებად ჩაითვალა რეგიონისთვის.

დასაქმება

დისკუსიის მონაწილეები ფიქრობენ, რომ კახეთში, ქვეყნის მსგავსად, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დასაქმების შესაძლებლობებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა რჩება. მათი შეფასებით, მსხვილი სანარმოების არარსებობა ამ პრობლემას კიდევ უფრო მასშტაბურს ხდის. ერთი არგუმენტის თანახმად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისთვის აუცილებელია მეტი სანარმოს შექმნა, რაზე პასუხისმგებლობაც სახელმწიფომ უნდა აიღოს („სამუშაო ადგილების პრობლემის დაძლევისთვის, ეგ არის მნიშვნელოვანი, რომ სახელმწიფო ჩაერიოს. ადგილობრივი წარმოების წახალისება მოხდეს, რომელსაც საექსპორტოდ გამოვიყენებთ“). თუმცა, დისკუსიაზე განსხვავებული არგუმენტიც იყო წარმოდგენილი. მის თანახმად, სანარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნა ბიზნესსექტორის პრეროგატივა უნდა იყოს. ამ არგუმენტის მომხრეთა მოსაზრებით, ამ პროცესში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს და ის ბაზარმა უნდა დაარეგულიროს.

დასაქმებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ გამოწვევად ასაკობრივი შეზღუდვების არსებობაც დასახელდა. მოქალაქეთა ჯგუფის წარმომადგენელთა თქმით, ისედაც შეზღუდული სამუშაო ადგილების პირობებში, კიდევ უფრო რთული ხდება დასაქმება უფროსი ასაკის მოქალაქეებისთვის („ჩვენ, ვინც 40 წელზე უფროსები ვართ, რა ვქნათ?“; „50 წლის ვარ და გასაუბრებაზეც არ მიბარებენ“). კიდევ ერთ გამოწვევად ნეპოტიზმი დასახელდა, რაც, თავის მხრივ, სამუშაო ადგილების არაკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების მიზეზი ხდება.

უმუშევრობისა და დასაქმების თვალსაზრისით არსებულ კიდევ ერთ გამოწვევად დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევა დასახელდა („ადამიანები არ საუბრობენ; მენეჯერები არაადამიანურად ექცევიან, შრომითი ვალდებულებების დარღვევა ხდება, არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრუქტურები“).

დასაქმების კონტექსტში აღინიშნა გამოწვევად დაბალი ანაზღაურება, რაც ეროვნული ვალუტის კურსის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მწვავეა („არარეალური შრომა უნდა გავიო, რომ იარსებო“).

სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა

დისკუსიის მონაწილე როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ასევე მოქალაქეები რეგიონში არსებულ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობას მიიჩნევენ. კონკრეტულად თელავის შემთხვევაში განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ თვითმმართველი ქალაქის სტატუსის დაკარგვის შემდეგ ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა.



როგორც დისკუსიისას აღინიშნა, მოქალაქეთა თუ ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობისადმი მიმართვას თან სდევს ცუდი უკუკავშირი, იქ მიმდინარე პროცესები და აქტივობები კი, არაგამჭვირვალეა. ამის ერთ-ერთ მიზეზად შიში დასახელდა, რაც გადანყვეტილებზე პასუხისმგებლობის აღებას უკავშირდება („ადგილობრივ თვითმმართველობაში ეშინიათ და არიან ჩაკეტილები საკუთარ ნაჭუჭში“; „ცხოველებზე მოიპოვეს მერიაში გრანტი და ვერ წარმომიდგინეს [შესაბამისი მასალა/დოკუმენტაცია]. უნდა იყოს მეტი გამჭვირვალობა მერიაში. გამოვითხოვე და არ მომცეს საბუთი“).

თვითმმართველობის სისუსტის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებლად მისი დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი იყო მიჩნეული. როგორც აღინიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები შეზღუდულია, ის ვერ განკარგავს, მათ შორის, ფინანსური რესურსს და თითქმის სრულადაა დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე. შესაბამისად, დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მეტი უფლების მინიჭება, მისი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა ჩაითვალა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ყურადღება დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გაამახვილეს („თვითმმართველობა, მანამ არ იქნება თვითმმართველობა, სანამ ადგილზე არ დარჩება ფული. მე დამოუკიდებელი ვერ გავხდები თუ ჩემი ჯიბის ფული არ მექნება, ასეა თვითმმართველობის შემთხვევაში“).

დაბალი სამოქალაქო აქტივიზმი

დისკუსიაზე რეგიონის კიდევ ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემაზე გაამახვილდა ყურადღება. კერძოდ, დისკუსიანთა თქმით, პრობლემაა **დაბალი სამოქალაქო აქტივიზმი**, რაც სულ უფრო უწყობს ხელს ისედაც სუსტი ადგილობრივ თვითმმართველობის არსებობას. დაბალი სამოქალაქო აქტივიზმის რეგიონში პრობლემად მიიჩნიეს არა მხოლოდ დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, არამედ მოქალაქეთა ჯგუფის წევრებმაც. როგორც აღინიშნა, მოსახლეობა ინდიფერენტულია საკუთარ ქალაქსა თუ რეგიონში მიმდინარე მოვლენების მიმართ. შესაბამისად, არ აქტიურობს სხვადასხვა სივრცეში, რაც, პირველ რიგში, ადგილობრივ თვითმმართველობას უბიძგებს იმისკენ, რომ მოქალაქეთა ინტერესები სულ უფრო ნაკლებად იყოს გათვალისწინებული გადანყვეტილებების დროს.

აღინიშნა, რომ რეგიონში არსებული აქტიური ადამიანების (ძირითადად, არასამთავრობო თუ მედიაორგანიზაციების წარმომადგენლები) მიერ თემების გააქტიურებისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის პირობებშიც, ძალიან დაბალია აღბათობა იმისა, რომ მოქალაქეები ჩაერთვებიან პროცესებში, მიიღებენ მონაწილეობას და გამოხატავენ პოზიციას. ამის მაგალითად, სოციალურ ქსელებში დაგეგმილი აქციები დასახელდა, რომელთაც რეალურ აქციებზე მოქალაქეთა მისვლა არ მოჰყვება („[სოციალური ქსელში] აქციაზე წამომსვლელთა დიდი რაოდენობა აპროტესტებდა წყლის პრობლემას ქალაქის რამდენიმე უბანში. თუმცა, მეორე დღეს აქციაზე არავინ მივიდა“).

დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად დასახელდა მოქალაქეთა არაინფორმირებულობა საკუთარი უფლებებისა და ჩართულობის მექანიზმების თაობაზე. ასევე, ცნობიერების დაბალი დონე, რომელიც, მათ შორის, კულტურის მიერ აქტიური ადამიანებისადმი ნაკლებ კეთილგანწყობაში გამოიხატება. იმის გამო, რომ აქტიური ადამიანები, რომლებიც პრობლემებზე ხმამაღლა საუბრობენ ხშირად არ არიან მისაღებნი ფართო საზოგადოებისთვის, ბევრი მოქალაქე სამოქალაქო აქტივიზმში ჩართვისაგან თავს არიდებს („იმის გამო, რომ ინტრიგანი არ უნოდოს ვიღაცამ, არ ლაპარაკობენ



ხმამალა და რეალურად, უარეს აკეთებენ ქვეყნისთვის, ვიდრე უკეთეს“). შესაბამისად, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობის გაძლიერება რეგიონისთვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იდენტიფიცირდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის პროცესებში ჩაურთველობის მიზეზად შესაძლებელია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც ჩაითვალოს („ხალხი იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე რამე იშოვოს, რომ დღიდან დღემდე ოჯახი შეინახოს. ხალხი არის დაბეჩავებული“). ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მოქალაქეების მთავარი საზრუნავი ძირითადი ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. თუ ამასთან ერთად, ცნობიერების დაბალ დონესა და არაინფორმირებულობასაც გავითვალისწინებთ, დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, გასაგებია, რატომაცაა სამოქალაქო აქტივიზმი დაბალი.

შეიძლება ითქვას, რომ დისკუსიის მონაწილე მოქალაქეთა ჯგუფის წარმომადგენელთა მთავარი პრობლემა, ინფრასტრუქტურულთან ერთად, დასაქმებას უკავშირდება, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები კი განსაკუთრებულ გამოწვევად სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეთა ჩართულობის დაბალ დონეს მიიჩნევენ. აქვე აღსანიშნავია, რომ სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობასა და ამის მიზეზებზე მოქალაქეთა ჯგუფი ნაკლებად გამოხატავდა მოსაზრებას. თუმცა, მოქალაქეთა დაბალ ჩართულობაზე მათი შეფასებები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებების მსგავსია.

1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

სხვადასხვა ჯგუფისთვის აქტუალურ საკითხებზე საუბრისას აღინიშნა, რომ დასაქმებულების წინაშე ორი მთავარი გამოწვევა დგას: ერთი, დაბალი ანაზღაურება და მეორე, დამსაქმებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა.

დაუსაქმებელთათვის გამოწვევა სამუშაო ადგილების არარსებობაა. ახალგაზრდებისთვის კი პრობლემას ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა წარმოადგენს, სადაც, გართობასთან ერთად, ისინი გარკვეული იდეების გარშემო თანატოლების შემოკრებასა და ახალი იდეების გენერირებას შეძლებდნენ. ახალგაზრდებისთვის ასევე პრობლემაა დასაქმებაც არა მხოლოდ იმის გამო, რომ სამუშაო ადგილების სიმწირეა რეგიონში, არამედ იმის გამოც, რომ ნებისმიერ პოზიციაზე მოთხოვნა სამუშაო გამოცდილების მქონე კადრებზე. ასევე გამოწვევაა ის, რომ დასაქმებულ სტუდენტებს დამსაქმებლები ნაკლებად უწყობენ ხელს. სამუშაო და სასწავლო განრიგის შეუთავსებლობის გამო კი, ახალგაზრდები იძულებულნი არიან სამუშაო ადგილზე თქვან უარი.

ასაკის გამო სამსახურში უკვე გამოცდილი კადრების არაყვანაა გამოწვევა უფროსი ასაკის მოქალაქეთათვისაც. დისკუსანტთა შეფასებით, აღნიშნული მიდგომა დისკრიმინაციულია და ამ თვალსაზრისით ცვლილებები (ასაკობრივი ზღვარის გაზრდა ან სრულად მოხსნა) აუცილებელია.

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც რეგიონისთვის მნიშვნელოვან პრობლემებად იდენტიფიცირდა პასუხისმგებელ აქტორებს შორის მთავარ აქტორად ცენტრალური ხელისუფლება დასახელდა.




დისკუსიის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ცენტრალური ხელისუფლება სწორედ ის აქტორი, რომელიც აკონტროლებს პრობლემების გადაჭრაზე პასუხისმგებელ ადგილორბივ თვითმმართველობას. ის (ცენტრალური ხელისუფლება) ერევა თვითმმართველობების საქმიანობაში და არ აძლევს მას თავისუფლებას გადაწყვეტილებების მიღებისას. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ დისკუსიის მონაწილეები დეცენტრალიზაციას უმნიშვნელოვანესად რეგიონების გასაძლიერებლად.

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ აქტორებს შორის ასევე დასახელდა **სამოქალაქო სექტორი** და **მედია**. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტის თანახმად, დაბალი სამოქალაქო აქტივიზმი განსაზღვრავს რეგიონის „ცხოვრების ბედს“ გრძელვადიან პერსპექტივაში. შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება ჩაითვალა მნიშვნელოვნად. როგორც პრობლემებზე საუბრისას უკვე აღინიშნა, ამ თვალსაზრისით ხაზგასმული იყო ცნობიერების ამაღლების გაზრდის აუცილებლობა, რამაც უნდა გაზარდოს იმ მოქალაქეთა წილი, ვისაც ეცოდინება საკუთარი უფლებებისა და პროცესებში ჩართვის მექანიზმების შესახებ; ასევე, იქნება მზად აიღოს პასუხისმგებლობა ადგილზე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობაზე („საჭიროა მოსახლეობის მხრიდან მეტი აქტიურობა. მე ბევრი კონტროლის მომხრე არ ვარ, მაგრამ თვითმმართველობა ნიშნავს ბევრი პასუხისმგებლობის და კონტროლის აღებას საკუთარ თავზე“).

ამ კონტექსტში, დისკუსიის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ გამოსავალი არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და გაძლიერებაშია. ტრენინგებისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების მნიშვნელობაც ასევე იყო ხაზგასმული.

რაც შეეხება მედიას, პრობლემების გადაწყვეტის კონტექსტში მის როლზე საუბრისას აღინიშნა, რომ გარდა მედიაში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის გაზრდისა, მნიშვნელოვანია გარკვეული სტანდარტების დაცვა, რის მაგალითადაც, პირველ რიგში, ცალმხრივი და არაობიექტური მედიაკონტენტის შექმნაზე უარის თქმა იყო მოყვანილი.



საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი



მცხეთა-მთიანეთი



1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გამართულ დისკუსიებზე აღინიშნა, რომ ბოლო 1-2 წლის მანძილზე რეგიონში მომხდარი მოვლენების ნაწილი დადებითად, ნაწილი კი უარყოფითად შეიძლება შეფასდეს. დისკუსანტთა მიერ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის გამოიკვეთა:

- › განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები;
- › სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების მშენებლობა რეგიონში;
- › მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობის დასრულება;
- › საბავშვო ბაღების მშენებლობა;
- › ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება;
- › მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონის მიღება;
- › ევროკავშირის პროექტების ფარგლებში აგრარული მიმართულებისა და მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა.

მოქალაქეებთან გამართულ დისკუსიაზე ყურადღება გამახვილდა კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ეფექტებზე, რომელიც მძიმეა როგორც ქვეყნის, ასევე კონკრეტულად რეგიონის კონტექსტში. როგორც დისკუსიაზე იყო ხაზგასმული, პანდემიამ განსაკუთრებულად ნეგატიური გავლენა მათ რეგიონზე იმ თვალსაზრისით იქონია, რომ რეგიონისათვის მნიშვნელოვან ორ მიმართულებაზე პანდემიის „დარტყმა განსაკუთრებით ძლიერი“ იყო. საუბარია რეგიონის, როგორც სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციაზე, ასევე მისი ტურისტული პოტენციალის გამოყენებაზე.

რეგიონში ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებაზე აქცენტი ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა გამახვილა. საუბარია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და მართოხელა დედებისა და ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის გარკვეული პროგრამების ამუშავებაზე. კერძოდ, ძალადობის მსხვერპლებს, რომელთაც აქვთ სტატუსი და არ აქვთ თავშესაფარი, მუნიციპალიტეტის მერია 6 თვის მანძილზე უფინანსებს საცხოვრებლის ქირას.

დისკუსანტებმა მნიშვნელოვან მოვლენებს შორის განსაკუთრებულად აღნიშნეს უკვე დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები. გარდა გარე გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა, პოზიტიურად შეფასდა შიდა გზების რეაბილიტაცია. მნიშვნელოვან მოვლენებს შორის დასახელდა მცხეთაში საცურაო აუზისა და სპორტული კომპლექსის გახსნა, ასევე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობა სოფელ მისაქციელში. ინფრასტრუქტურული პროექტების კონტექსტშივე აღინიშნა საბავშვო ბაღების მშენებლობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად შეფასდა სოფლის ტიპის დასახლებებისათვის.



აღსანიშნავია, რომ დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის მიერ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის დასახელდა **ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით უკვე განხორციელებული და მიმდინარე პროექტები**. რეგიონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებული/მიმდინარე პროექტები, რაც ძირითადად ხეხილის ბაღების გაშენებასა და სხვადასხვა აგრარული კულტურის განვითარებას უწყობს ხელს მცხეთა-მთიანეთში.

მართალია, დისკუსიის მონაწილე მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლებმა მიუთითეს მოვლენებზე, რომელთა უმრავლესობა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას უკავშირდებოდა, თუმცა ასევე აღნიშნეს, რომ მათ რეგიონში, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მოვლენების სიმწირეა. მეტიც, მათი შეფასებით, უმეტესად რეგიონში უმოძრაობაა („ჩვენთან ბოლო პერიოდში არც კარგი გაკეთდა და არც ცუდი არ გაკეთებულა“).

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

დისკუსიის მიმდინარეობისას მონაწილეებმა განიხილეს რეგიონისთვის აქტუალური ბევრი პრობლემა. მათ შორის გამოიკვეთა:

› უმუშევრობა;

› მიგრაცია;

› სუსტი სამოქალაქო საზოგადოება;

› პროფესიონალი კადრების სიმწირე;

› მოუნესრიგებელი ჯანდაცვის სფერო;

› მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ბარიერები;

› სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა;

› გაუმართავი განათლების სისტემა;

› სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტი;

› მოუნესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა;

› მოუნესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

› საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა;



- › აგრარული ბაზრის არარსებობა მცხეთაში;
- › მიუსაფარი ძაღლები;
- › ნარჩენების მართვის გაუმართავი სისტემა;
- › სოფლის მეურნეობაში არსებული გამოწვევები;
- › გასართობი სივრცეების არარსებობა.

კომუნალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მაღალმთიან სოფლებში პრობლემაა როგორც **სასმელ, ასევე სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობა**. ამასთან, გამოწვევაა ხელმისაწვდომობა **გაზმომარაგებასა და ელექტროენერჯიაზე**. მაღალმთიანი დასახლებებისთვის პრობლემაა **ინტერნეტზე შეზღუდული წვდომა ან მისი სრული არარსებობა**. ეს საკითხები კი თავისთავად იწვევს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და განვითარების შესაძლებლობის არარსებობას.

მიუსაფარი ძაღლების სიმრავლე განსაკუთრებულ პრობლემად იყო იდენტიფიცირებული. დისკუსანტთა შეფასებით, გარდა იმისა, რომ აღნიშნული მოქალაქეთა გადაადგილებას უშლის ხელს, გამოწვევაა ასევე ტურიზმის განვითარებაზე ნეგატიური გავლენის თვალსაზრისითაც. ამას ემატება კიდევ ერთი პრობლემა, **საზოგადოებრივი ტუალეტების** არარსებობა, რაც ასევე უარყოფითად აისახება როგორც კონკრეტულად ქალაქ მცხეთის, ასევე მთელი რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარებაზე.

ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრისას განსაკუთრებით ხაზგასმული იყო **ამბულატორიების არარსებობა სოფლის ტიპის დასახლებებში. ხარისხიან განათლებაზე** დაბალი ხელმისაწვდომობის კონტექსტში კი, **საგანმანათლებლო ცენტრებისა** (სკოლისმიღმა განათლება) და **პროფესიული სასწავლებლების სიმწირე გამოიკვეთა**.

პრობლემებს შორის ასევე დასახელდა **გასართობი სივრცეების არარსებობა**. აქ ყურადღება გამახვილდა ბავშვებისათვის გასართობი ადგილების, რეკრეაციული ზონების სიმწირეზე ან სრულ არარსებობაზე ზოგიერთ მუნიციპალიტეტში („პარკები არ არის ელემენტარულად, საქანელები არ არის ბავშვებისთვის“).

სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ გამოწვევებზე საუბრისას მოქალაქეთა ჯგუფის წარმომადგენლებმა ყურადღება რამდენიმე საკითხზე გაამახვილეს. კერძოდ, აღინიშნა **საძოვრებთან** დაკავშირებული პრობლემა. რამდენადაც მათი დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია, ადგილობრივ მოსახლეობას ბევრ ლოკაციაში საძოვრებით სარგებლობის შესაძლებლობა არ აქვს. ასევე პრობლემად იდენტიფიცირდა **ვეტერინარულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა**, რაც მეცხოველეობაში ჩართული ფერმერების საქმიანობას მნიშვნელოვნად აფერხებს.

სოფლის მეურნეობაზე საუბრისას დისკუსანტებმა აღნიშნეს, რომ გასულ წლებში, ხელისუფლების მიერ გაცემული ვაუჩერებისა და გამოყოფილი ტექნიკის დახმარებით, მეტ-ნაკლებად მარტივად ხერხდებოდა მიწის დამუშავება და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა. თუმცა, ახლა სახელმწიფო დახმარების პროგრამების არარსებობისა და სანჯავის მაღალი საფასურის



პირობებში, მიწის დამუშავებას მოსახლეობა ვერ ახერხებს. მათი შეფასებით, მიწის დამუშავებისთვის განუღებ ხარჯთან შედარებით შემოსავალი იმდენად მწირია, რომ სოფლის მეურნეობაში ჩართულობა „აზრს კარგავს“.

დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს **სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობაზე**, როგორც პრობლემაზე, რომელიც აქტუალურია არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხზე გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, აღინიშნა, რომ საქართველოში არჩეულ მერებს არ აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა; ისინი ანგარიშვალდებულები არიან ცენტრალური ხელისუფლების წინაშე და მათზე არიან დამოკიდებულნი. ამ საკითხს ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ თვითმმართველობებს არ აქვთ საკმარისი შემოსავლები და ბიუჯეტი, რათა უპასუხონ საკუთარ თვითმმართველ ერთეულში არსებულ გამოწვევებს. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც დისკუსიის მონაწილეებმა გაამახვილეს ყურადღება, თვითმმართველობებისათვის ფინანსური რესურსის არასამართლიანი განაწილებაა („19%-იანი დღგ-ის საბიუჯეტო გადანაწილება, რაც არის ბიუჯეტის საფუძველი, სრულიად არასამართლიანია“). აღნიშნულის მაგალითად მოყვანილი იყო ჟინვალის შემთხვევა. ხაზგასმული იყო, რომ მიუხედავად საკმაოდ სოლიდური შენატანისა სახელმწიფო ბიუჯეტში, თავად ჟინვალისთვის გამოყოფილი თანხა მხოლოდ 20-30 ათას ლარს შეადგენს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონისათვის აქტუალურ პრობლემებს შორის რამდენიმე მათგანი განსაკუთრებით იმსახურებდა დისკუსანტთა ყურადღებას. კერძოდ, პრობლემები უმუშევრობის, საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების კუთხით.

უმუშევრობა / დასაქმება

დისკუსანტთა მოსაზრებით, მცხეთა-მთიანეთის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის მთავარ გამოწვევას **უმუშევრობა** წარმოადგენს. როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ბოლო პერიოდში რეგიონის ეკონომიკური სტიმულირებისთვის გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა აქტივობები ძირითადად კონცენტრირებულია კონკრეტულ ლოკაციებში (მცხეთა, დაბა ყაზბეგი, ნატახტარი), რაც მთელი რეგიონის განვითარებისთვის საკმარისი არ არის („მცხეთაში სანარმოები იხსნება, ნატახტარისკენ, მანდაც კარგია. მცხეთას რომ გაცდები, შემდეგ უკვე ძალიან დიდი პრობლემა“).

უმუშევრობის პრობლემის დასაძლევად დისკუსანტები ეკონომიკის სტიმულირების კონკრეტული გეგმის არსებობას მიიჩნევენ მნიშვნელოვნად. მეტიც, ხაზგასმული იყო, რომ აუცილებელია არა „ფურცელზე დაწერილი“ გეგმის არსებობა, არამედ რეალური მუშაობა მის განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით გამოწვევად იდენტიფიცირდა **არაპროფესიონალიზმი** თითქმის ყველა სფეროში. შესაბამისად, პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული, პირველ რიგში, ის უწყებები, რომლებიც სტრატეგიის განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელნი, ჩაითვალა უკიდურესად მნიშვნელოვნად დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ.

კვალიფიციური კადრების არსებობა მნიშვნელოვნად ჩაითვალა იმ თვალსაზრისითაც, რომ მათ უნდა მოახდინონ რეგიონის, მისი თითოეული მუნიციპალიტეტის საჭიროებების იდენტიფიცირება, სტრატეგიული განვითარების გეგმამ კი, სწორედ ამ საჭიროებებს უნდა უპასუხოს.



ფოკუსური დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ „ანარმოე საქართველოში“ და სხვა ეკონომიკური განვითარების პროექტებში მონაწილეობა პროექტების წერის მიმართულებით ისეთ ცოდნებსა და უნარებს მოითხოვს, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად ფლობს. შესაბამისად, მსგავსი პროექტები რეგიონის მოსახლეობისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია.

უმუშევრობასთან დაკავშირებულ კიდევ ორ საკითხზე გამახვილდა ყურადღება დისკუსიებზე. კერძოდ, **მიგრაციასა და სოციალური დახმარებების არაეფექტიანობაზე**. მიგრაციაზე ითქვა, რომ ის სამუშაო ადგილების არარსებობითაა გამოწვეული და განსაკუთრებით მწვავეა ეს პრობლემა ახალგაზრდობის კონტექსტში. დისკუსიანტთა შეფასებით, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ვერ ხედავს პერსპექტივას, ხდება სამუშაო ძალის მასიური გადინება, შესაბამისად, თავად რეგიონის განვითარების პერსპექტივაც ბუნდოვანია. ამ ვითარების ფონზე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან დისკუსიაზე აღინიშნა *მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონის ამოქმედება*. მის ფარგლებში მაღალმთიანი რეგიონებისთვის დანესებული შეღავათების ამოქმედება შესაძლებელია გახდეს ერთგვარი სტიმული ადგილზე დასარჩენად და უბიძგოს ადგილობრივებს, მათ შორის ახალგაზრდებსაც, იფიქრონ საკუთარი რეგიონის განვითარებაზე.

რაც შეეხება სოციალურ პოლიტიკას, კერძოდ, სოციალური დახმარებების გაცემის არსებულ პრაქტიკას, მას „*ხშირად სანინააღმდეგო ეფექტი აქვს*“. ერთ-ერთი მოსაზრებით, სოციალური დახმარების გაცემის ამჟამინდელი სისტემა ხელს უწყობს სიღარიბის შენარჩუნებას და არა სიღარიბის დაძლევას, რამდენადაც ხშირად სოციალურად დახმარების მიმღები პირები არ არიან მოტივირებულები დასაქმდნენ, „*რადგან არ სურთ დაკარგონ თავიანთი მწირი სოციალური შემწეობა*“.

ინფრასტრუქტურა

მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მნიშვნელოვან მოვლენებს შორის დასახელდა, დისკუსიანტები ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურს უწოდებენ. ამ თვალსაზრისით პრობლემები რეგიონში ორი მიმართულებით გამოიკვეთა: (1) საგზაო ინფრასტრუქტურა; (2) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

საგზაო ინფრასტრუქტურის კონტექსტში აღინიშნა, რომ უკვე განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების მიუხედავად, მათი მასშტაბი „*არაა საკმარისი*“. გამოწვევაა ასევე ჩატარებული სამუშაოების ხარისხი. მასშტაბზე საუბრისას, ძირითადად, სოფლის ტიპის დასახლებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზე გამახვილდა ყურადღება. ასევე აღინიშნა, რომ პრობლემაა გარე განათებების არასაკმარისი რაოდენობა ან თითქმის არარსებობა რიგ ლოკაციებში.

რაც შეეხება ხარისხს, აქ დისკუსიანტებმა მუშაობის არაეფექტიანობას გაუსვეს ხაზი მაღალმთიან ლოკაციებში. მათი შეფასებით, მუნიციპალიტეტები ყოველწლიურად ახდენენ გზების მოხრეშვას, ნაცვლად ეტაპობრივად ასფალტის გზის დაგებისა. დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, ამგვარად მოხდება ფინანსური რესურსის დაზოგვაც და შედეგად გრძელვადიან ეფექტზე იქნება გათვლილი („*მოხრეშვა გზების ყოველწლიურად იმდენად დიდი ხარჯია, რომ ამას სჯობს სათითაოდ გაუკეთოთ თითოეულ სოფელს; ჯერ ერთს, მერე მეორეს [ასფალტის გზა]*“).



რაც შეეხება **სატრანსპორტო სისტემასა და მომსახურებას**, როგორც დისკუსიებზე აღინიშნა, სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობასთან ერთად, ტრანსპორტის ქაოტური მოძრაობა ან მისი სრული არარსებობა განსაკუთრებულ გამოწვევას სოფლის ტიპის დასახლებებისთვის წარმოადგენს. გარდა არარეგულირებული განრიგისა, გამონვევა ასევე სატრანსპორტო მომსახურების საფასური. მუნიციპალური ცენტრებიდან სოფლებში გადაადგილება არ არის იაფი და მოსახლეობას დამატებით ტვირთად აწვება, მითუმეტეს, რომ ხშირად დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად მოქალაქეებს რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გამოცვლა უწევთ.

საგულისხმოა, რომ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები მოსახლეობის სოფლებიდან გადინების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორადაც შეფასდა.

წყალმომარაგება

წყალმომარაგების კუთხით არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, დისკუსიის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს როგორც **სასმელი, ასევე სარწყავი წყლების** დაბალ ხელმისაწვდომობაზე. აღინიშნა, რომ პრობლემა აქტუალურია როგორც მუნიციპალური ცენტრების, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. სარწყავ წყლებზე დაბალი ხელმისაწვდომობა ან მისი სრული არარსებობა რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ადგილობრივებისთვის თვითდასაქმების შესაძლებლობების გაჩენას უშლის ხელს.

რაც შეეხება სასმელ წყალს, აღინიშნა, რომ იმ დასახლებებშიც კი, სადაც სასმელი წყალი მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია, მისი ხარისხი დაბალია („ჩვენი დასახლების ნახევრისთვის სასმელი წყალი არ წარმოადგენს საფრთხეს, ნაწილისთვის კი იგი სასმელად უვარგისია“).

წყალმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს. დისკუსანტთა შეფასებით, რეგიონში, სადაც წყლისა და წყალსაცავების საკმარის დიდი რესურსია, აღნიშნული პრობლემა აქტუალური არ უნდა იყოს. ამის ერთ-ერთ მიზეზად წყალსადენების კერძო საკუთრებაში არსებობა იყო მიჩნეული („უინვალუი, ბულაჩაური, ნატახტარი, ამდენი წყალი გვაქვს რეგიონში, თუმცა ჩვენთვის მაინც პრობლემაა უწყლობა“).

1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით დისკუსიებზე გამოიკვეთა, რომ **ახალგაზრდებისთვის** ორი მთავარი გამოწვევა დგას დღის წესრიგში. კერძოდ, ხარისხიან განათლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა.

განათლებასთან დაკავშირებით ითქვა, რომ სასკოლო განათლება მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ახალგაზრდებისთვის რეგიონში, თუმცა სკოლისშემდგომი განათლების მისაღებად ისინი რეგიონს ტოვებენ. ისეთი ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა კი, სადაც მოსახლეობის ეს ჯგუფი კომუნიკაციას, იდეების სხვებისთვის გაზიარებასა და შემოქმედებით საქმიანობას განახორციელებდა, დამატებითი ფაქტორია შიდა მიგრაციისთვის („ახალგაზრდული კლუბი ვითხოვეთ, სახელმწიფო შენობა ლპება და არ გააკეთეს. ახალგაზრდულმა ჯგუფმა მიმართა ხელისუფლებას და უარი უთხრეს“).



უფროსი ასაკობრივი ჯგუფისთვის მთავარ პრობლემად შინ მოვლის სერვისებისა და ხანდაზმულთა ცენტრების არარსებობა დასახელდა. ასევე დისკუსიის მონაწილეები პრობლემად მიიჩნევენ პენსიაზე მყოფი პირებისათვის სესხის გაცემაზე უარის თქმის პრაქტიკას.

დასაქმებულთათვის მთავარ გამოწვევად ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები გამოიკვეთა. აღინიშნა, რომ გადაადგილება სერიოზული პრობლემაა რეგიონისთვის, შესაბამისად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მონესრიგება და მომსახურების გაუმჯობესება ის მთავარი გამოწვევაა, რომელსაც უნდა უპასუხოს სახელმწიფომ დასაქმებულთათვის.

გამონვევა ასევე დასაქმებულთათვის დაბალი ანაზღაურება და დიფერენცირებული საშემოსავლო გადასახადის არარსებობა. ამ უკანასკნელზე ყურადღება დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გაამახვილეს. მათი მოსაზრებით, დაბალი ანაზღაურების მქონე პირებისთვის უფრო დაბალი საშემოსავლო გადასახადის დაწესება მათ მატერიალურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენდა.

დაუსაქმებელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა სამუშაო ადგილების სიმწირეს და არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე დასაქმების პერსპექტივის არარსებობას უკავშირდება, რაც თავის მხრივ, ნეკოტიზმთანაა კავშირში.

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

რაც შეეხება პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელ აქტორებს, მთავარ აქტორად როგორც დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის, ასევე მოქალაქეთა ჯგუფის წარმომადგენლებმა **ადგილობრივი თვითმმართველობა** დაასახელეს. მართალია, აღინიშნა, რომ **ცენტრალური ხელისუფლების** როლიც მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის უფლებამოსილების დელეგირების კუთხით, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობების განსაკუთრებული როლი ცალსახად იყო ხაზგასმული.

დისკუსიანტა შეფასებით, პრობლემების უმრავლესობა, რომლებიც იდენტიფიცირდა როგორც აქტუალური იმ სფეროებს ეხება, რომელთა მოგვარებაც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შედის. თუმცა, აქ რამდენიმე ფაქტორზე გამახვილდა ყურადღება. ერთი, აღინიშნა, რომ თვითმმართველობები ცენტრზე არიან დამოკიდებულნი, შესაბამისად, გადაწყვეტილებებს ნაკლებად იღებენ, მუთუმიტეს, რომ არც უფლებამოსილებაა მათი ფართო. მეორე, ხაზგასმული იყო რეგიონში სუსტი **სამოქალაქო სექტორის** არსებობა. ერთი მხრივ, რეგიონში არც არასამთავრობო სექტორია ძლიერი, რაზეც თავად სექტორის წარმომადგენლებმა ისაუბრეს. მეორე მხრივ, მოქალაქეები არიან არააქტიურები. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ერთ შემთხვევაში, მოქალაქეების დაბალი ჩართულობის მიზეზი ის არის, რომ მოქალაქეები უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლებისგან ელიან პრობლემების გადაჭრას და ამაში საკუთარ როლს ნაკლებად ხედავენ. მეორე შემთხვევაში კი, მოქალაქეთა დაბალი ჩართულობის მიზეზი ის არის, რომ მოქალაქეები არ არიან დაწრმუნებულნი საკუთარი აქტიურობის ეფექტიანობაში („*მოსახლეობის ინტერესი დაიკარგა იმით, რომ მათ გამოთქვეს იდეები, სურვილები და ეს ყველაფერი დაიკარგა...“*; „*მოსახლეობა თვითმმართველობისგან ელოდება პრობლემების მოგვარებას და ინიციატივებს, თავად არ აქვთ ინიციატივა*“).

საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი



რატკ-ლერხუმი-ქვემო სჰანეთი



1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

რატა-ლერხუმი-ქვემო სვანეთში გამართულ ფოკუსურ დისკუსიაზე გამოიკვეთა, რომ რეგიონში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები უმეტესად ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირდება. მოვლენები, რომლებიც შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი, შემდეგია:

› საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

› გარე განათების უზრუნველყოფა;

› გაზიფიცირება;

› ცენტრალური წყალმომარაგების პროექტის დაწყება;

› ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის პროექტის დაწყება;

› სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობა;

› შშმ ბავშვებისათვის დღის ცენტრის გახსნა;

› თემური რადიოს ამოქმედება.

რეგიონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად ჩაითვალა **შშმ ბავშვთა მომსახურების ცენტრის გახსნა**, რაც ამ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის განვითარების შესაძლებლობას ქმნის. ასევე, ხაზგასმული იყო **თემური რადიოს ამოქმედების** მნიშვნელობა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლებისათვის რეგიონის მოსახლეობის პრობლემების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდების საშუალებად იყო შეფასებული. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მოვლენების მნიშვნელობაზე ყურადღება დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გაამახვილეს. მოქალაქეთა ჯგუფი კი ყურადღებას **ინფრასტრუქტურულ** მოვლენებზე (გზების, ასევე სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია) ამახვილებდა. მოსახლეობის ჯგუფის მიერ **ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობა** მნიშვნელოვან მოვლენათა შორის დასახელდა. მთავარი არგუმენტის თანახმად, მიუხედავად გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალურობისა, პროექტის განხორციელება **სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივების დასაქმებას** უზრუნველყოფს, შესაბამისად, მოვლენა დადებითად შეფასდა („ჩემს სოფელში დაიწყო ჰესების მშენებლობა. ჩვენთან ეს მნიშვნელოვანია, პრობლემას არ წარმოქმნის“).



1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში გამართული დისკუსიისას დასახელებული პრობლემები, რომლებიც დღეს აქტუალურია რეგიონის კონტექსტში, შემდეგია:

› მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (საგზაო, სატრანსპორტო);

› გაუმართავი წყალმომარაგება;

› უხარისხო სასკოლო განათლება;

› პროფესიულ სასწავლებლებზე მოთხოვნის არარსებობა;

› სივრცეების არარსებობა ახალგაზრდებისთვის;

› ჯანდაცვა;

› მიგრაცია;

› მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი;

› სოციალური დახმარებების გაცემის წესი.

დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, **მიგრაცია** ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა რეგიონისთვის. აღნიშნული დისკუსიის მონაწილეებმა დასაქმებასთან და პერსპექტივის არარსებობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს დაუკავშირეს.

მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე ყურადღება დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა გაამახვილა, რაც მოქალაქეთა ჯგუფის მიერაც იყო გაზიარებული. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, რეგიონში მოქალაქეები ნაკლებად არიან ჩართულნი სხვადასხვა აქტივობაში და იშვიათად გამოხატავენ პროტესტს. პრობლემის აღმოსაფხვრელად, ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლება ჩაითვალა უმნიშვნელოვანესად. თუმცა, ასევე აღინიშნა, რომ აუცილებელია სამოქალაქო აქტივობის და კონკრეტული მოქალაქის აქტიურობის პოზიტიური შედეგების დემონსტრირებაც მოხდეს საზოგადოებისთვის. როგორც ითქვა, აღნიშნული მოტივაციას გაზრდის მოქალაქეებში და უბიძგებს აქტიურობისკენ.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემად **ახალგაზრდებისთვის სივრცეების არარსებობა** დასახელდა. ხაზგასმული იყო, რომ რეგიონში არ არსებობს სივრცე, რომელსაც ახალგაზრდები არაფორმალური განათლების მისაღებად, სხვადასხვა აქტივობის დასაგეგმად თუ უბრალოდ, თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გასატარებლად გამოიყენებდნენ.

სოციალური დახმარებებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რეგიონში ძალიან ბევრი მოქალაქე იღებს სოციალურ შემწეობას და ხშირად, ეს პროცესი არასამართლიანია. დისკუსანტთა შეფასებით, აუცილებელია ბენეფიციარების განსაზღვრის და ქულების მინიჭების წესის გადახედვა იმგვარად,



რატო-ლერხუმი-ქვემო სვანეთი

რომ ბენეფიციართა რაოდენობა მაქსიმალურად შემცირდეს. მთავარი არგუმენტის თანახმად, სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულებამ „გააზარმაცა მოსახლეობა“. სწორედ ამიტომ, დისკუსიის მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ წესის გადახედვას, რამაც უნდა უზრუნველყოს სოციალური დახმარებების ბენეფიციარებად იდენტიფიცირდნენ ის მოქალაქეები, რომელთაც რეალურად აქვთ ამის საჭიროება, მათ კი, ვისაც აქვს შესაძლებლობა, რომ დასაქმდეს, არ უნდა მიეცეთ „კიდევ უფრო გაზარმაცების“ შესაძლებლობა („ვისაც მართლა სჭირდება, მოხუცია და მართლა, მიეცი მას [დახმარება]. მე ვიცი ახალგაზრდა ბიჭები, „ბირჟაზე“ არიან მთელი დღე და ამბობენ, რომ ვერ იმუშავებენ, რადგან დახმარება აქვთ“).

როგორც დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, მართალია, რეგიონში პრობლემები ძალიან ბევრია, თუმცა მათგან უმთავრესი განათლების სფეროს, ჯანდაცვის სფეროსა და ინფრასტრუქტურასთან ასოცირებული პრობლემებია, რომელთა გადაჭრაც ყველაზე აქტუალურია ამ ეტაპზე.

განათლება

განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები რეგიონისთვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევად იდენტიფიცირდა. დისკუსიისას ყურადღება გამახვილდა გამოწვევაზე რამდენიმე მიმართულებით. ერთ შემთხვევაში აქცენტი უხარისხო სასკოლო განათლებაზე გაკეთდა. ამ თვალსაზრისით რამდენიმე გამოწვევა გამოიყო: ერთი ის, რომ სკოლებში ბევრი ასაკოვანი პედაგოგი ასწავლის დღემდე და მათ მიერ თანამედროვე გამოწვევებზე პასუხის გაცემა რთულია („მე რომ სკოლაში ვსწავლობდი, კრიტიკული აზროვნება არ იყო აქტუალური. მაძლევდნენ გაკვეთილს და ბეპირად უნდა მესწავლა. ახლა სხვაა“). ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ, მიუხედავად სახელმწიფოს სტრატეგიისა, გაეყვანა ხანდაზმული პედაგოგები სისტემიდან და შეეცვალა ისინი ახალგაზრდა კადრებით, ამის განხორციელება ვერ ხერხდება, რასაც კონკრეტული მიზეზები აქვს. ერთ მიზეზად დასახელდა ის, რომ რეფორმის განმახორციელებელი უწყების პირველი პირები ხშირად იცვლებიან და რეფორმების იმპლემენტაციას ბარიერები ექმნება. და მეორე მიზეზია ახალგაზრდების ნაკლები მზაობა, იყვნენ სასკოლო საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი პედაგოგების როლში. ამას, თავის მხრივ, დაბალი ანაზღაურება და პროფესიის ნაკლები პრესტიჟულობა განაპირობებს.

განათლებასთან დაკავშირებული მეორე პრობლემა, რაზეც გამახვილდა ყურადღება ის არის, რომ სკოლის მოსწავლეებისთვის არ არსებობს სკოლის მიღმა აქტივობები (მაგ: სპორტული წრეები, სახელოვნებო წრეები). მესამე გამოწვევა, რაც ასევე განათლების კონტექსტში აღინიშნა, სკოლებში არ არსებობენ სპეცპედაგოგები. შესაბამისად, რეგიონში არსებული სასკოლო საგანმანათლებლო სივრცე ვერ უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებისთვის შესაბამისი სერვისის მიწოდებას.

განათლებასთან დაკავშირებით გამოწვევად ასევე იდენტიფიცირდა პროფესიულ სასწავლებლებში პროფესიების დაუფლებაზე მოთხოვნის არარსებობა. როგორც აღინიშნა, რეგიონში არსებობს მოთხოვნა კონკრეტულ პროფესიებზე, რომელთა დაუფლება სწორედ პროფესიულ სასწავლებლებშია შესაძლებელი; არსებობს ასევე შესაბამისი სასწავლებლები, თუმცა, ახალგაზრდებს არ აქვთ სურვილი სკოლისშემდგომი განათლება პროფესიულ სასწავლებლებში მიიღონ, რაც, თავის მხრივ, ცნობიერებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს დაუკავშირეს დისკუსანტებმა.



ჯანდაცვა

ჯანდაცვის მიმართულებით არსებული პრობლემები რეგიონისთვის ასევე ძალიან აქტუალურად იდენტიფიცირდა. მთავარ გამოწვევად დისკუსიის მონაწილეებმა **სხვადასხვა პროფილის ექიმების არარსებობა** დაასახელეს, რისი გადაჭრის ერთ-ერთ გზად, გარკვეული პერიოდულობით, მუნიციპალიტეტებში სპეციალისტების სხვა რეგიონებიდან მონვევა და მოსახლეობისთვის კონსულტაციების გამართვა დასახელდა („არ გვყავს თვალის ექიმი... უნდა წავიდნენ ქუთაისში ან თბილისში... თვეში ერთხელ მაინც მოიწვიონ სპეციალისტები“).

ჯანდაცვის მიმართულებით ასევე გამოწვევად დასახელდა **ექთნების მწირი რაოდენობა** და მათ მიერ რამდენიმე სოფლისთვის ერთდროულად სერვისის მიწოდების ვალდებულება. აღნიშნული, დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, ართულებს მოქალაქეთათვის თუნდაც სამედიცინო სერვისის დროულად მიღებას („ერთი ექთანი მიმაგრებულია 8 სოფელზე“). ამას ემატება ის გამოწვევაც, რომ სოფლების დიდ ნაწილში არ არსებობს ე.წ. **მედიკატები**, სადაც ექთნები შეიძლება იღებდნენ პაციენტებს. შესაბამისად, ნაცვლად პროფილურ დაწესებულებებში სამედიცინო სერვისით მოსარგებლეთათვის მომსახურების განვცისა, ექთნები იძულებულნი არიან მოქალაქეებს სერვისი ადგილზე (პაციენტის სახლი უმეტესად) მიაწოდონ.

ინფრასტრუქტურა

მართალია, მნიშვნელოვან და დადებით მოვლენებს შორის დისკუსიის მონაწილეებმა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაასახელეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მნიშვნელოვანი პრობლემების ნაწილიც ინფრასტრუქტურას უკავშირდება სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, აღინიშნა გაუმართავი **საგზაო ინფრასტრუქტურა**. ხაზგასმული იყო, რომ, მიუხედავად გზების რეაბილიტაციისა, ხშირია, გარე გზების რეაბილიტაციის პარალელურად, შიდა გზების რეაბილიტაციის აუცილებლობის იგნორირება. შესაბამისად, გადაადგილება მოსახლეობისთვის კვლავაც სერიოზულ გამოწვევად რჩება.

პრობლემებს შორის მნიშვნელოვნად დასახელდა **ჯებრების არარსებობა** მდინარე რიონისთვის, რაც მეტეოროლოგიური პირობების გაუარესების შემთხვევაში, მდინარის კალაპოტიდან გადმოსვლის საფრთხეებს ზრდის და აზიანებს მოსავალს.

ამას ემატება **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის** თვალსაზრისით არსებული გამოწვევები. ამ მიმართულებით ერთი გამოწვევაა **ტრანსპორტის არარსებობა/ძველი სატრანსპორტო საშუალებებით** გადაადგილების აუცილებლობა და მეორე, **მოდრობის განრიგის არარსებობა**. აღნიშნული განსაკუთრებული გამოწვევაა სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. თუ ქალაქის ტიპის დასახლებებში ძველი სატრანსპორტო საშუალებებით რთულად, მაგრამ მაინცაა შესაძლებელი გადაადგილება, სოფლებში ტრანსპორტი საერთოდ შეიძლება არ მოძრაობდეს და შესაბამის გადაწყვეტილებას, როგორც წესი, თავად სატრანსპორტო საშუალების მძღოლები იღებენ („ჩემთან სოფელში ამოდიოდა ტრანსპორტი. რადგანაც მცირე მოსახლეობა არის, მძღოლმა განაცხადა, რომ 3-4 მგზავრით ვერ იღებს სანჯავის თანხას [და შეწყვიტა მოძრაობა]“).



გაუმართავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა სერიოზული გამოწვევაა განათლების კონტექსტშიც. როგორც დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, ტრანსპორტის ან განრიგის არარსებობა, პირველ რიგში, სკოლის მოსწავლეების სკოლისმიღმა აქტივობებში ჩართვას უქმნის ბარიერებს. როგორც შეხვედრაზე ითქვა, სპორტული თუ სახელოვნებო წრეები მუნიციპალურ ცენტრებშია წარმოდგენილი, სადაც ჩასვლას სოფლად მცხოვრებთა უმრავლესობა ვერ ახერხებს. შესაბამისად, ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება ნაწილობრივ განათლებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გამოწვევებზეც იქნება ადეკვატური პასუხი.

1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

სხვადასხვა ჯგუფისთვის აქტუალურ პრობლემებზე საუბრისას, ახალგაზრდებისათვის რეგიონში ყველაზე აქტუალური ორი პრობლემა გამოვლინდა. კერძოდ, განათლება და დასაქმება. განათლების კონტექსტში აღინიშნა, რომ განსაკუთრებული პრობლემაა ის, რომ რეგიონში დაბალია ხელმისაწვდომობა ხარისხიან ფორმალურ განათლებაზე, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა კი საერთოდ არ არსებობს. დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ რეგიონში სერიოზული გამოწვევაა ისეთი სივრცეების არარსებობა, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ შეკრება, დისკუსიის გამართვა, სხვადასხვა, სკოლის მიღმა აქტივობის განხორციელება. გარდა არაფორმალური განათლებისთვის აუცილებელი სივრცეების არარსებობისა, ასევე გამოწვევაა ისეთი სივრცეების არარსებობა, სადაც ახალგაზრდები გართობასა და დროის სასიამოვნოდ გატარებას შეძლებენ.

რაც შეეხება დასაქმებას, აქ ხაზგასმული იყო, რომ რეგიონში ახალგაზრდა დასაქმების პერსპექტივასაც ვერ ხედავს და ცდილობს რეალიზებისთვის რეგიონს მიღმა მოძებნოს შესაძლებლობები. ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას და შესაბამისი ზომების მიღებას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დისკუსიის მონაწილეები. მათი შეფასებით, აუცილებელია ახალგაზრდებისთვის ისეთი შესაძლებლობების შეთავაზება, რაც მათ ადგილზე დარჩენას შეუწყობს ხელს და დაარწმუნებს პერსპექტივის არსებობაში. ერთ-ერთ ასეთ მექანიზმად ახალგაზრდა მენარმეებისთვის შეღავათიანი პირობების (მაგ: იაფი სესხი) შეთავაზება მოიაზრება. დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, საკუთარი ვენახის გასაშენებლად მან კრედიტი აიღო, თუმცა ის არ ყოფილა შეღავათიანი, რის გამოც ახლა უწევს სხვაგან სამუშაოდ წასვლა, რათა საბანკო ვალდებულებები დაფაროს. რეალურად კი, ამგვარი მხარდაჭერის აღმოჩენის შესაძლებლობა არსებობს, რადგანაც შესაბამისი პრეცედენტების შესახებ მათთვის ცნობილია („შქმერში ბიჭი ამოვიდა თბილისიდან და ის დააფინანსეს...“; „თუ მექნებოდა შეღავათიანი სესხი, არ წავიდოდი“).

უფროსი ასაკის წარმომადგენელთა პრობლემებზე საუბრისას ყურადღება ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე გამახვილდა. საგულისხმოა, რომ დისკუსიის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს რეგიონში სხვადასხვა პროფილის სამედიცინო პერსონალის არსებობის აუცილებლობას და ამ თვალსაზრისით ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას და არა მედიკამენტების ან სამედიცინო სერვისის ფასის ხელმისაწვდომობას.

თუ დაუსაქმებელთათვის სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა დასახელდა ყველაზე აქტუალურ საკითხად, დასაქმებულთათვის აქტუალურად საშემოსავლო შეღავათების დანერგვა იდენტიფიცირდა.



სხვა ჯგუფების საჭიროებებზე საუბრისას, ყურადღება *შშმ ბავშვების* საჭიროებებზე გამახვილდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის მიერ. როგორც მან აღნიშნა, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, არის რეგიონში *შშმ ბავშვების* საჭიროებების შესწავლა. მეორე, აუცილებლად ჩაითვალოს ტრანსპორტით უზრუნველყოფა სოფლად მცხოვრები *შშმ ბავშვების* მუნიციპალურ ცენტრში ტრანსპორტირებისათვის, რათა მათ შეძლონ სერვისების მიღება. და მესამე, მთავარი გამოწვევა, რაზეც უნდა უპასუხოს სახელმწიფომ ამ მიმართულებით არის მუნიციპალიტეტებში პროგრამების შექმნა კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად.

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებზეც დისკუსიისას გამახვილდა ყურადღება, მთავარ პასუხისმგებელ აქტორად **ცენტრალურ ხელისუფლებასთან** ერთად, **ადგილობრივი ხელისუფლება** დასახელდა. ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ ხშირად, მოსახლეობამ არ იცის ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქცია და ცენტრალური ხელისუფლებისგან ითხოვს ისეთი სერვისის მიწოდებასა თუ პრობლემის მოგვარებას, რაც რეალურად ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს. შესაბამისად, მოქალაქეთა ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით, მნიშვნელოვნად ჩაითვალება („ადგილობრივმა უნდა მოაგვაროს, პარლამენტიდან ხომ არ ჩამოვლენ და მოაგვარებენ აქ წყლის პრობლემას?!“).

დისკუსიაზე ასევე აღინიშნა, რომ შესაძლებელია **მედიამაც** შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი პრობლემების მოგვარებაში, თუმცა ითქვა, რომ მთავარი აქ მაინც **მოქალაქეთა ჩართულობაა**. დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, იმისათვის, რომ ადგილობრივმა მედიამ პრობლემის გადაჭრაზე დადებითი გავლენა იქონიოს, აუცილებელია მოქალაქეებმაც იაქტიურონ როგორც ინფორმაციის მიწოდების, ასევე, შემდეგ უკვე საკუთარ პრობლემებზე ხმამაღლა საუბრის თვალსაზრისით. მედიისა და მოქალაქეების მსგავსი კოლაბორაციით პრობლემების გადაჭრას დისკუსიის მონაწილეები სავსებით რეალისტურად მიიჩნევენ.

საქართვებათა მიმოსილვის დოკუმენტი



სამეგრელო-ზემო სვანეთი

1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

სამეგრელო-ზემო სვანეთში გამართულ ფოკუსურ დისკუსიებზე რეგიონში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის დასახელდა:

› შიდა გზების რეაბილიტაცია;

› ცენტრალური წყალმომარაგების პროექტის განხორციელება;

› კანალიზაციის პროექტის განხორციელება;

› შალვა დადიანის სახელობის თეატრის მშენებლობის დაწყება ზუგდიდში;

› ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია;

› განმუხურის საზღვაო ზოლის რეაბილიტაციის დაწყება;

› სტადიონის მშენებლობის შეჩერება ზუგდიდში;

› ფაროსანასთან ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებების გატარება;

› ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტის შეჩერება.

რეგიონში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენათა შორის დასახელებული მოვლენები სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას უკავშირდება, რაც დადებითად შეფასდა მოსახლეობის ჯგუფის მიერ. თუმცა, საგულისხმოა, რომ დისკუსიაზე განსხვავებული შეფასებაც გაუღერდა. ერთ-ერთი მოსაზრებით, ინფრასტრუქტურული პროექტების გამო ქალაქი (ზუგდიდი) უკვე რამდენიმე თვეა გადათხრილი და მოუნესრიგებელია, შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ცალსახად დადებითა ვერ შეფასდება.

ბოტანიკური ბაღისა და განმუხურის საზღვაო ზოლის რეაბილიტაციის პროექტი დადებითად შეფასდა ორი თვალსაზრისით. ერთი, აღნიშნული პროექტები რეკრეაციულ სივრცეებს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მეორე, ჩნდება ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ლოკაციები, რამაც, პირველ რიგში, შიდა ტურიზმის განვითარებაზე უნდა იქონიოს დადებითი ეფექტი.

განსაკუთრებით დადებითად შეფასდა **ფაროსანასთან ბრძოლა** და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება. როგორც აღინიშნა, შესაბამისი ნაბიჯების გადადგმამ უზრუნველყო წელს რეგიონისთვის ფაროსანასთან დაკავშირებული პრობლემის ნაკლები აქტუალურობა.

რაც შეეხება **ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტის შეჩერებას**, აღსანიშნავია, რომ ის მოვლენებს შორის დისკუსიის მონაწილე მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლებს არ დაუსახელებიათ. მასზე, როგორც მნიშვნელოვან მოვლენაზე ყურადღება არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გაამახვილა. აღინიშნა, რომ პროექტის შეჩერებით რეგიონის განვითარების

სამეგრელო-ზემო სვანეთი

პერსპექტივა შედარებით ბუნდოვანია. სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკური სტაბილურობისა და ზოგადად, განვითარების ნაკლები შესაძლებლობის გამო, დისკუსიის მონაწილემ ასევე აღნიშნა, რომ, თითქოს მოსახლეობის „ფსიქო-ემოციურ სტაბილურობასაც შეექმნა საფრთხე“.

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

სამეგრელო-ზემო სვანეთში გამართული დისკუსიისას დასახელებული პრობლემები, რომლებიც დღეს აქტუალურია რეგიონისთვის, შემდეგია:

- › უმუშევრობა;
- › მიგრაცია;
- › ნეპოტიზმი;
- › გაბერილი ბიუროკრატიული აპარატი;
- › დაბალი ანაზღაურება;
- › ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა;
- › არაეფექტიანი განათლება;
- › არაეფექტიანი ჯანდაცვა;
- › შესრულებული პროექტების არასათანადო მონიტორინგი;
- › გააქტიურება და პროექტების განხორციელება წინასაარჩევნო პერიოდში.

ნეპოტიზმი და გაბერილი ბიუროკრატიული აპარატი რეგიონისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად დასახელდა. აღინიშნა, რომ ნეპოტიზმის პრობლემა დღის წესრიგში დგას არა მხოლოდ საჯარო სექტორში, არამედ კერძო სექტორშიც („თუ ნაცნობი არ გყავს, ისე ვერსად დაინყებ მუშაობას“). მიუხედავად კერძო სექტორისთვისაც ნეპოტიზმის ფაქტორის მნიშვნელობას, დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური საჯარო სექტორშია, რის შედეგადაც ვიღებთ მეორე მნიშვნელოვან პრობლემას გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის სახით.

ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა, სადაც გართობა და დასვენება, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება იქნება შესაძლებელი, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა რეგიონისთვის. როგორც აღინიშნა, მსგავსი სივრცეების არარსებობა „თრგუნავს ახალგაზრდებს“, ზრდის სტრესის დონეს და „უბიძგებს ნარკოტიკის მოხმარებისკენ“. ამ პრობლემასთან გამკლავებისთვის აუცილებლად გადასადგმელ ნაბიჯად ისეთი სივრცეების გახსნა მიიჩნევა დისკუსანტებმა მნიშვნელოვნად, როგორც კინოთეატრი, კლუბები, სტადიონები. აღინიშნა, რომ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი იქნება კერძო ბიზნესის ნახალისება, რომელსაც შეღავათიანი საგადასახადო პირობების შემთხვევაში

შეიძლება ჰქონდეს მოტივაცია გახსნას თუნდაც კლუბი. გარდა იმისა, რომ ამგვარი სივრცეების არსებობა ახალგაზრდებს დასვენებისა და გართობისთვის აუცილებელ ლოკაციებს შესთავაზებს, უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს შეიძლება განხილული იყოს, როგორც ადგილზე ახალგაზრდების დაკავებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პრობლემად დასახელდა ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ არ ხდება **შესრულებული პროექტების მონიტორინგი**, რაც უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების რაოდენობას ზრდის. შესაბამისად, მონიტორინგი განხორციელებულ პროექტებზე (პირველ რიგში, ინფრასტრუქტურული პროექტები იგულისხმება) მნიშვნელოვნად ჩაითვალა.

პრობლემად დასახელდა ისიც, რომ ხელისუფლება, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი, პროექტების განხორციელებასა და **აქტიურობას იწყებს წინასაარჩევნო პერიოდში** („წინასაარჩევნო ყველაფერს ერთად ეჭიდებიან“). დისკუსიანტა შეფასებით, მნიშვნელოვანია პროექტების განხორციელება მოხდეს ეტაპობრივად და თანმიმდევრულად, რაც შესრულებული სამუშაოების ხარისხზეც მოახდენს დადებით გავლენას.

როგორც დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რეგიონში პრობლემები ბევრია, თუმცა ყველაზე აქტუალურია გამოწვევები **უმუშევრობის, განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით**. სწორედ ამ თვალსაზრისით მუშაობის გააქტიურება და სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ჩაითვალა კრიტიკულად მნიშვნელოვნად სამეგრელო-ზემო სვანეთში გამართულ დისკუსიებზე.

უმუშევრობა/დასაქმება

უმუშევრობა და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები იდენტიფიცირდა რეგიონისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად დისკუსიისას. ამ კონტექსტში რამდენიმე გამოწვევაზე გამახვილდა ყურადღება. ერთი გამოწვევა, ზოგადად, **სამუშაო ადგილების სიმწირეს** ეხება, რაც პრობლემას არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის და სახელმწიფოს მიერ სამუშაო ადგილების შესაქმნელად შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას დისკუსიის მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისით ხაზგასმული იყო *სოფლის მეურნეობის განვითარების* მნიშვნელობა, რამაც რეგიონში დასაქმების დამატებითი შესაძლებლობები უნდა გააჩინოს. დისკუსიანტა შეფასებით, სოფლის მეურნეობის განვითარება, სულ მცირე, თვითდასაქმებულთა რიცხვის გაზრდას შეუწყობს ხელს. თუმცა, ამ კონტექსტში ისეთი გამოწვევის არსებობაზე მიუთითეს დისკუსიის მონაწილეებმა, როგორცაა მოსახლეობის *ცნობიერების დაბალი დონე და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელი ახალი ცოდნებისა და უნარების შექმნის მზაობის არარსებობა* („სურვილი არ აქვთ [ფერმერებს] რამე ისწავლონ. ბაბუაჩემის მამა ასე აკეთებდა, იტყვიან და არაფერს სწავლობენ“). სწორედ ამის გამო, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტივობების დაგეგმვას და ფერმერების ინფორმირების გაზრდას, შესაბამისი ცოდნით აღჭურვას, რამაც კონკრეტულ ლოკაციაზე შესაბამისი კულტურის მოყვანა-განვითარებისკენ უნდა უბიძგოს მათ, არა მხოლოდ კონკრეტულად სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, არამედ უმუშევრობის პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმულ ნაბიჯადაც იყო მოაზრებული.

მეორე გამოწვევა, რაზეც დასაქმება/უმუშევრობის კონტექსტში გამახვილდა ყურადღება, ინფრასტრუქტურულ პროექტებში **ადგილობრივი კადრების ნაცვლად, უცხოელების დასაქმებაა**. აღინიშნა, რომ რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებში დასაქმებული მუშახელის დიდი უმრავლესობა არა საქართველოს მოქალაქე, არამედ აზერბაიჯანის, თურქეთისა და იმ სახელმწიფოების მოქალაქეები არიან, რომელთაც სამუშაოების შემსრულებელი კომპანიები წარმოადგენენ. მართალია,

გაუღერდა მოსაზრება, რომ საქართველოში ზოგადად და რეგიონშიც პრობლემაა კვალიფიციური კადრების არარსებობა, რითიც აიხსნება ხშირად სხვა ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმება სხვადასხვა პოზიციაზე. თუმცა, მთავარი დისკურსის თანახმად, სხვა ქვეყნის მოქალაქეები უმეტესად დასაქმებულები არიან ისეთ პოზიციებზე, რასაც განსაკუთრებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ სჭირდება („რა ცოდნა უნდა მინის ამოთხრას?!“), შესაბამისად, სახელმწიფოს ნების არსებობის შემთხვევაში, სავსებით რეალისტურია ადგილობრივების დასაქმება ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

მესამე გამოწვევად იდენტიფიცირდა დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის. ამ თვალსაზრისით ორ საკითხზე გამახვილდა ყურადღება. ერთი, ითქვა, რომ **დამსაქმებლები ითხოვენ სამუშაო გამოცდილებას**, რაც ახალგაზრდებს არ აქვთ. სტაჟირების პროგრამების გავლის შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს, შესაბამისად, სასწავლებლად ძირითადად დედაქალაქში წასული ახალგაზრდა რეგიონში არ ბრუნდება. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად, დისკუსიის მონაწილეებმა მოიაზრეს სახელმწიფოს მიერ ისეთი რეგულაციების შემუშავება, რაც, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორს დაავალდებულებს გარკვეული რაოდენობის ახალგაზრდისთვის სტაჟირების პროგრამის შემუშავებას, სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობის შეთავაზებაც, რაც ადგილზე მყოფი ახალგაზრდების როგორც დაკავების, ასევე, რეგიონიდან წასულთა ნაწილის დაბრუნების ალბათობას გაზრდიდა.

ამავე გამოწვევის კონტექსტში კიდევ ერთი საკითხი, რაზეც გამახვილდა ყურადღება, **სეზონური სამუშაოების არარსებობაა** რეგიონში, რაც ახალგაზრდებისთვის ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა. როგორც აღინიშნა, ამგვარი სამუშაოების არსებობა ორ ფუნქციას შეასრულებდა: ერთი, გარკვეულწილად, სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას მისცემდა ახალგაზრდას და მეორე, მას გარკვეული ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა გაუჩინებოდა.

უმუშევრობის/დასაქმების კონტექსტში კიდევ ერთ გამოწვევად **ნეპოტიზმი** დასახელდა, რაც, როგორც აღინიშნა, საჯაროსთან ერთად, კერძო სექტორისთვისაც აქტუალურია. ასევე გამოწვევად იდენტიფიცირდა **დაბალი ანაზღაურება**. დისკუსიაზე ითქვა, რომ რეგიონებსა და დედაქალაქში შრომის ანაზღაურება მსგავს პოზიციაზე განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც კიდევ ერთი მიზეზია შიდა მიგრაციის.

განათლება

განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, რამდენიმე საკითხზე გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, **ასაკოვანი კადრებით დაკომპლექტებული სკოლა** ვერ პასუხობს თანამედრო გამოწვევებს; სკოლა ზრდის კრიტიკული აზროვნებისგან დაცლილ მოსწავლეს, შედეგად კი ფერხდება მთელი ქვეყნის განვითარება. აქედან გამომდინარე, დისკუსიის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ არსებული კადრების გადამზადება, ახალი მიდგომების გამოყენება, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე სასკოლო განათლების აქცენტირება ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს, რომელზე პასუხის გაცემაც სახელმწიფომ სასწრაფოდ და უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს.

მეორე საკითხი, რაც განათლების კონტექსტში გამოიკვეთა პრობლემურად, **გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურაა**. აღინიშნა, რომ რეგიონის ბევრ სკოლაში არ ფუნქციონირებს სკოლის ბუფეტები, იქ კი, სადაც ბუფეტები არის, არაჯანსაღია საკვები, რაც ბავშვების ჯანმრთელობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. ინფრასტრუქტურის ნაწილშივე აღინიშნა მოუწესრიგებელი საპირფარეოები სკოლებში, რაც ასევე სასწრაფოდ საჭიროებს მოგვარებას.

განათლების პრობლემებზე საუბრისას მესამე საკითხი, რაზეც გამახვილდა ყურადღება, **სკოლებში ფსიქოლოგებისა და ინკლუზიური მასწავლებლების სიმწირეა**. როგორც დისკუსიაზე ითქვა, სკოლებში აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე კადრების სიმწირის გარდა, გამოწვევა ასევე ზოგადად განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ნაკლები მიმღებლობა. შესაბამისად, დისკუსიის მონაწილე, როგორც არასამთავრობო სექტორის, ასევე მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს არა უბრალოდ ფსიქოლოგისა თუ ინკლუზიური მასწავლებლების რაოდენობის გაზრდაზე და მათი სერვისების არსებობაზე სკოლაში, არამედ, ყველა დაინტერესებული მხარის (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) ცნობიერების გაზრდაზე.

და მეოთხე საკითხი, რაც განათლების სფეროს პრობლემების კონტექსტში აღინიშნა, **პროფესიულ განათლებას** ეხება. ხაზგასმული იყო, რომ პროფესიულ სასწავლებლებში პროფესიის დაუფლება არაპოპულარულია და არც ინფორმირება ხდება მოსახლეობის იმ პროფესიებთან დაკავშირებით, რომელთა დაუფლებაც პროფესიულ სასწავლებელშია შესაძლებელი. ასევე, არ ხდება ინფორმირება ამ პროფესიების დაუფლების შემთხვევაში, დასაქმების პერსპექტივებთან და შესაძლო ანაზღაურებასთან დაკავშირებითაც. ეს მაშინ, როდესაც შრომის ბაზარზე ბევრ ისეთ კადრზეა მოთხოვნა, რომელსაც არა უმაღლესი, არამედ სწორედ პროფესიული განათლება სჭირდება.

როგორც დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რეგიონში ამ ეტაპზე ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება და მოთხოვნა სხვადასხვა მიმართულებით მუშახელზე საკმაოდ მაღალია; მაღალია ასევე ანაზღაურებაც. თუმცა, სწორედ იმის გამო, რომ მოქალაქეებმა არ იციან პერსპექტივების შესახებ, ასევე, საზოგადოება სტერეოტიპების მსხვერპლია („ჩემმა შვილმა უნივერსიტეტში უნდა ისწავლოს“), პროფესიული განათლების პოტენციალის გამოყენება არ ხდება. ამ მიმართულებით სახელმწიფოს გააქტიურებას, პროგრამების პოპულარიზაციას, დასაქმების არსებული შესაძლებლობების წარმოჩენასა და, რაც მთავარია, ცნობიერების ამაღლებას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დისკუსიის მონაწილეები („მენტალობა უნდა შეიცვალოს; სახლს რომ ტოვებენ, სოფელს ტოვებენ და მინიმალური ზღვარი უნივერსიტეტში ჩასაბარებლად 12 ქულაა, შენი შვილი კი 13 ქულას აგროვებს და მაინც უნივერსიტეტში ასწავლი...“).

ჯანდაცვა

ჯანდაცვის სფეროში არსებული გამოწვევები იმ მთავარ პრობლემებს შორის დასახელდა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონისთვის. ამ თვალსაზრისით ყურადღება გამახვილდა სფეროში დასაქმებული **კადრების დაბალ კვალიფიკაციაზე**, რაც მოქალაქეებს აიძულებს სამედიცინო სერვისის მისაღებად დედაქალაქს ეწვიონ. ასევე გამოწვევად იდენტიფიცირდა **სამედიცინო აპარატურის დაბალი ხარისხი** (ძველი და/ან უხარისხო), რაც არასწორი დიაგნოზის დაადგენს ალბათობას ზრდის. არაკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის პირობებში კი, აღნიშნული მითუფრო სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

კიდევ ერთ გამოწვევად **სოფლების ნაწილში ამბულატორიების არარსებობა**, იქ კი, სადაც ამბულატორიაა, **აფთიაქების არარსებობა** დასახელდა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გამოწვევაა იმის გათვალისწინებით, რომ გადაადგილება ასევე პრობლემაა სოფლის ტიპის დასახლებებში **ტრანსპორტის არარსებობის და/ან შეზღუდული მოძრაობის** გამო.

ჯანდაცვის სფეროში გამოწვევად, **მედიკამენტების მაღალ ფასთან** ერთად, **სამედიცინო პერსონალის ფარმაცევტულ კომპანიებთან ერთგვარ გარიგებაში ყოფნაც** დასახელდა. როგორც დისკუსიის

მონაწილეები აღნიშნავენ, ე.წ. ფარმაცევტულ ბიზნესში ჩართულობის გამო, ექიმები ხშირად ძვირადღირებულ და ერთდროულად ბევრ მედიკამენტს ნიშნავენ, რაც სამედიცინო პერსონალისადმი დაბალი კვალიფიკაციის გამო არსებულ უნდობლობას კიდევ უფრო ზრდის.

1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

სხვადასხვა ჯგუფისთვის აქტუალურ პრობლემებზე საუბრისას, ახალგაზრდების ჯგუფი ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად იდენტიფიცირდა. მათთვის განსაკუთრებულ პრობლემად ისეთი სივრცეების არარსებობა დასახელდა, სადაც ახალგაზრდები გართობას, დასვენებასა და შემეცნებითი აქტივობების განხორციელებას შეძლებენ. თუ მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული აქცენტი გასართობ და დასასვენებელ სივრცეებზე გაამახვილეს, დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მთავარი აქცენტი არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობისთვის აუცილებელი სივრცეების არარსებობას ეხებოდა. მათი შეფასებით, მნიშვნელოვანია რეგიონის სხვადასხვა ქალაქში არსებობდეს ერთგვარი ახალგაზრდული ჰაბები, რომლისთვისაც მთავარი შემეცნებითი კომპონენტი იქნება. აღნიშნული, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდების განვითარებაზე მოახდენს დადებით გავლენას, ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ახალგაზრდებისთვის რეგიონში დარჩენის პერსპექტივის დემონსტრირებას („ეს დაანახებს ახალგაზრდებს, რომ აქაცაა შესაძლებელი რაღაცით დაკავდე“).

უფროსი ასაკის ჯგუფისთვის, გარდა პენსიების გაზრდისა, საქროებად იდენტიფიცირდა ე.წ. შინ მოვლის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ასევე, დღის ცენტრების გახსნა, სადაც უფროსი ასაკის წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა აქტივობა დაიგეგმება, ხელი შეეწყობა მათ სოციალიზაციას და ისინი მთელ რიგ აქტივობაში მოახერხებენ ჩართვას. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ისეთი ცენტრების გახსნის საქროებაზეც გაამახვილეს ყურადღება, რომელიც ხანდაზმულთა სადღეღამისო მოვლას ითვალისწინებს. მართალია, აღინიშნა, რომ სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ამგვარი ცენტრების მომხმარებელთა რაოდენობა შეიძლება შეზღუდული იყოს, მაგრამ მათი არსებობა მნიშვნელოვანია იმ ხანდაზმულთათვის, რომელთა ოჯახის წევრები არ ცხოვრობენ რეგიონში და მათზე ზრუნვა აუცილებელია.

დასაქმებულთათვის მთავარ გამოწვევად დაბალი ანაზღაურება, დაუსაქმებელთათვის კი, სამუშაო ადგილების არარსებობა დასახელდა.

კიდევ ერთი ჯგუფი, რომლის საქროებებზეც ისაუბრეს დისკუსიის მონაწილეებმა იძულებით გადაადგილებული პირები არიან. მათი შეფასებით, ბევრ პრობლემას, რომელიც ამ ჯგუფს აქვს, ემატება აფხაზეთიდან სამეგრელოში გადაადგილებაზე დანესებული შეზღუდვები. აღნიშნული ართულებს აფხაზეთში მყოფი მოქალაქეების მიერ როგორც განათლების, ასევე ჯანდაცვისა თუ სხვადასხვა სოციალური სერვისის მიღებას („თვეებია უკვე პენსია ვერ აიღეს“).

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებზეც დისკუსიისას გაამახვილდა ყურადღება მთავარ პასუხისმგებელ აქტორად ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა დასახელდა. ამასთან, მნიშვნელოვან აქტორად იდენტიფიცირდა სამოქალაქო საზოგადოება (როგორც არასამთავრობო სექტორი, ასევე თავად მოქალაქეები).

დეცენტრალიზაციის საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იდენტიფიცირდა დისკუსიის მონაწილე როგორც მოსახლეობის, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ. აღინიშნა, რომ არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ მართვის არსებული მოდელი შეიცვალოს და თვითმმართველობებს გაეზარდოს უფლებამოსილებები. ხაზგასმული იყო, რომ ეს ნება არ არსებობს არც ცენტრის დონეზე („მთავრობაა მთავარი. თუ მისი ნება არ იქნება, არც არაფერი შეიცვლება“) და არც რეგიონის დონეზე („თავის დროზე, როცა თვითმმართველი ქალაქები გაუქმდა, ჰქონდათ თვითმმართველობებს შანსი, გამოეჩინათ ინიციატივა, ეთქვათ, რომ გააკეთებდნენ კონკრეტულ საქმეს, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ“).

შესაბამისად, პრობლემების მოსაგვარებლად, დეცენტრალიზაციას, ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებას როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსებით, დისკუსიის მონაწილეები კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

მნიშვნელოვან აქტორად იყო ასევე შეფასებული **არასამთავრობო სექტორი**, რომელსაც შეუძლია, „სწორი სტრატეგიის პირობებში“, რეალურ ცვლილებებს მიაღწიოს. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულად გაამახვილეს ყურადღება არასამთავრობო სექტორის როლზე მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლებმა. თავად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა კი აქცენტი სხვა რამეზე გააკეთეს. კერძოდ, აღინიშნა, რომ ცვლილებებისა და შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობასთან კოლაბორაცია. როგორც აღინიშნა, ბოლო წლებში ეს პროცესი მეტ-ნაკლებად წარმატებულია რეგიონში. ამის მთავარ მიზეზად თვითმმართველობებში დასაქმებული ახალგაზრდა კადრები დასახელდა. ითქვა, რომ, გასულ წლებთან შედარებით, ახლა მარტივია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კომუნიკაცია, დარწმუნება პრობლემის აქტუალობაში და, შესაბამისად, ამ ეტაპზე თანამშრომლობა ბევრად ეფექტიანია („ბუები ვიყავით. ახლა მიხვდნენ, რომ ვართ მათი მარჯვენა ხელი“). გამონვევად ის დასახელდა, რომ არასამთავრობო სექტორი აქტიურია ძირითადად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, რეგიონის მასშტაბით სხვა მუნიციპალიტეტებში კი ისინი ან საერთოდ არ არსებობს, ან აქტიურები ნაკლებად არიან. მართალია, ზუგდიდში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული აქტივობები ცდება კონკრეტულად მუნიციპალიტეტის ფარგლებს, თუმცა მთელი რეგიონის დაფარვას „ვერ ხერხდება“. შესაბამისად, რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში არასამთავრობო სექტორის შექმნა და შემდეგ გაძლიერება, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იდენტიფიცირდა.

რაც შეეხება მოქალაქეთა როლს პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით, ამაზე განსაკუთრებული აქცენტი თავად მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლებმა გააკეთეს. ხაზგასმული იყო, რომ განვითარებული და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე საზოგადოება ნიშნავს მეტად ინფორმირებულ საზოგადოებასაც, რომელმაც იცის საკუთარი უფლებებიც და მექანიზმებიც, როგორ უნდა მოსთხოვოს ცვლილებები ხელისუფლებას. პრობლემად, დისკუსიის მონაწილეებმა ის დაასახელეს, რომ ხელისუფლებას ნაკლებად „ანყოფს“ მომთხოვნი მოქალაქეების რიცხვის გაზრდა, შესაბამისად, მათ ინფორმირებულობას ჩართულობის მექანიზმების თაობაზე, ნაკლებად უწყობს ხელს. ამ თვალსაზრისით, გარდა განათლების სფეროში შესაბამისი ცვლილებებისა, არასამთავრობო სექტორის როლის განსაკუთრებულ მნიშვნელოვანზე გაამახვილდა ყურადღება („როცა ხალხმა იცის, რა მოითხოვოს, როგორ მოითხოვოს და დიდი მასაა ასეთი, ცვლილებები აუცილებლად გამოვა“).



საჭიროებათა მიმოხილვის
დოკუმენტი



სამსხე-ჯავახეთი



1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

სამცხე-ჯავახეთში გამართულ ფოკუსურ დისკუსიაზე გამოიკვეთა, რომ რეგიონში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები უმეტესად ინფრასტრუქტურულ პროექტებს უკავშირდება. საგულისხმოა, რომ დისკუსიაზე ხშირად გაუღერდა ასევე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რეგიონში ბოლო წლებია არაფერი მნიშვნელოვანი მომხდარა, ის მოვლენები კი, რისი გახსენებაც შეიძლება, რთულია შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი. ამის მიუხედავად, რეგიონისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენაზე გამახვილდა ყურადღება დისკუსიისას. ესენია:

› აბასთუმნის რეაბილიტაცია;

› შალვა ახალციხელის სახელობის საკათედრო ტაძრის გახსნა ახალციხეში;

› ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

› შიდა ტურიზმისთვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნაკლებ პრიორიტეტულად აღიარება.

მნიშვნელოვან მოვლენათა შორის ხშირად სახელდება სხვადასხვა **ინფრასტრუქტურული** პროექტის განხორციელება. მათ შორის, ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილდა *შიდა გზების მოწესრიგებაზე, უშუალოდ ახალციხეში ეზოების მოპირკეთებასა და ქალაქების გამწვანებაზე*. ამ მოვლენების კონტექსტში საგულისხმოა მოქალაქეთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის მოსაზრება. მისი შეფასებით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებაა და ისინი ქალაქის და, მითუმეტეს, რეგიონის კონტექსტში მნიშვნელოვან მოვლენად ვერ ჩაითვლება (*„მადლობა რომ გააკეთეს 9 წელში, 10 წელში თუ 20 წელში ერთხელ. ალბათ მოვიდა დრო, როდესაც დააყენეს საკითხი, რომ უნდა გაკეთებულიყო. ეს რაღაც მნიშვნელოვან მოვლენად არ მიმაჩნია“*). ისიც აღინიშნა, რომ რაბათის რეაბილიტაციის შემდეგ რეგიონში „არაფერი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი“ პროექტი არ განხორციელებულა. თუმცა, ამგვარი მოსაზრებების მიუხედავად, მთავარი დისკუსიის თანახმად, ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა რეგიონში, რაც მნიშვნელოვანია, რადგან, გარდა იმისა, რომ ამსუბუქებს ადგილობრივების ყოველდღიურ ცხოვრებას და გადაადგილებას ამარტივებს, ხელს უწყობს ასევე გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის წარმოებას (*„ყველა სოფელში მიდიხარ ასფალტით. ინფრასტრუქტურა ვითომ დიდი არაფერი, მაგრამ 20 წელია არ გაკეთებულა... ეს ხალხის კეთლდღეობაზე აისახება. იქაურს საქონელი გამოაქვს, კარტოფილი მიაქვს...“*).

ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვლენებს შორის **საჯარო ბაღების რეაბილიტაცია**ც დასახელდა, რაც ასევე პოზიტიურად შეფასდა.

ახალციხეში საკათედრო ტაძრის გახსნა მნიშვნელოვან მოვლენათა შორის დასახელდა, თუმცა ამ მოვლენის პოზიტიურად თუ ნეგატიურად შეფასებასთან დაკავშირებით მოსაზრებები არ ყოფილა ცალსახა. ერთი დისკუსიის თანახმად, ეკლესიის გახსნა პოზიტიური მოვლენაა, რადგან ის ადამიანების სულიერებაზე ზრუნვას უკავშირდება (*„არის ადამიანებისთვის მოტივაცია რწმენით წავიდეს, იმუშაოს, არჩინოს ოჯახი“*). მეორე დისკუსიის თანახმად კი, ეკლესიის მშენებლობაზე მსხვილი ფინანსური



რესურსის დახარჯვა ვერ შეფასდება პოზიტიურად. ამ მოსაზრების მომხრეთა შეფასებით, რაციონალური იქნებოდა ეკლესიის მშენებლობაზე დახარჯული თანხის სხვა პრობლემების მოსაგვარებლად გამოყენება („შეიძლება ვინმემ ცუდად გამოგოს... ახლა საკათედრო ტაძარი გაიხსნა, ნუ ეს რწმენასთანაა დაკავშირებული, როცა ვინმე გაჭირვებულია ჩემს გვერდით, ის რომ მოდის ლაბორატორიაში და არ აქვს ფული ანალიზებისთვის და ასობით ათასი იხარჯება [ტაძრის მშენებლობაზე]... მე ვთლი, რომ ცოტა სხვანაირად უნდა იყოს“; „კერძო პირმა კი დაიწყო [მშენებლობა], თუმცა, ამ წლის განმავლობაში ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ 500 ათასი ლარი გადაურიცხა ეკლესიას...“).

მნიშვნელოვან მოვლენებს შორის ასევე დასახელდა შიდა ტურიზმისთვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნაკლებ პრიორიტეტულად აღიარება კონკრეტულად კოვიდპანდემიის პირობებში. ამ მოსაზრების ავტორის შეფასებით, პანდემიისას ბევრი ადამიანი დარჩა უმუშევარი, რამდენადაც მან განსაკუთრებული დარტყმა ტურიზმის სფეროს მიაყენა. შიდა ტურიზმის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია იყო ერთგვარი ხელშეწყობა სფეროსი, რომელიც მნიშვნელოვნად დაზარალდა, თუმცა, აქ სხვა რეგიონების (რაჭა/სვანეთი) მსგავსად, სამცხე-ჯავახეთის, როგორც შიდა ტურიზმისთვის მნიშვნელოვანი ლოკაციის პოპულარიზაციას ადგილი არ ჰქონია („ქართველი ტურისტებიც კი, წელს რატომღაც სვანეთს, რაჭას მიაწყდნენ ყველა და რატომღაც მესხეთი არ მიიჩნიეს მნიშვნელოვნად“).

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

სამცხე-ჯავახეთში გამართული დისკუსიისას დასახელებული პრობლემები, რომლებიც დღეს აქტუალურია რეგიონისთვის, შემდეგია:

› უმუშევრობა;

› მიგრაცია

› ტურისტების სიმწირე (პანდემიით განპირობებული);

› განათლება;

› ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის სივრცის არარსებობა;

› ჯანდაცვა;

› წყალმომარაგება;

› ახალციხის გარდა, რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებისა და სოფლის ტიპის დასახლებების პრობლემების იგნორირება;

› ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაცია;

› შშმ ბავშვებისათვის დღის ცენტრის არარსებობა;

› მოხუცთა თავშესაფრების სიმწირე;



› თავშესაფრების არარსებობა შინაური ცხოველებისთვის;

› ნეპოტიზმი;

› ეროვნული იდეის არარსებობა.

ამ პრობლემებზე საუბრისას აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების კონტექსტში ორ საკითხზე გამახვილდა ყურადღება: ერთი, *კვალიფიციური კადრების არარსებობას*, მეორე კი, *შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობის არარსებობას უკავშირდება („სამედიცინო დიაგნოზის] ნამკითხავი არ გვყავს. სპეციალისტების ნაკლებობაა“).*

განათლების სფეროსთან დაკავშირებით ქვეყნისთვის აქტუალურ პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება. როგორც აღინიშნა, განათლების სფეროში სწრაფი და ხშირი ცვლილებები, სახელმწიფოს არათანმიმდევრული პოლიტიკა სფეროს განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, რადგან ეს არ უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას. ამის ერთ-ერთ შედეგად რეპეტიტორების ინსტიტუტის აუცილებლობა დასახელდა.

ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის სივრცეების არარსებობა, სადაც გართობა, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის დაგეგმა თუ სპორტულ აქტივობაში ჩართვა იქნება შესაძლებელი, ასევე დასახელდა რეგიონის პრობლემებს შორის *„გასართობი ადგილები არ არის მოზარდებისთვის“; „სპორტული დარბაზების ნაკლებობაა, ინფრასტრუქტურა არ არსებობს“; „[სივრცეები არ არის] სადაც ბავშვი ბავშვთან ურთიერთობას ისწავლის“).*

წყალმომარაგების თვალსაზრისით ასევე ორ საკითხზე გამახვილდა ყურადღება: ერთი, *სასმელი წყლის დაბალ ხარისხის*, მეორე კი, *სარწყავი წყლების არარსებობას უკავშირდება*. პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ, დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი მიწის დამუშავებასა და სხვადასხვა კულტურის მოყვანაზე უარს ამბობს *„სოფლების ნაწილმა გადაწყვიტა მეორე წელს კარტოფილი აღარ დაეთესონ. მოსავალი ვერ აიღეს, წყალი არ არის“).*

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დისკუსიაზე იდენტიფიცირდა აქტუალურად, **ახალციხის მიღმა არსებული გამოწვევების იგნორირებაა** *„მართო ერთი რაღაცის გაკეთება არ ნიშნავს, რომ პრობლემა, ყველა საკითხი მოგვარებულია. მართო ახალციხის მოწესრიგება არაფერს ნიშნავს“).*

ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით არსებული პრობლემა ასევე აღინიშნა რეგიონისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს შორის.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მნიშვნელოვანი პრობლემა არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ქვეყნის კონტექსტში **ეროვნული იდეის არარსებობაა**, რომლის გარშემოც მოხდებოდა მოქალაქეთა გაერთიანება. ამ მოსაზრების ავტორის შეფასებით, სხვა ქვეყნების (გერმანია, თურქეთი) მსგავსად, აუცილებელია ისეთი იდეის არსებობა, რომელიც მოქალაქეებს მათ მნიშვნელოვნებას გააცნობიერებინებს და ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანისკენ განაწყობს *„გერმანია, მსოფლიო ომის დროს დაანგრეს, მიწასთან გაასწორებს, ქარხნები აღარ იყო. და აი, იდეოლოგია რომ ჩაუდო, ჩვენ ვართ ზეადამიანებიო, იდეოლოგია წამოწია და იმ იდეოლოგიამ ისეთი უძლიერესი გახადა, გადაუარა მთელ მსოფლიოს. დღევანდელი თურქეთი ავიღოთ: იყო ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა. იმ ათათურქმა იდეოლოგიით, რომ ჩვენ ძველი ოსმალები ვიყავით, ასეთები ვიყავით, ეს გვაქვს, ის გვაქვს,*



ამით წამოწია ეკონომიკა. სული, ჯერ თავი, ჯერ გონებაში რაღაც უნდა ჩადო და მერე დანარჩენი... გამაერთიანებელი იდეოლოგია გვინდა, რომელიც შეკრავს ქვეყანას ერთიანად“).

ნეპოტიზმთან დაკავშირებით ხაზგასმული იყო ნაცნობობის ფაქტორის მნიშვნელობა როგორც დასაქმებისას, ასევე სხვადასხვა პროექტის განხორციელებისა თუ სახელმწიფო ტენდერებში კონკრეტული შედეგის მისაღწევად.

მიუხედავად ბევრი გამონკვევისა, რეგიონისთვის ყველაზე აქტუალურ პრობლემებად უმუშევრობასა და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ეთნიკური უმცირესობებისადმი არატოლერანტული დამოკიდებულება და სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა დასახელდა.

უმუშევრობა / დასაქმება

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და დასაქმებასთან ასოცირებული რიგი საკითხებია ის, რაც რეგიონისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა. როგორც დისკუსიისას გამოვლინდა, სწორედ დასაქმების შესაძლებლობების არარსებობას და ამ თვალსაზრისით არსებულ გამონკვევებს უკავშირდება რეგიონში არსებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - მიგრაცია („არის მიგრაციის მაღალი დონე... ყოველი მეოთხე ახალგაზრდა ოცნებობს მალე წავიდეს აქედან“). ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა პანდემიამ, რამაც ისეთ სფეროზე მოახდინა ნეგატიური ეფექტი, როგორცაა ტურზმი. აღინიშნა, რომ ტურისტების სიმწირეს რეგიონი პანდემიამდე არ უჩიოდა, თუმცა, ამჟამად პრობლემა ძალიან მწვავეა. ამ გამონკვევაზე საპასუხოდ ერთ-ერთ ეფექტიან მექანიზმად დისკუსიის მონაწილეები შიდა ტურიზმის მეტად წახალისებასა და სამცხე-ჯავახეთის პოპულარიზაციას მიიჩნევენ.

უმუშევრობასთან გამკვალვების კიდევ ერთ გზად მცირე ბიზნესის წახალისება და მხარდაჭერა დასახელდა. ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ მცირე მენარმეობის მხარდაჭერის კარგი მაგალითია „ანარმოე საქართველოში“. თუმცა, აქ გამონკვევაა ის, რომ მოქალაქეები პროგრამის შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულნი („რატომ არ უნდა მქონდეს ინფორმაცია? რატომ არაა ამის მისაწვდომობა ყველასთვის, სოფლებში მაცხოვრებლებისთვის?“).

დასაქმებისა და უმუშევრობასთან ბრძოლის კონტექსტში ასევე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი პროდუქციისთვის უპირატესობის მინიჭება, რაც ბაზარზე იმპორტირებული პროდუქტის წილის შემცირების ხარჯზე უნდა მოხდეს („შიდა პროდუქტი უფრო პრიორიტეტული უნდა გახდეს. თუ არ შემოვა სხვა ქვეყნიდან [პროდუქცია], წინა პლანზე წამოვა ადგილობრივი“).

არატოლერანტული დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობებისადმი

მართალია, დისკუსიის მონაწილეებს შორის იყო განსხვავებული მოსაზრებები საქართველოში ეთნიკური ქართველების ქსენოფობიურ დამოკიდებულებაზე სხვა ეთნოსის, განსაკუთრებით, რელიგიური ნიშნით განსხვავებული მოქალაქეების მიმართ, თუმცა, მაინც გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანი პრობლემა რეგიონისთვის („[სამცხე-ჯავახეთში] არის ინტეგრაციის და რაღაც სიძულვილის პრობლემა. რა განვითარებაზე უნდა ვისაუბროთ, თუ ჩემი მეზობელი, რომელიც მუსლიმია, მძულს ამის გამო?!“).

როგორც დისკუსიაზე აღინიშნა, ქსენოფობიური განწყობების დემონსტრირება ხშირად ხდება სატელევიზიო სივრცეში და მთელი ქვეყნის პრობლემას წარმოადგენს, თუმცა, განსაკუთრებული



გამოწვევაა აღნიშნული იმ რეგიონებისთვის, სადაც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ახალგაზრდების ჯგუფისთვისაა („ძირითადად ახალგაზრდებში უფრო გვხვდება ეს პრობლემა. მიმღებლობის [არარსებობა] თუნდაც, რატომ უნდა ილოცოს მუსლიმანმა საქართველოში ან რატომ უნდა ჰქონდეთ პრიორიტეტები სომხებს საქართველოში [დამოკიდებულება]?“).

დისკუსიის იმ მონაწილეთა შეფასებით, რომლებიც ნაკლებად იზიარებდნენ იდეას სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფებისადმი არატოლერანტული დამოკიდებულების თაობაზე, მნიშვნელოვანი ფაქტორია დრო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა „გათქვამა“ უმრავლესობის ჯგუფთან. თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, იმ ჯგუფის არგუმენტების თანახმად, ვინც იზიარებს მოსაზრებას საქართველოში და, კონკრეტულად, რეგიონში ქსენოფობიური განწყობების არსებობის თაობაზე, უბრალოდ წლების მანძილზე თანაცხოვრება არ არის გამოსავალი. მათი შეფასებით, ქვეყანა არ არის ტოლერანტული სხვადასხვა ნიშნით უცხო ადამიანთა მიმართ და ამ პრობლემასთან ბრძოლა აუცილებელია. დისკუსიაზე ხაზგასმული იყო, რომ ამ მიმართულებით ამ ეტაპზე სახელმწიფო ნაკლებად დგამს ნაბიჯებს.

სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა

როგორც სამცხე-ჯავახეთში გამართულ დისკუსიაზე შეფასდა, სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა მთელი ქვეყნისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულის სამ მთავარ მიზეზზე გამახვილდა ყურადღება შემდეგნაირად: ერთი, ადგილობრივი თვითმმართველობის შეზღუდული უფლებამოსილება; მეორე, მოქალაქეთა არაინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციის შესახებ; და მესამე, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში თავად მოქალაქის უფლებებისა და მექანიზმების შესახებ არაინფორმირებულობა.

თვითმმართველობის შეზღუდულ უფლებამოსილებაზე საუბრისას, დისკუსიის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ცენტრალური ხელისუფლების ნების არარსებობაზე, რაც უფლებების დელეგირებისათვის არის აუცილებელი. აღნიშნულს ემატება ადგილზე არსებული მწირი ფინანსური რესურსი, რაც კიდევ უფრო ამცირებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების როგორც მიღების, ასევე მათი იმპლემენტაციის ალბათობას („თვითმმართველობა დამოკიდებულია ცენტრზე... რაც არ უნდა ვალდებულება მიეცეს, ფუნქცია მიენიჭოს თუნდაც იმ ადგილობრივს, მას აქვს მცირედი ბიუჯეტი... თუ სახელმწიფოს მართველობაში არ მოხდა განსაკუთრებული რეფორმა, ცვლილება, აზრი არ აქვს...“).

1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

სხვადასხვა ჯგუფისთვის აქტუალურ პრობლემებზე საუბრისას, ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებულ პრობლემად სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეების არარსებობა, ასევე, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობის არარსებობა დასახელდა. გამოწვევად დასახელდა გასართობი ლოკაციების არარსებობაც. საგულისხმოა, რომ აღნიშნული პრობლემად იდენტიფიცირდა ასევე საშუალო და უფროსი ასაკის მოქალაქეებისთვისაც („ახალგაზრდები ხო, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ?!“).

გარდა სივრცეებისა, სადაც მოქალაქეები გართობასა და კომუნიკაციას შეძლებენ ერთმანეთთან, ასევე საჭიროებად გამოიკვეთა ისეთი სავაჭრო ცენტრის არსებობა, სადაც მოქალაქეები ტანსაცმლის



შეძენას ადგილზევე შეძლებენ („არ არის სავაჭრო ცენტრი, სადაც ერთ სივრცეში შეიძენ სხვადასხვა ბრენდის სამოსს თუნდაც წლევეანდელი კოლექციიდან ან მინიმუმ შარშანდელი. 5 წლის მერე რომ ჩამოაქვთ და ყიდიან, ხომ რაღაც ზღვარი არსებობს არა?! რაღაც ძველები რომ ჩამოაქვთ და ყიდიან...“).


დასაქმებულთათვის მთავარ გამოწვევად დაბალი ანაზღაურება დასახელდა („არ უნდა გჭირდებოდეს ხუთასგან მუშაობა, რომ რაიმე ელემენტარული შეიტანო ოჯახში“). ამ თვალსაზრისით აღინიშნა, რომ ანაზღაურება არასამართლიანია საქართველოში არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ზოგადად დაბალია, არამედ იმ მხრივაც, რომ დიფერენციაცია ხდება გეოგრაფიული ნიშნითაც. კერძოდ, დედაქალაქსა და რეგიონს შორისა ერთსა და იგივე პოზიციაზე ანაზღაურებები, დისკუსანტთა თქმით, რადიკალურად განსხვავებულია. რაც შეეხება დაუსაქმებელ მოქალაქეებს, მათთვის სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა დასახელდა მთავარ საჭიროებად.

კიდევ ერთი ჯგუფი, რომლის წინაშეც რეგიონში არსებულ განსაკუთრებულ საჭიროებებზე ისაუბრეს დისკუსიის მონაწილეებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არიან. მათ მთავარ საჭიროებად, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას, ენობრივი ბარიერის დაძლევაა. აღინიშნა, რომ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ინტეგრაციისთვის აუცილებელია ამ ჯგუფის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი საუბრობდეს სახელმწიფო ენაზე. ამდენად, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანი მუშაობა კრიტიკულად მნიშვნელოვანად ჩაითვალა. ამ მიმართულებით აღინიშნა ხარვეზები. კერძოდ, ითქვა, რომ იმ მასწავლებელთა ანაზღაურება, რომლებიც რეგიონში, განსაკუთრებით, სოფლის ტიპის დასახლებებში ქართულ ენას ასწავლიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ახლა საკმაოდ დაბალია. შესაბამისად, მათთვის მოტივაციის გაზრდა უფრო მომხიბვლელი ანაზღაურების შეთავაზებით ენობრივი ბარიერის დაძლევისა და, ამავედროულად, უმცირესობის ამ ჯგუფის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვან მექანიზმადაა მოაზრებული.

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებზეც დისკუსიისას გამახვილდა ყურადღება, მთავარ პასუხისმგებელ აქტორად **ცენტრალური ხელისუფლება** და **ადგილობრივი თვითმმართველობა** დასახელდა. ამასთან, მნიშვნელოვან აქტორად იდენტიფიცირდა **სამოქალაქო საზოგადოება**. აღინიშნა, რომ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება როგორც საკუთარ უფლებებზე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებსა და მოვალეობაზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია. დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, სწორედ ამ შემთხვევაში შეძლებენ მოქალაქეები მიმართონ თვითმმართველობას რელევანტური საკითხებით. ამასთანავე, თუ აღნიშნულთან ერთად მოქალაქეები ასევე აიღებენ პასუხისმგებლობას და მიიღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში, ეს ქვეყნის განვითარებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება („საკუთარი თავი პირველ რიგში, მენტალობის შეცვლა, თვითშეგნების შეცვლა, კულტურის შეცვლა, ამ ყველაფრის სწორად აღქმა, სწორად მითანა“; „პირველ რიგში, უნდა დავინყოთ საკუთარ თავზე მუშაობა. ჩვენ თუ გვეცოდინება, რა მოვალეობები გვაქვს, ვალდებულება, პასუხისმგებლობა გვაქვს, მერე ადგილობრივ თვითმმართველობასაც გვეცოდინება რა შეუძლია და იმ კუთხით მივმართავთ. მერე სახელმწიფოს მივმართავთ და მოვთხოვთ“).

კიდევ ერთ მნიშვნელოვან აქტორად პრობლემების მოგვარების კუთხით დისკუსიაზე **არასამთავრობო სექტორი** დასახელდა. აღინიშნა, რომ მათი ხედვები და მიდგომები, რომელთაც ისინი მუშაობისას იყენებენ, არის განსხვავებული, საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის („ერთი კვირა ვიყავი სიძულვილის ტრენინგზე, იმდენად შემცვალა, რომ სულ სხვა თვალთა დავინახე ეს ყველაფერი“).



საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი



ქვემო ქართლი



1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

ქვემო ქართლში გამართულ ფოკუსურ დისკუსიაზე რეგიონში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი შემდეგი მოვლენები გამოიკვეთა:

- › სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერება;
- › ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების გეგმის შემუშავება რუსთავში;
- › სასკოლო ინფრასტრუქტურის კეთილმონყობა;
- › ველობილიკების და სკვერების კეთილმონყობა;
- › მუნიციპალიტეტებისათვის სკოლის საჭიროებებისთვის ფინანსური რესურსების განკარგვის უფლების მინიჭება.

ქვემო ქართლში განსაკუთრებულ მოვლენად მიაჩნიათ **სამოქალაქო საზოგადოების „გამოღვიძება“**. აღნიშნულის დასტურად რეგიონში რამდენიმე ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა იყო მოყვანილი. როგორც დისკუსიაზე აღინიშნა, პროცესი 2018 წლის დეკემბერში დაიწყო, როდესაც თბილისი-რუსთავის მიკროავტობუსებზე თვითნებურად გაიზარდა მგზავრობის თანხა 1.50-დან 2 ლარამდე. არასამთავრობო სექტორის და მოსახლეობის მიერ რამდენიმე აქცია დაორგანიზდა, რომელთა ნაწილი, გარდა სატრანსპორტო მომსახურების ტარიფის ზრდისა, ასევე ეკოლოგიურ პრობლემებს ეხებოდა. დისკუსიანთა შეფასებით, აქციებს რეალური შედეგები მოჰყვა და ბევრ „სასიკეთო ცვლილებას“ ჩაუყარა საფუძველი („2018 წელს სამოქალაქო აქტივიზმმა დიდი მასშტაბები მიიღო და გაიღვიძა“).

ქალაქ რუსთავისთვის და მთელი რეგიონისთვის მნიშვნელოვან მოვლენად შეფასდა ასევე ჰაერის შესახებ კანონის მეორე მოსმენა და რუსთავში **ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების გეგმის შემუშავება**. როგორც დისკუსიისას აღინიშნა, ქალაქისთვის ეკოლოგიური პრობლემები აქტუალურია და ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ კონკრეტული ზომების გატარება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, როგორც კანონის დამტკიცება, ასევე სტატეგიული გეგმის შემუშავება, რომლის აღსრულებაც 2021-2024 წლებშია დაგეგმილი, რეგიონისთვის მნიშვნელოვნად შეფასდა.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ჩაითვალა ასევე მნიშვნელოვან მოვლენად რეგიონისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ქალაქ რუსთავში ველობილიკების მონყობაზე გამახვილდა. როგორც აღინიშნა, სულ უფრო პოპულარული ხდება მწვანე ტრანსპორტი, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის დამსახურებაცაა და ამავდროულად, თავადაც უწყობს ხელს მის პოპულარიზაციას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხაზგასმული იყო სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა. როგორც დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, მწვანე ტრანსპორტის პოპულარობაში სამოქალაქო აქტივიზმს „დიდი წვლილი მიუძღვის“. ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ, გარდა იმისა, რომ სამოქალაქო აქტივიზმმა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი, კიდევ ერთი რამ, რატომაცაა აღნიშნული მოვლენა მნიშვნელოვანი, თავად აქტივიზმის რეალურ შედეგებში



მოქალაქეთა დარწმუნება („ყველაზე მეტად ის მიმართა პოზიტიურ მოვლენად, რომ ცნობიერება გაიზარდა, ხალხმა ირწმუნა, რომ აქტივიზმს შეუძლია შედეგი გამოიღოს“).

მნიშვნელოვან მოვლენათა შორის ასევე აღინიშნა სკოლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ცალსახად პოზიტიურ მოვლენად შეფასდა.

მნიშვნელოვან და პოზიტიურ მოვლენად შეფასდა ასევე **სკოლების საჭიროებებისთვის ფინანსური რესურსის არაცენტრალიზებულად მართვა**. თუ მანამდე სკოლის საჭიროებებისთვის თანხების განკარგვა ცენტრალიზებულად ხდებოდა, ახლა უკვე მუნიციპალიტეტს მიენიჭა უფლება, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, განკარგოს თანხები („თანხების მართვა, ტენდერის გამოცხადება და გარკვეული სამუშაოების განხორციელება [მუნიციპალიტეტს შეუძლია]“).

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

ქვემო ქართლში გამართული დისკუსიისას შემდეგი აქტუალური პრობლემები გამოვლინდა:

- › ეკოლოგია და ჰაერის დაბინძურება;
- › მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- › მოუწესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
- › არასწორად დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები;
- › მიუსაფარი ცხოველები;
- › გასართობი სივრცეების სიმწირე;
- › შშმ პირებისათვის ინკლუზიური სივრცეების სიმწირე;
- › წყალმომარაგებასთან დაკავშირებული გამოწვევები;
- › მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა;
- › ნიჰილიზმი;
- › სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა.

გაუმართავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება რეგიონისთვის აქტუალურ პრობლემად იდენტიფიცირდა. ამ თვალსაზრისით, ყურადღება ძველ, გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებებსა და მათი მოძრაობის განწერილი განრიგის არარსებობაზე გამახვილდა.



კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რეგიონისთვის **წყალმომარაგებასთან** დაკავშირებული გამოწვევები დასახელდა. აღინიშნა, რომ რეგიონში გამოწვევებია როგორც *სასმელი წყლის, ასევე ტექნიკური წყლის* თვალსაზრისით. დისკუსიის მონაწილე მოქალაქეთა ჯგუფის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ წყლის მიწოდება (რუსთავი) არასტაბილურია და განრიგის მიუხედავად, შესაძლებელია მიწოდებას მაინც ქონდეს პრობლემები. გარდა მიწოდების განრიგთან დაკავშირებული გამოწვევებისა, ასევე პრობლემებია ხარისხთან დაკავშირებით, რის გამოც, ხშირად წყალი სასმელად უვარგისია (*„ხშირად წყალმომარაგებაზე ავარიებია, ღამე წყალი აღარ მოდის, დილით კი ჟანგიანი წყალი მოგვეწოდება“*).

რეგიონისთვის ერთ-ერთ პრობლემად **მიუსაფარი ცხოველების** დიდი რაოდენობა დასახელდა, რაც განსაკუთრებით აქტუალური რუსთავისთვისაა. აღნიშნული გამოწვევა არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ადგილობრივებს უქმნის საფრთხეს გადაადგილებისას, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ აღნიშნული ნეგატიურად აისახება ტურისტულ გარემოზეც (*„ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად უცხოელებზე მუშაობს და ძალიან ბევრი უცხოელი ვიზიტორი გვყავს. ქუჩაში უამრავი კატა და ძაღლია. უამრავი დაკბენილი გვყავს...“*). როგორც აღინიშნა, რუსთავში არსებობს ძაღლების თავშესაფარი, თუმცა ეს არ არის საკმარისი და დამატებით ცხოველთა თავშესაფრების გახსნის აუცილებლობა დღის წესრიგშია.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით დისკუსიაზე რამდენიმე პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება. დისკუსიანთა აზრით, სასწრაფოდ მოწესრიგებას საჭიროებს საგზაო ნიშნები და ქვეითთა გადასასვლელები. როგორც აღინიშნა, ძალიან ხშირად საგზაო ნიშნები და მონიშვნები უკვე ძველია, რაც საფრთხის შემცველია როგორც ავტოტრანსპორტით გადაადგილებისას, ასევე ფეხით მოსიარულეთათვის. ამ უკანასკნელთათვის გამოწვევაა ისიც, რომ გარემო მათთვის ადაპტირებული არ არის (*„ქვეითთა გზა თითქმის არ არის“*), შესაბამისად, მოქალაქეთა გადაადგილება უსაფრთხო არ არის. ცალკე გამოწვევად იდენტიფიცირდა შშმ პირებისათვის არაადაპტირებული გარემოს არარსებობა.

ინფრასტრუქტურის კონტექსტშივე პრობლემებად დასახელდა *პარკინგთან და ამორტიზებულ ლიფტებთან დაკავშირებული* საკითხები, რაც ასევე აქტუალურია რუსთავისთვის და მთელი რეგიონისთვის მის აქტუალურობაზე დისკუსიის მონაწილეები ნაკლებად მიუთითებენ.

დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ყურადღება ასევე გაამახვილეს **დაბალ სამოქალაქო ჩართულობაზეც**, როგორც პრობლემაზე, რომელიც კიდევ ერთ პრობლემას, **ნიჰილიზმს** უკავშირდება. მათი შეფასებით, მოქალაქეთა ამგვარი დამოკიდებულება აბრკოლებს „სასიკეთო ძვრებს“ და სამოქალაქო სექტორის ეფექტიან მუშაობას. დისკუსიანთა შეფასებით, მართალია, გარკვეულ პროგრესზე რეგიონში შეიძლება საუბარი, თუმცა აქტივობები და მოქალაქეთა ჩართულობის არსებული დონე მაინც ძალიან დაბალია (*„აქციებზე გამოვიდა 600 ადამიანი, რაც ძალიან ცოტაა ისეთი დიდი ქალაქისთვის, როგორც რუსთავია“*).

გარდა დაბალი სამოქალაქო ცნობიერებისა, მოქალაქეების ნაკლები აქტიურობა ერთგვარი შიშითაც იყო ახსნილი. ამის კონკრეტულად მაგალითად მოძრაობა „გავიგუდე“ და მის მიერ ორგანიზებული აქცია იყო მოყვანილი. მოძრაობის აქტივისტები ქალაქში საწარმოების მხრიდან ჰაერის დაბინძურებას აპროტესტებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემა ქალაქის ყველა მცხოვრებისთვის თანაბრად აქტუალურია, აქციაზე ხალხმრავლობა არ შეინიშნებოდა სწორედ იმის გამო, რომ რუსთავის მოსახლეობის ნაწილი საწარმოებში მუშაობს. შესაბამისად, სამსახურის დაკარგვის შიში იყო ის მთავარი ფაქტორი, რამაც ამ კონკრეტულ აქციაზე მოქალაქეთა მისვლა შეაფერხა (*„გავიგუდე“-ს აქციებში ბევრს ეშინოდა [მონაწილეობის მიღება]... შიშის გამო არ გამოდიოდნენ“*).



თუმცა, აქვე განსხვავებული მოსაზრებაც დაფიქსირდა, სადაც ნიჰილიზმის მთავარ განმაპირობებლად ამ შემთხვევაშიც ცნობიერების დაბალი დონე დასახელდა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, სასკოლო განათლებისთვის სამოქალაქო აქტივიზმის სწავლების მნიშვნელობის გაზრდა ჩაითვალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანად („იძახიან [პრობლემებზე], მაგრამ თავისთვის არიან. ჩემი აზრით, ეზარებათ [აქციაზე მისვლა]. სამოქალაქო აქტივიზმი უნდა ისწავლებოდეს სკოლაში. პედაგოგს უნდა გაუზარდონ საათები, რომ ბევრი კარგი მოქალაქე აღვზარდოთ“).

დისკუსიის მონაწილეთა მიერ დასახელებული პრობლემებისთვის პრიორიტეტების მინიჭების შედეგად, რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემათა შორის ეკოლოგიასთან და სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით გამოიკვეთა.

ეკოლოგია

დისკუსიაზე მოქალაქეები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ერთხმად თანხმდებოდნენ, რომ რეგიონის მთავარ პრობლემად ეკოლოგია რჩება. როგორც აღინიშნა, რუსთავი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლით პირველ ადგილს იკავებს და ამ მაჩვენებლის იმგვარად შემცირება, რომ კონკრეტულ მისაღებ ნიშნულს მიუახლოვდეს, მარტივი არ იქნება („77%-იან დაბინძურებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ ის ნორმას დაუბრუნდეს“). ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად მოიაზრებენ დისკუსიის მონაწილეები ჰაერის შესახებ კანონის უკვე მეორედ მოსმენას პარლამენტში. თუმცა, მათი შეფასებით, მესამე მოსმენა წინაურდება და აუცილებელია ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა. მეტიც, მათი შეფასებით, სასწარფოდ უნდა გამკაცრდეს კონტროლი ქარხნებზე, რომლებიც ქალაქის ეკოსისტემას აბინძურებს და საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა ჯანმრთელობას („2021 წლის იანვარში შევა კანონი ძალაში, თუ მხარი დაუჭირეს. აქამდეც იყო სპეციალური სენსორები მილში. მიუხედავად იმისა, რომ ფილტრების დაყენება სავალდებულო იყო, არავინ ამოწმებდა, კადრების სიმცირეც არის, სრულად არ კონტროლდება, ელიტური კორუფციაც არის და მაგითომ არ აკონტროლებენ“).

ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის თვალსაზრისით ჰაერის დაბინძურების ნეგატიურ ეფექტზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება დისკუსიისას. როგორც აღინიშნა, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას რეგიონში ონკოლოგიური დაავადებების რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა.

დისკუსიის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ, მათ შორის, დაბინძურებული ჰაერით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებთან საბრძოლველად აუცილებელია არსებული მწვანე საფარის შენარჩუნება. შესაბამისად, მათი შეფასებით, დაუშვებელია მდინარეების ქალებში ხეების უკონტროლო წრა ან საქონლის მიერ მათი განადგურება, რაც ისედაც დაზიანებულ ეკოსისტემას, კიდევ უფრო აზიანებს.

ჰაერის დაბინძურების კიდევ ერთ მიზეზად გაუმართავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა დასახელდა. დისკუსიის მონაწილეთა თქმით, სატრანსპორტო საშუალებების უმრავლესობა ელემენტარულ ნორმებსაც ვერ აკმაყოფილებს. შესაბამისად, ქარხნებსა და საწარმოებთან ერთად, სწორედ გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაა აქტუალური.



სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა

როგორც რეგიონისთვის, ასევე მთელი ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად **სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა** იდენტიფიცირდა. დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან იმაზე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ნაკლებად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. მთავარი გამოწვევაა ცენტრზე დამოკიდებულება, რაც, აქტუალურია თვითმმართველი ქალაქის (რუსთავი) შემთხვევაშიც კი. როგორც აღინიშნა, გარდა იმისა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს არ აქვთ „თვითკმარი ბიუჯეტი“, ასევე არ აქვთ შესაძლებლობა ცენტრისგან დამოუკიდებლად მართონ ფინანსური რესურსები. ამას ემატება ის გამოწვევაც, რომ თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებულ ქონებას კვლავაც ცენტრი ფლობს (ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონება), შესაბამისად, მათი განკარგვის უფლება კანონითაც იკრძალება. თუმცა, დისკუსიანტთა შეფასებით, მთავარი გამოწვევა მაინც არის პოლიტიკური ნების არარსებობა, რამაც ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ხარისხი უნდა გაზარდოს.

1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

რაც შეეხება სხვადასხვა ჯგუფებისთვის აქტუალურ პრობლემებს, აქ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად ახალგაზრდები დასახელდნენ, რომელთათვისაც გამოწვევაა როგორც დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა, ასევე გასართობის სივრცეების არარსებობა. დისკუსიანტთა შეფასებით, განსაკუთრებულ პრობლემებს ახალგაზრდები აწყდებიან დასაქმების კონტექსტში, რამდენადაც თითქმის არ არსებობს ე.წ. სტუდენტური სამუშაოები, რომელიც სრულ განაკვეთზე მუშაობას არ მოითხოვს და ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს სამუშაო განრიგი სწავლის განრიგს შეუთავსონ.

კიდევ ერთი გამოწვევაა ახალგაზრდებისთვის გასართობი სივრცეების არარსებობა, რაც ახალგაზრდების გადინების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორადაც შეიძლება ჩაითვალოს. თუ რუსთავში მცხოვრებ ახალგაზრდებს მეტ-ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა თბილისს ესტუმრონ გართობის მიზნით (თუმცა, ესეც ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი), რეგიონის სხვა ლოკაციებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის აღნიშნული გამოწვევა კიდევ უფრო მწვავედ დგას.

სხვა ჯგუფების განსაკუთრებულ საჭიროებებზე დისკუსიის მონაწილეებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ. ერთადერთი ჯგუფი, რომლის საჭიროებებსაც გაესვა ხაზი სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანები არიან. ამ თვალსაზრისით, არა მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის, არამედ სხვა სერვისების მისაღებადაც აუცილებელი გარემოს არარსებობა რეგიონში განსაკუთრებულ გამოწვევად აღინიშნა და ითქვა, რომ აუცილებელია შშმ პირების საჭიროებებზე ზრუნვა სახელმწიფოს პრიორიტეტად იქცეს.

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

დისკუსიის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს იმ აქტორებზე, რომლებიც, მათი შეფასებით, პასუხისმგებელი არიან იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც შეხვედრაზე გაუღერდა. **ცენტრალური ხელისუფლება** ერთ-ერთ მთავარ აქტორადაა მოაზრებული, რომელმაც პოლიტიკა უნდა განსაზღვროს და სტრატეგიაზე იმუშაოს. მის გარდა კი, პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელ მთავარ აქტორად **ადგილობრივი თვითმმართველობა** დასახელდა. აღინიშნა, რომ იმ პრობლემების მოგვარება,



რომლებიც იდენტიფიცირდა, როგორც რეგიონისთვის აქტუალური, პირველ რიგში, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შედის (მიუსაფარი ცხოველები, ინფრასტრუქტურა, ეკოლოგია).

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ კიდეც ერთ მნიშვნელოვან აქტორად **ბიზნესსექტორი** იყო მიჩნეული. ამ კონტექსტში ხაზგასმული იყო, რომ ბიზნესმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს გარემოზე მიყენებული ზიანისთვის და სხვადასხვა აქტივობით უზრუნველყოს ნეგატიური ეფექტების მინიმიზაცია. ამ თვალსაზრისით ხაზგასმული იყო ბიზნესსექტორის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში პროექტების დაგეგმვისა და მათი რეალურად განხორციელების მნიშვნელობა („1000 ძირი ხე დარგეს [კომპანია] და სულ ორმა გაიხარა. რეალური სოციალური პასუხისმგებლობაა ბიზნესის მხრიდან საჭირო“).

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ აქტორებს შორის **სამოქალაქო სექტორიც** დასახელდა. მასში არა მხოლოდ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც მოიაზრებოდნენ. თავად დისკუსიის მონაწილე მოქალაქეთა თქმით, მათი ჩართულობაც პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, ნიჰილიზმთან ბრძოლა („არაფერი გამოვა“) ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა.

ნახსენები იყო ასევე **მედიის** როლიც, რომელმაც აქტიურად უნდა გააშუქოს რეგიონის პრობლემები და, რაც მთავარია, უნდა უზრუნველყოს რეგიონისთვის რეალურად აქტუალური საკითხების გააქტიურება საინფორმაციო ველში.



საჭიროებათა მიმოხილვის დოკუმენტი



შილა ქართლი



1. დისკუსიის შედეგები

1.1. მნიშვნელოვანი მოვლენები

გორში ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ ფოკუსურ დისკუსიაზე, რეგიონში ბოლო 1-2 წლის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის უმეტესად ინფრასტრუქტურული პროექტები დასახელდა. მათ შორის, საუბარი იყო გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციაზე, სკვერების მოწყობაზე და სპორტის განვითარების ხელშეწყობის კუთხით განხორციელებულ აქტივობებზე. გარდა ამისა, დისკუსიის მონაწილეთა ნაწილის მიერ მნიშვნელოვან მოვლენად დასახელდა ქალაქ გორში გამართული რამდენიმე აქცია, რომელიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ იყო მიმართული. აქ აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვან მოვლენებს შორის, ბოლო პერიოდში, ზოგადად ძალადობრივი და კრიმინალური ფაქტების რაოდენობის ზრდაც დასახელდა, რაც სრულად იყო გაზიარებული დისკუსიის მონაწილეთა მიერ. მათ აღნიშნეს, რომ უშუალოდ შიდა ქართლის რეგიონში საკმაოდ ხშირია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, რაც ერთმნიშვნელოვნად სერიოზულ პრობლემად შეფასდა.

დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც მნიშვნელოვან მოვლენებს შორის ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე გაამახვილეს ყურადღება.

დისკუსიების შედეგად მნიშვნელოვანი მოვლენები გამოვლინდა:

- › შიდა გზების რეაბილიტაცია;
- › კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია;
- › ქალაქ გორის ბულვარისა და სანაპიროს მოწყობა;
- › სტალინის სახლ-მუზეუმის ჩართვა ევროპის დღეებში;
- › ატენის სიონთან ავტოსადგომისა და ტურისტული ბილიკის მოწყობა;
- › სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- › წყალგაყვანილობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- › ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება;
- › სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის ამოქმედება;
- › მუნიციპალიტეტის დონეზე თანადაფინანსების პროგრამების წესის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტების მიღება;
- › ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბრისას ყურადღება, გარდა გზების რეაბილიტაციისა, ყურადღება ასევე გამახვილდა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციაზე. კერძოდ, აღინიშნა ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის მშენებლობა; ერთ-ერთ დასახლებაში (ჭალა) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისა და გორში საცურაო აუზის მშენებლობა.



კულტურული ძეგლების რეაბილიტაციის კონტექსტში აღინიშნა *გორის ციხის ტერიტორიის რეაბილიტაცია და გალაკტიონის ხეივანის მოწყობა*.

მნიშვნელოვან მოვლენებს შორის აგრეთვე დასახელდა ის ფაქტიც, რომ, **პანდემიის მიუხედავად, გორის თეატრს არ შეუწყვეტია მუშაობა**. აღინიშნა, რომ თეატრის დასმა მოაწყო ონლაინ სპექტაკლები, სეზონი დახურა ღია სივრცეში უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით და ახალი სეზონი უკვე უფლისციხეში გახსნა.

ასევე, მნიშვნელოვან მოვლენათა შორის დასახელდა გორის მუნიციპალიტეტის მიერ **ახალი ავტობუსების შექმნა**, რომლებიც, ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მიმდინარე წლის დეკემბრიდან მოემსახურება ქალაქს.

მნიშვნელოვან მოვლენებს შორის ხაზგასმული იყო **ნარჩენების მართვის** მიმართულებით რეგიონის 4 მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესაბამისი პროექტები.

დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ **თანადაფინანსების პროგრამების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიღების** მნიშვნელობას. მათი მოსაზრებით, აღნიშნული ქმნის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მონიტორინგისათვის საჭირო ნორმატიულ ბაზას და ზრდის გამჭვირვალების ხარისხს. დისკუსანტთა იგივე ჯგუფი მნიშვნელოვან და პოზიტიურ მოვლენად აფასებდა ასევე **ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებას** მუნიციპალიტეტების მიერ.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, არა მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასეს გორის მერის გადაწყვეტილება, რომლითაც შესაბამის აქტორებს **უარი ეთქვათ სტალინის ძეგლის დადგმაზე**. დისკუსანტები აღნიშნავენ, რომ ეს „გადაწყვეტილება იყო პრეცედენტული“.

კიდევ ერთი მოვლენა შეფასდა პრეცედენტულად დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ. კერძოდ, **გორის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობა ნარკოტიკების მომხმარებელთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროექტში**, სადაც მერია თანადაფინანსებლად გვევლინებოდა. დისკუსანტების თქმით, ეს ნარკოდამოკიდებული ადამიანების რეაბილიტაციის პროცესში თვითმმართველობის ჩართვის პირველი შემთხვევა იყო, რაც მნიშვნელოვანთან ერთად, დადებით მოვლენად შეფასდა.

1.2. რეგიონისთვის აქტუალური პრობლემები

შიდა ქართლში გამართული დისკუსიისას დასახელებული პრობლემები, რომლებიც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონისთვის, შემდეგია:

› მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა;

› დასაქმება;

› ნეპოტიზმი;



› არაკვალიფიციური კადრები და გაბერილი საშტატო ერთეულები;

› ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა;

› ახალგაზრდების გადინება/მიგრაცია;

› მიუსაფარი ძაღლები;

› ძალადობა ოჯახში და ქალების მიმართ;

› უხარისხო სასმელი წყალი;

› განათლება;

› სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა;

› დაბალი სამოქალაქო ცნობიერება;

› უსაფრთხოების შეგრძნების დეფიციტი.

პრობლემებზე საუბრისას **განათლების** კონტექსტში გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ სწავლის დაბალ დონეზე გამახვილდა ყურადღება. ამ და სხვა პრობლემების აქტუალობას დისკუსიის მონაწილეები ისეთი პრობლემით ხსნიდნენ, როგორცაა **არაპროფესიონალიზმი**, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთ პრობლემას - **ნეპოტიზმს** უკავშირდება. ნეპოტიზმის გამო უწყებები არაპროფესიონალი კადრებითა დაკომპლექტებული, რომლებიც, თავის მხრივ, პრობლემების გადაჭრას ვერ უზრუნველყოფენ. ამის ერთ-ერთ დასტურად ადგილობრივი თვითმმართველობების არაეფექტიანი მუშაობა დასახელდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ რეგიონში არსებული არაერთი პრობლემის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობები, ხშირ შემთხვევაში, საბიუჯეტო თანხების სრულად ათვისებას ვერ ახერხებენ, რაც მათი გაუმართავი მუშაობის თვალსაჩინო მაგალითია.

არაკვალიფიციურ და გაბერილ საშტატო ერთეულებზე, როგორც მნიშვნელოვან პრობლემაზე ყურადღება დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც გამახვილეს. მათი შეფასებით, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება რეალურ საჭიროებებს. გარდა რაოდენობისა, ასევე პრობლემაა საჯარო უწყებების დაკომპლექტება არაკვალიფიციური კადრებით. მოსახლეობის მსგავსად, მათი შეფასებითაც, სწორედ არაპროფესიონალი კადრების არსებობით აიხსნება განხორციელებული პროექტების დაბალი ხარისხი ან სრული ჩავარდნა.

სასმელ წყალთან დაკავშირებით ხაზგასმული იყო მისი დაბალი ხარისხი, რაც რეგიონისთვის სერიოზული გამოწვევაა. ამის დასტურად დისკუსიის მონაწილეებმა სასმელი წყლით მოქალაქეთა ინტოქსიკაციის ფაქტები გაიხსენეს. გარდა წყლის დაბალი ხარისხისა, აქ გამოწვევად ისიც იდენტიფიცირდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არ ახდენს მოსახლეობის დროულ ინფორმირებას ხარვეზებთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა დისკუსიაზე გამახვილდა ყურადღება, **უსაფრთხოების შეგრძნების არარსებობაა**. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, სამი მიზეზით აიხსნება. კერძოდ, *მცოცავი ოკუპაციით, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული გამონწვევებით, გაუმართავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით*.



ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა კიდევ ერთ აქტუალურ პრობლემად იდენტიფიცირდა. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის აქტუალურობაზე ყურადღება გამახვილდა ადგილობრივი მოსახლეობის ფოკუსურ დისკუსიაზე და არა მხოლოდ ახალგაზრდა, არამედ უფროსი ასაკის მონაწილეთა მიერ. ხაზგასმული იყო, რომ ახალგაზრდებისთვის აუცილებელია არსებობდეს არა მხოლოდ გასართობი (კაფეები, ბარები) ლოკაციები, არამედ სივრცეები, სადაც თანატოლებთან კომუნიკაცია და შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვა, იდეების გენერირება და აზრების გაზიარება იქნება შესაძლებელი. დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, ამგვარი სივრცეების არსებობა და დასაქმების პერსპექტივების გაჩენა არის ახალგაზრდების ადგილზე დარჩენის ერთგვარი გარანტი. ამ უკანასკნელის გარეშე კი, შიდა ქართლის განვითარების პერსპექტივა, მათი შეფასებით, ბუნდოვანია. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მუშაობის გააქტიურება როგორც სამუშაო ადგილების შექმნის, ასევე ახალგაზრდული სივრცეების შექმნის მიმართულებით კრიტიკულად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული.

დისკუსანტების მხრიდან ასევე პრობლემებს შორის დასახელდა **დაბალი სამოქალაქო ჩართულობა**, რაც, მათი აზრით, დაბალი სამოქალაქო ცნობიერებითა და საზოგადოებაში არსებული ნიჰილიზმით აიხსნება. როგორც აღინიშნა, გარდა იმისა, რომ მოქალაქეებს არ აქვთ გაცნობიერებული თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობის მნიშვნელობა პრობლემების მოგვარების პროცესში, ასევე გამოწვევაა ისიც, რომ მათი განწყობა ნიჰილისტურია. ამ უკანასკნელს კონკრეტული მიზეზი აქვს დისკუსანტთა აზრით. კერძოდ, იმ იშვიათ შემთხვევებშიც, როდესაც მოქალაქეები გამოდიან ინიციატივითა და კონკრეტული იდეებით, მათი მხარდაჭერა არ ხდება. როგორც აღინიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობა არ უჭერს მხარს მსგავს ინიციატივებს, რაც მოტივირებული კადრების გადინების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია.

რეგიონში არსებული პრობლემების მრავალგვარობისა და სიმრავლისა, ამ დროისათვის ყველაზე აქტუალურ პრობლემებად, რომლებიც სასწრაფოდ საჭიროებს რეაგირებას, გამოიკვეთა **გაუმართავი ინფრასტრუქტურა, უმუშევრობა / დასაქმებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა**.

გაუმართავი ინფრასტრუქტურა

მიუხედავად მნიშვნელოვან მოვლენებში დასახელებული ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტისა, სწორედ მასთან დაკავშირებული პრობლემები იდენტიფიცირდა რეგიონისთვის ყველაზე აქტუალურ პრობლემებად. აქ რამდენიმე მიმართულებით არსებულ პრობლემაზე შეიძლება საუბარი. ესენია:

- › გაუმართავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
- › გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- › გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურა.

როგორც დისკუსიაზე გამოიკვეთა, **ტრანსპორტთან** დაკავშირებული პრობლემა რეგიონისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მართალია, აღინიშნა, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა ავტობუსები და ისინი ქალაქში მიმდინარე წლის ბოლოდან მოემსახურებიან მოსახლეობას, მაგრამ აღნიშნული რეგიონში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან თუ მომსახურებასთან დაკავშირებულ პრობლემას ვერ მოხსნის. მეტიც, როგორც დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, უკვე



წლებია მუნიციპალიტეტი დებს პირობას, რომ მოაგვარებს პრობლემას, თუმცა, „რეალური ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა“.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კონტექსტში რამდენიმე გამონვევაზე გამახვილდა ყურადღება. კერძოდ, გამონვევაა *ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი*. აღინიშნა, რომ სალამოს 6 საათიდან ტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდული ან საერთოდ შეუძლებელია. ეს არის ერთ-ერთი განმაპირობებელი იმისა, რომ რეგიონის მთავარ ქალაქშიც კი, სალამოს საათებში „ცხოვრება თითქოს წყდება“ და მოსახლეობის მობილობა თითქმის არ შეინიშნება.

გამონვევაა ასევე *სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობა*. აღინიშნა, რომ რეგიონში მოსახლეობას უმეტესად გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებებით უწევს გადაადგილება, რაც, თავის მხრივ, უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობას ამცირებს. ასევე გამონვევაა გადაადგილება სოფლის ტიპის დასახლებებში. მუნიციპალიტეტების ცენტრებიდან სოფლებში ტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდულია, რაც ასევე საჭიროებს მოგვარებას, დისკუსანტა შეფასებით.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ ხაზგასმული იყო, რომ ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებები სპონტანურად მიიღება და პროცესს აკლია სწორი დაგეგმარება.

გაუმართავ *საგზაო ინფრასტრუქტურასთან* დაკავშირებით ხაზგასმული იყო, რომ *სოფლის ტიპის დასახლებებში შიდა გზების* მოწესრიგება კვლავაც აქტუალურია. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ქუჩების გარე განათება მწყობრიდან არის გამოსული ან საერთოდ არ არსებობს. ინფრასტრუქტურის კონტექსტშივე აღინიშნა, რომ რეგიონის ბევრ ლოკაციაში *ტროტუარები* მოწესრიგებულია ან საერთოდ არ არსებობს, რის გამოც მოქალაქეთა გადაადგილებას საფრთხე ექმნება.

რაც შეეხება *ტურისტულ ინფრასტრუქტურას*, ამ თვალსაზრისით აღინიშნა, რომ არ არის გამართული *ტურისტული ბილიკები/მონიშვნები*. *გარე ვაჭრობა და მოვაჭრეების უკონტროლო საქმიანობა* პრობლემაა, რადგან აზიანებს ქალაქების იერსახეს. ამას ემატება ასევე *მიუსაფარი ძაღლების* პრობლემაც, რაც სერიოზულად დგას დღის წესრიგში გორში და პრობლემას უქმნის არა მხოლოდ მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას, არამედ ტურისტებისთვისაც ნაკლებად მიმზიდველს ხდის კონკრეტულ ლოკაციებს. ამას ემატება ასევე *საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა*, რაც განსაკუთრებული გამონვევაა ტურისტული ლოკაციებისთვის.

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრისას, დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ყურადღება ზოგადად მათ დაბალ ხარისხზე გაამახვილეს. მათი თქმით, გარდა იმისა, რომ ბევრი პროექტის განხორციელება ჯერაც არ დაწყებულა, პრობლემაა ისიც, რომ ხშირად საქმეს „მარლი არ აყრია“. კერძოდ, პროექტის დასრულების შემდეგ ბევრი ხარვეზი, მათ შორის, დაგეგმვასთან დაკავშირებული პრობლემები იჩენს თავს, რაც, თავის მხრივ, არაპროფესიონალიზმით აიხსნება.

უმუშევრობა / დასაქმება

დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, მთელი ქვეყნისთვის აქტუალური სამუშაო ადგილების არარსებობა შიდა ქართლის რეგიონისთვის განსაკუთრებულად მწვავე პრობლემაა, რაც, თავის



მხრივ, სხვა პრობლემების აქტუალურობასაც განაპირობებს. კერძოდ, დასაქმების შესაძლებლობების არარსებობაა მთავარი მიზეზი ახალგაზრდების მასიური გადინებისა რეგიონიდან. აღნიშნულის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ფაქტორად კი, ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა დასახელდა.

უმუშევრობის კონტექსტში ხაზგასმული იყო ისეთი პრობლემის აქტუალურობა, როგორცაა **ნეპოტიზმი**. გარდა იმისა, რომ ზოგადად ნაკლებად იქმნება სამუშაო ადგილები, დამატებით გამოწვევას ისიც წარმოადგენს, რომ არსებულ ვაკანტურ პოზიციებზეც დასაქმება ძალიან რთულია შესაბამისი ნაცნობის არარსებობის პირობებში („ნაცნობების და გავლენების არქონის შემთხვევაში დასაქმების შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს“). აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, რომ რეგიონში სამუშაო ადგილები უმეტესად საჯარო უწყებებშია და არა კერძო სექტორში, რამდენადაც კერძო ბიზნესი შიდა ქართლის რეგიონში, დისკუსიის მონაწილეთა თქმით, „ნაკლებადაა წარმოდგენილი“.

სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა

რეგიონის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა იდენტიფიცირდა. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემაზე ძირითადად დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გაამახვილეს ყურადღება. მათი შეფასებით, ადგილობრივი თვითმმართველობა ნაკლებად გრძნობს თავს ანგარიშვალდებულად მოსახლეობის წინაშე. მათი ანგარიშვალდებულების ვექტორი ცენტრალური ხელისუფლებისკენაა მიმართული, რაც ნაწილობრივ დაკავშირებულია მუნიციპალური ბიუჯეტების საკითხთან. რამდენადაც მუნიციპალიტეტებს არ აქვთ საკუთარი შემოსავლები, ადგილობრივი ხელისუფლება ანგარიშვალდებულად თავს გრძნობს მეთად ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, და არა საკუთარ ამომრჩეველთან. შესაბამისად, გადაწყვეტილებები ცენტრალიზებულია და ადგილობრივ თვითმმართველობებს არ აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი („ისეთი პრობლემები, რაც ადგილზე უნდა წყდებოდეს, ადგილზე არ წყდება და ელოდებიან ზემოდან მითითებებს... რა თქმა უნდა, ცენტრში არ იციან აქ რა პრობლემებია და ეს ხარისხზეც ახდენს გავლენას და შედეგზეც“). დისკუსანტთა შეფასებით, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გორის მუნიციპალიტეტის წინაშე დგას, რომელმაც, 2014 წლის თვითმმართველობის რეფორმის შედეგად თვითმმართველი ქალაქის სტატუსი დაკარგა. როგორც აღინიშნა, გორის მუნიციპალიტეტი არის დიდი, რომლის შემადგენლობაშიც ბევრი სოფელი შედის, შესაბამისად, რთულია ადგილობრივი ბიუჯეტით როგორც სოფლების, ასევე ქალაქ გორის მოსახლეობის ინტერესებისა და საჭიროებების ჯეგონად დაკმაყოფილება.

გარდა საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი მართვის მხრივ წარმოქმნილი პრობლემებისა, დისკუსანტები აღნიშნავენ, რომ 2014 წლის რეფორმამ გაართულა ბიუროკრატიული პროცესები, რადგან თვითმმართველობაში შესული ყველა წერილი შედის მერთან და გადაწყვეტილებისათვის საჭიროა მისი ხელმოწერა. ამ პრობლემას ასევე ამწვავებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გაუმართაობაც.

როგორც თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმებით წარმოქმნილ, ასევე სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე საპასუხოდ დისკუსიის მონაწილეებს დეცენტრალიზაცია საუკეთესო გზად მიაჩნიათ. მათი შეფასებით, სწორედ დეცენტრალიზაციამ უნდა უზრუნველყოს თვითმმართველობების მიერ ცენტრისგან დამოუკიდებლად და საკუთარი შემოსავლებით ადგილობრივი პრობლემების მოგვარება.



1.3. კონკრეტული ჯგუფებისთვის აქტუალური პრობლემები

სხვადასხვა ჯგუფისთვის არსებულ აქტუალურ პრობლემებზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდებისთვის ყველაზე აქტუალურია დასაქმებასა და ახალგაზრდული სივრცეების არარსებობასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც თავის მხრივ, მიგრაციის მიზეზია. დისკუსანტა შეფასებით, ახალგაზრდებს არ აქვთ სივრცეები, სადაც შეძლებენ არაფორმალურ გარემოში შეკრებას და სხვადასხვა აქტივობაში ჩართვას. ამასთან, როგორც დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ახალგაზრდული საკითხები არაა აქტუალური მერიის თანამშრომლებისათვის. მუნიციპალიტეტის დონეზე ყურადღება არ ეთმობა ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებას, მათ მხარდაჭერას და ახალგაზრდებულ იდეების, ინიციატივების გაზიარებას.

ამასთანავე, გამონკვევად იდენტიფიცირდა ისიც, რომ რეგიონში ნაკლებადაა შესაძლებელია ხარისხიანი განათლების მიღება, რაც ახალგაზრდების რეგიონიდან გადინების კიდევ ერთი მაპროვოცირებელია.

უფროსი ასაკის მოქალაქეთათვის განსაკუთრებულ გამოწვევად იდენტიფიცირდა შინ მოვლის სერვისების არარსებობა და თავმჯდომარის ადგილების სიმწირე. როგორც აღინიშნა, შინ მოვლის სერვისის არსებობს რეგიონში, თუმცა მისი ბენეფიციარები ძირითადად სოციალურად დაუცველი ოჯახები არიან. დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები პრობლემად ასახელებენ ასევე სოციალურ სერვისებს, რომელთა „დიდი ნაწილი მიბმულია სოციალურად დაუცველობის ქულაზე“. ეს ფაქტი, დისკუსანტა შეფასებით, სერვისებს არაეფექტიანს ხდის, რადგან ის „დახმარების გარეთ ტოვებს ბევრ ადამიანს, რომელსაც ეს [დახმარება] შეიძლება ძალიან სჭირდებოდეს“.

სოციალური დაცვის სერვისები პრობლემურად იქნა მიჩნეული ასევე დაუსაქმებელი ადამიანებისათვისაც, რადგან, შემოსავლის დაფიქსირების შემთხვევაში, მათ სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება უწყდებათ. შესაბამისად, არსებული მოდელი არ უჩენს მოტივაციას ბენეფიციარებს დასაქმდნენ და მეტიც, ხშირად უბიძგებს იმისკენ, რომ „არ ჩაერთონ რაიმე სახის ოფიციალურ სამუშაო პროცესში“.

დასაქმებულთა მიმართებაში ითქვა, რომ მათთვის გამოწვევაა დაბალი ანაზღაურება. ასევე, განტვირთვისა და დასვენებისთვის აუცილებელი სივრცეების არარსებობა. და კიდევ ერთი გამოწვევა, რაც განსაკუთრებით აქტუალურად ჩაითვა დასაქმებულთათვის, მოუწესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაა. როგორც აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში, ტრანსპორტთან დაკავშირებული გამოწვევები დასაქმებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს, რადგან ადამიანები არ იწყებენ მუშაობას კონკრეტულ პოზიციაზე, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ან უწევთ უარის თქმა სამსახურზე, რადგან ვერ ახერხებენ გადაადგილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავებას.

სხვადასხვა ჯგუფისთვის არსებულ პრობლემათა შორის, შიდა ქართლის რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას, საზღვრისპირა სოფლებისთვის წარმოადგენს მცოცავი ოკუპაცია და ის სტრესული გარემო, რომელშიც ცხოვრება უწევთ, როგორც თავად ამ სოფლების მოსახლეობას, აგრეთვე მათ ახლობელს, რომელთაც უწევთ საზღვრისპირა სოფლებში შესვლა. ხაზგასასმელია, რომ შიდა ქართლის რეგიონისთვის არც მნიშვნელოვან მოვლენებს და არც აქტუალურ პრობლემებს შორის მცოცავი ოკუპაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები დისკუსიის მონაწილეებს არ წამოუჭრიათ. ამ პრობლემაზე, როგორც უსაფრთხოების განცდის დეფიციტის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორზე მიუთითეს დისკუსიის მონაწილე არასამთავრობო სექტორის



წარმომადგენლებმა, მოსახლეობის ფოკუსურ დისკუსიაზე კი ეს საკითხი მხოლოდ მოდერატორის მიერ დასმული შესაბამისი კითხვის შემდეგ გაუღერდა.

1.4. პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი აქტორები

არსებული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ მთავარ აქტორად დისკუსიის მონაწილეებმა, პირველ რიგში, დასახელეს **ადგილობრივი თვითმმართველობა**, თუმცა, ხაზი გაუსვეს **ცენტრალური ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების** როლსაც. როგორც უკვე აღინიშნა, დისკუსიანტთა შეფასებით, ადგილობრივი თვითმმართველობა არაეფექტიანად მუშაობს (ვერ ხერხდება საბიუჯეტო თანხების ათვისება), რაც თვითმმართველი ორგანოების არაკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებით აიხსნება. დისკუსიანტთა შეფასებით, იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც აქტუალურ პრობლემებად იდენტიფიცირდა და როგორებიცაა მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, გარე ვაჭრობა, მიუსაფარი ცხოველები, ტურისტული ნიშნებისა და ბილიკების არარსებობა, საზოგადოებრივი საპირპარეშოების არარსებობა და ა.შ. სრულად ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივაა.

გარდა ამისა, დისკუსიის მონაწილეები ხაზს უსვამენ სამოქალაქო საზოგადოების როლს სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში. მთავარი, მათი შეფასებით, არის მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა და აქტიურობა პრობლემების როგორც გაუღერებისას, ასევე სხვადასხვა აქტივობაში ჩართვის თვალსაზრისით. დისკუსიანტთა შეფასებით, გარდა იმისა, რომ, ზოგადად ნაკლებად აქტიურები არიან მოქალაქეები და იშვიათად ერთვებიან აქციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში, პრობლემას ქმნის ისიც, რომ მოქალაქეების მიერ ორგანიზებულ აქციებზე ხშირად სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები თუ რომელიმე პოლიტიკურ გუნდთან აფილირებული ფიგურები ჩნდებიან. აღნიშნული სამოქალაქო ინიციატივის პოლიტიკულებას ახდენს, რაც ამგვარ აქტივობებში მოქალაქეთა ჩართულობის ალბათობას კიდევ უფრო ამცირებს.

პრობლემების მოგვარების კონტექსტში ყველაზე ნაკლებად ცენტრალური ხელისუფლების როლზე გამახვილდა ყურადღება. პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ აქტორებზე საუბრისას, მთავარი დისკურსის თანახმად, მთავარია, ნეპოტიზმის პრობლემასთან გამკლავება, ძლიერი და ეფექტიანი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა, სადაც კვალიფიციური ადგილობრივი ახალგაზრდები დასაქმდებიან, რომლებიც საზოგადოების ჩართულობით შეეცდებიან საკუთარ თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების მოგვარებას.

საქართველო

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი
მრავალპარტიული დემოკრატიისათვის
(EECMD)

შარაშიძის 7, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 291 56 50/51

ელ.ფოსტა: contact@eecmd.org

ადგილობრივი პოლიტიკის ინტერესების შეფასება



EECMD

აღმოსავლეთ ევროპის
მრავალპარტიული
დემოკრატიისათვის

eecmd.org